ვაზისა

REGION
ყოველთვიური გამოცემა
ფასი 1.50 ლარი
№8 2015 ოქტომბერი

აკაკი შუხაშავრიას პორტრეტი

ავტორი თენგიზ ყიყალოშვილი

გურიაში საუკეთესო ღვინოდ ჩხავერი ითვლება

თეიმურაზ ლლონტი – ევროპელი ღვინის მწარმოებლები ქვევრში ღვინის დაყენების ქართული წესით დაინტერესდნენ

აკაკი შავრიასა და დოქტორ დიურის ყოველდღიური იდეოლოგიური დაპირისპირება

იუნესკოს 70 წლის იუბილე და ფესტივალი ბათუმის პიაცაზე

ბახმარო



გურია გულს, შუაგულ ქვეყანას, ნიშნავს 2

გურული ღვინოები 3

ქვევრისა და ქვევრის ღვინის ფენომენი 5

გურულები ყველაფერში სწრაფები ვართ, საჯუროორტო სეზონის დასრულებაშიც ჯი.. 7

გზას განდობილი ფიქრები 8

სუონის საერთაშორისო სიმპოზიუმი 10

პირველი ტექნოლოგიური პარკი საქართველოში 11

დაჯარიმების შიშით ადამიანები გარემოს დანაგვიანებას ერიდებიან 12

ვის საკუთრებაშია ჩოხატაურის აგრარული ბაზარი? 13

ქართული ფუტკარი ეროვნული სიმდიდრეა 14

სამეგობროდ გამოწვდილი ხელი 17

1948 წლის 17 აპრილის აჯანყება გამორჩეული იყო 21

საქველმოქმედო კონცერტი 27

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი 27

სანამ დღეს, აქ და ახლა პოეზიის ყამია 28

ბავშვებს მეტი მოტივაცია სჭირდებათ 31

ენას დაშორებული ერი ჯვდება 32

ლეგენდა ნატანებზე 33

ჯანი და მისი მოვლა 36

გურული ხუმრობები 36

მთავარი რედაქტორი — **ლელა სურმავა**

მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5

ტელ: 558 25 65 50;

ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru**

ძვირფასო მკითხველებო!

მოგვაწოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მოწოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი,
ხოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

გური გუ-ს, შუაგუ- ქვეყანას, ნიშნავს

ადრეულ ხანაში ჭოროხის შესართავსა და რიონს შორის მდებარე მიწაწყალს ლაზეთი ერქვა. VIII საუკუნეში (შესაძლებელია უფრო ადრეც) ამ მხარეს გურიას ეძახდნენ. გურია მეგრული სიტყვაა და გულს, შუაგულ ქვეყანას, ნიშნავს.

ამჟამად გურიის მხარე ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს აერთიანებს. ისტორიულ ხანაში მისი ტერიტორიები უფრო ვრცლად იყო გადაჭიმული. გურიას ეკუთვნოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი პალიასტომის ტბიდან ჭოროხამდე; ჭოროხის შესართავიდან მისი სამხრეთი საზღვარი მესხეთის ქედს მიუყვებოდა და აჭარისგან გამოყოფდა. ჩრდილოეთით გურიას ოდიშისგან მდინარე რიონი მიჯნავდა; მაგრამ ხშირად რიონსა და ფიჩორს შორის განლაგებულ სოფლებს დადიანები ფლობდნენ.

გურია იყოფოდა ზემო, შუა და ქვემო გურიად. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად წყაროებში ზოგჯერ გურიის ზღვისპირი ან სახინოწმინდლო (ხინოს საეპისკოპოსო კათედრის მიხედვით) გვხვდება.

გურია წყალუხვ (სუფსის აუზი, ნატანები, კინტრიში) და მოსავლიან მხარედ ითვლებოდა; იქ ბევრი ჯიშის ვაზი ხარობდა და ყურძნის ხარისხით გურულებს ყოველთვის თავი მოჰქონდათ.

გურია მრავალი გზა-გადასასვლელითა და ბილიკით მეზობელ მხარეებს უკავშირდებოდა. მასზე გადიოდა გზები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილს მესხეთთან და მცირე აზიასთან აკავშირებდა (მაგალითად გზა გურიისა უერთდებოდა სპერის გზას).

საზღვაო გზებზე მნიშვნელოვან ნავსადგურებს წარმოადგენდა ქობულეთი, ციხისძირი და ბათუმი; მოხერხებულ სანავსადგურე ყურეს პალიასტომის ტბაც ქმნიდა. XIII–XVსს. საზღვაო ვაჭრობის განვითარებამ გურიაში დიდად შეუწყო ხელი მის დამოუკიდებელ სამთავროდ გარდაქმნას XVI საუკუნეში (ოდიშის მსგავსად).

ჭოროხის შესართავსა და ხუფათს შორის ტერიტორიას ადრეულ წყაროებში ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი ეწოდებოდა. მოგვიანებით ეს მონაკვეთი ჭანეთის ნაწილად მოიაზრებოდა.

ჭანეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს მოიცავდა. სამხრეთით მას ჭოროხის აუზისგან პარხლის, ანუ ჭანეთის, მთები (ანტიკური ხანის სკიდისის მთები და დღევანდელი ლაზისტანის ქედი) გამოყოფდა. დასავლეთით, ვახუშტის თანახმად, ჭანეთი რიზეს სანახებამდე აღწევდა: ... არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინღა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინისპალო, აქავ არს სატყეპელა. გურიასა და ჭანეთ-ლაზეთში გავრცელებული თქმულებების მიხედვით კი, საზღვარი გადიოდა ფაზარის (ძველი ათინას) დასავლეთით, ქემერთან – ზღვიდან ამოშვერილ უზარმაზარ ფრიალო კლდესთან.

მართალია, ჭანეთი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მცირე პერიოდით იყო ხოლმე ქართული სახელმწიფოს ნაწილი, მაგრამ ლაზებში (ჭანებში) ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ცოცხლობდა მოგონება, რომ ის ქართულ სახელმწიფოს ეკუთვნოდა. დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1873 წელს ჩაწერილი ერთი თქმულების მიხედვით, ლაზები მეგრელებთან ერთად, ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო ეკავა ქემერიდან ბიჭვინთამდე და რომელიღაც ქართველი მეფე ჯარით თავს დაესხა ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები (აღმოსავლეთი ქართველები – ავტორი) ჩაასახლაო.



ქართულ წერილობით ძეგლებში ჭანეთის სინონიმად სამეგრელოც გვხვდება. ძველ სომხურ საისტორიო და გეოგრაფიულ თხზულებებში ამ კუთხის აღსანიშნავად ხალტიქი (წარმოდგებოდა ერთ-ერთი ჭანური ტომის, ხალიბების/ხალდების სახელწოდებისაგან) იხმარებოდა. ბიზანტიელებიც მას სანების/ჭანების ქვეყანას ეძახდნენ. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა X საუკუნეში დასავლეთ საქართველოზე კონტროლი დაკარგეს, ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი ტერმინი ლაზიკა ჭანეთს დაარქვეს. ეს გეოგრაფიული სახელწოდება მემკვიდრეობით თურქ-ოსმალებმაც მიიღეს და ჭანეთს ლაზისტანი უწოდეს; ჭანეთის სახელი კი სამხრეთ შავიზღვისპირეთს დაუმკვიდრეს. თურქეთის ქართველობამ (ტაო-კლარჯელი გურჯები) შემოინახა ისტორიული მახსოვრობა და ლაზებს დღესაც ჭანებს უწოდებს.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ზაზა აბაშიძე

„ღვინო ქეთილი და შემრგო, გემოიანი სანიები მრავლად“

გურული ღვინოები



ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები სათაურად შემთხვევით არ გამოგვიტანია. მევენახეობა-მეღვინეობა გურიის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის უპირველესი სფერო იყო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, რაზეც მოგვითხრობენ არა მარტოოდენ ისტორიული წყაროები (ჰომეროსი, შარდენი, ლამბერტი, კონტარინი, დიუბუა, დე მონპერე, ჰაქსტჰაუზენი). არამედ მრავალფეროვანი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიც.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გურიის თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილი იყო ქვის საწნახელები, არაერთი ადათწესი და დღესასწაული ვაზის კულტურასთან დაკავშირებით. „ვაზის კულტურის საწყისები უნდა მიეკუთვნოს პრეისტორიულ ხანას“ (ერმილე ნაკაშიძე).

ვაზის გურული ჯიშები, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონის ჯიშებთან ერთად, მიეკუთვნება ვაზის ფორმათა წარმოქმნის კოლხეთის კერას.

გურია განთქმული იყო საუკეთესო ღვინოების ხარისხით. მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა გურიის სამხრეთი ნაწილი.

გურიაში საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა ჩხავერი, ანუ ჩხავერის ღვინო. ეს ღვინოები ხასიათდებოდა სიმაგრითა და არომატულობით, სინაზით, სასიამოვნო მოტკბო სუსტმჟავე გემოთი. ჩხავრის ღვინოს აყენებენ ასკანაში, ოცხანაში, შემოქმედში, მაკვანეთში და ლიხაურში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მავნებელ დაავადებათა ინტენსიური გავრცელების გამო, ჩხავრის ღვინოს რაოდენობა შემცირდა, იშვიათობად იქცა. მას მცირე რაოდენობით თუ მოიძიებდნენ ზოგიერთ მეურნესთან.

სიმაგრით, არომატულობითა და გამძლეობით განთქმული იყო საჯავახური ღვინოები. სხილათუბნისა და მტევანდიდისაგან დაყენებული წითელი ღვინო გამოირჩეოდა მდიდარი არომატითა და გემოთი, მდგრადობითა და ამტანობით. ოიდიუმის გაჩენამდე საჯავახური ღვინოები კარგად იყიდებოდა ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებში. მაშინ ეს ღვინოები ბატონობდნენ, ხოლო სვირის და რაჭის ღვინოები ნაკლებად იყო გავრცელებული.

ჯანი ანუ ჯანის ღვინო (წითელი) გამოირჩეოდა სიმაგრით, არომატითა და სასიამოვნო ნაზი თაიგულით.

ერმილე ნაკაშიძე გვამცნობს, რომ ადგილობრივ უხუცესთა გადმოცემით, ეს ღვინოები ძლიერ წააგავდა ოჯალეშის ღვინოს და თავისი ხარისხით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა კახურ ღვინოებს. ჯანის ღვინოს აყენებდნენ სოფლებში: ბუკისციხე, იანეული, ერკეთი, აგრეთვე ამ სოფლების მიმდებარე ადგილებში. ჯანის ღვინოების კატეგორიას განეკუთვნებოდა მარის ღვინოები, რომლებიც ცნობილი იყო მთელს გურიასა და ქუთაისის გუბერნიაში.

სოფელ ბაღდადში, ასკანასა და ბახვში მტევანდიდის ყურძნისაგან აყენებდნენ მუქი წითელი შეფერვის ღვინოს, რომელიც იყო მაგარი, არომატული, მდგრადი და არაფრით არ ჩამოუვარდებოდა კახურ ღვინოებს. მას იყენებდნენ სამკურნალოდ, როგორც ამას გვაუწყებს ერმილე ნაკაშიძე.

გურიაში აყენებდნენ როგორც თეთრ, ისე წითელ ღვინოებს. მაგრამ უფრო მეტად თეთრს. თეთრი ჯიშებიდან უნდა აღინიშნოს: საკმიელა, ჩხინკილოური, კლარჯული, ათინაური, ზენათური, თეთრი ყურძენი, თეთრი ჩხავერი, კამური თეთრი, კაპისტონი წიწილიანი და სხვები. წითელყურძნიანი ჯიშები: მცვივანი გურული, სამჩხავერა, ჩეპეში, კიკაჩა შავი, კორძალა, მაგნაკური, მანდიკოური, მახათური, მტრედისფეხა. შავყურძნიანი ჯიშები: ოჯალეში გურიის, ოფოურა, საფერავი გურიის, სხილათუბანი, შავჩხავერა, ჩხავერი, ცივჩხავერა, ჭუმუტა, ჯანი, აკიდო, ალადასტური, კამური შავი, მტევანდიდი, და სხვები. ვარდისფერყურძნიანი: ბადაგი მუქი, ცივჩხავერა ვარდისფერი. მიღებული იყო თეთრი ღვინის შეფერვა წითლით.

გურიაში, ისევე როგორც ყველგან საქართველოში ყურძენი საწნახელში იჭყლიტებოდა ადამიანის ფეხით, დაჭყლეტილი ყურძნის მასიდან გამოსაღებ ყურძნის ტკბილს „ფეთქას“ ანუ „ფეხში ამოღებულს“ უწოდებდნენ. საწნახელს თავს აუწევდნენ და ყურძნის ტკბილი თვითდინებით გადმოედინებოდა საწნახელის ბოლოში მოწყობილი გამოსასვლელიდან, რომლის წინ ჩაუფენდნენ ხოლმე ჩალას, ღომს ან გვიმრის ფოთლებს და ყურძნის ტკბილი დასადუღებლად ჭურში (ქვევრში) გადაჰქონდათ კოკა ჩარექით. ამგვარი წესით დადუღებული ღვინო იყო ნაზი, მსუბუქი, მაგრამ არ

იყო მდგრადი, დიდხანს ვერ ინახებოდა. თეთრი და წითელი ღვინის ხანგრძლივად შენახვის მიზნით ყურძენს კარგად დაჭყლეტდნენ ფეხით და აჩერებდნენ ჭაჭაზე 3-7 დღის განმავლობაში. საწნახელი იხურებოდა ფიცრებით ან ჩალით. მადუღარ მასას კვლავ ჩაჭყლეტდნენ ფეხით მეორედ და მესამედ. ამის შემდეგ მადუღარიტკბილი გადაჰქონდათ ჭურებში და იქ გრძელდებოდა დუღილის პროცესი. ამგვარი იყო ზოგადად ჭურში ღვინის დაყენების კოლხური წესი.

სამწუხაროდ, გურიის მევენახეობა-მეღვინეობას დიდი დაღი დაასვა XIX საუკუნის შუახანებში განვითარებულმა მოვლენებმა (ძლიერმა ყინვებმა, სოკოვან დაავადებათა და მავნებლების გავრცელებამ).

XIX საუკუნეში გურიაში 59 ვაზის ჯიში იყო გავრცელებული, მათგან 48 წითელი, ხოლო დანარჩენი თეთრი. საუკუნის I ნახევარში გურიისა და სამეგრელოს ღვინოები მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა ამიერკავკასიის ბაზარზე.

1879 წლის აღწერით, ქუთაისის გუბერნიის ხვედრითი წილი ვენახების საერთო ფართობში მეტი იყო, ვიდრე თბილისის გუბერნიისა. როცა იმერეთის რეგიონს დასავლეთ საქართველოს ვენახების თითქმის ნახევარი ეკავა, ვენახების საერთო ფართობის 24 % გურია-სამეგრელოს წილად მოდიოდა. აქედან გურიის ვენახებს ეკავა 6,97 %, სამეგრელოს კი-17,06 %.

1879-1953 წლებში. ვენახების ფართობები საქართველოში შემცირდა 70315,27 ჰა-დან 52170,25 ჰა-მდე. ფართობების შემცირება, ასევე თვალსაჩინო იყო გურიაში (4905 ჰა-დან 900,06 ჰა-მდე).

1990 წლისათვის 1953 წელთან შედარებით, გურიაში შემცირებულია ისეთი უნიკალური ჯიშის ფართობი, როგორიცაა ჩხავერი (31,45 ჰა-დან 12,0 ჰა-მდე) მაშინ, როცა იზაბელა 16 ჰა-ზე იყო გაშენებული.

1953 წლის მონაცემებით, გურიის ხვედრითმა წილმა შეადგინა 1,72%, ხოლო 1990 წლისათვის კიდევ უფრო შემცირდა და შეადგინა 0,35% (საზოგადოებრივ სექტორში).

გურიის ვაზის ადგილობრივი წარმოშობის ჯიშების ფართობების კატასტროფულმა შემცირებამ გზა გაუხსნა ამერიკული წარმოშობის „იზაბელას“ (Vitis Labrusca) დამკვიდრებასა და გავრცელებას გურიაში. ვინაიდან „იზაბელა“ შემოტანილი იყო ქალაქ ოდესიდან, მას შემდგომში ზედმეტსახელად „ოდესა“ შეარქვეს. ვაზის გურულ ჯიშებთან შედარებით იზაბელა, დაბალი ღირსების ღვინოს იძლეოდა. იყო სუსტი და არაგამძლე. საქართველოში იზაბელას პირველშემომტანი უნდა იყოს ცნობილი სპეციალისტი გ. ლენცი, რომელმაც 1836 წლიდან ყირიმიდან სხვა ევროპულ ჯიშებთან ერთად შემოიტანა იზაბელა და კახეთში გააშენა.

იზაბელას (Vitis Labrusca) შემოტანამ და გავრცელებამ გურია-სამეგრელოში დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა ამ მხარეთა, განსაკუთრებით კი გურიის მევენახეობა-მეღვინეობაზე. მრავალფეროვანი და კეთილსურნელოვანი თაიგულის ნაცვლად ხელში შემოგვრჩა ერთსახოვანი, მდარე ღირსების ყვავილი.

ამ მოვლენას შეიძლება ტრაგედია ვუწოდოთ. სხვა რაღა ვთქვათ, როცა ამ მოვლენიდან ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ ადესის (ანუ იზაბელას) ღვინო ლამის გურიის სიმბოლოდ მოიხსენიებოდა.

სამწუხაროდ, არც XIX და XX საუკუნეებში არავის უცდია ვაზის გურული ჯიშების აღდგენა, რამაც გურია, როგორც ერთ დროს მევენახეობა-მეღვინეობის აყვავებული მხარე, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების გზას ჩამოაცილა.

საბედნიეროდ, დღეს საქართველოში ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების ჟამი დაგვიდგა. ჯანსაღმა სიომ გურიაშიც დაბერა. აღმოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ გურიის ტრადიციულ მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინებაში. ხდება დაკარგვის პირას მისული ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოძიება და გამრავლება.

თავი და თავი ამ საქმისა გურიაში ბატონი ანდრო ვაშალომიძეა, რომელიც წლების მანძილზე რუდუნებით აგროვებდა საკარმიდამო ნაკვეთებში გაბნეულ ვაზის გურულ ჯიშებს და ცდილობდა, შეექმნა ვაზის გურული ჯიშების კოლექცია, თუმცა ამ დიდი იდეის ხორცშესხმა მან მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერით შეძლო.

ბატონმა ანდრომ ოზურგეთში 7000 მ2 ფართობზე გააშენა კოლექცია, რომელიც მოიცავს 40 სხვადასხვა ჯიშს, დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ამ საქმის დიდი ხელშემწყობი ბატონი ზურაბ ჩხაიძე („კახური ტრადიციული მეღვინეობა“), რომელმაც შეიძინა ვაზის გურული ჯიშების 17000 ძირი ნერგი და უსასყიდლოდ გადასცა ბატონ ანდრო ვაშალომიძეს მოსახლეობაში გასავრცელებლად.

გურიის სამივე რაიონის 400-მდე ოჯახმა უსასყიდლოდ მიიღო და გააშენა 10000 ძირი ჩხავერი და 7000 ცალი სხვა ჯიშები, სულ 14 სახეობა.

ბატონი ანდრო ვაშალომიძე არც მეღვინე და არც მევენახეა, პროფესიით ის მექანიზატორია, მაგრამ მან თავისი მამულიშვილური საქმიანობით დაადასტურა, რომ ყოველი ქართველი (ამ შემთხვევაში, გურული) გენეტიკურად მევენახეც არის და მეღვინეც. ამას ადასტურებს მის მიერ შექმნილი ვაზის გურული ჯიშების კოლექცია და მის მიერ დაყენებული საკმიელას ღვინის ოქროსა და ვერცხლის მედლები 2011 და 2015 წლებში ბათუმში ჩატარებულ საოჯახო ღვინოების ტრადიციულ კონკურსზე.

არ შეიძლება დიდი მადლიერებით არ აღვნიშნოთ გურული ვაზის მზრუნველი ენთუზიასტი გურულები: ქაქუთელი სოსო ხინთიბიძე, ლიხაურელები ბესო მჟავანაძე და ბიძინა ცეცხლაძე, ლანჩხუთელი კახა კვიტაშვილი, ჩოხატაურელი – ბადრი გორგასლიძე (ხიდისთავიდან) და ხვიჩა კობალაძე (ქვემო ერკეთიდან), შემოქმედელი გურამ ღლონტი (გონებისკარიდან).

სასიხარულოა ის, რომ ეს ენთუზიაზმი ხალხის, გურულების წიაღში დაიბადა, რაც ვფიქრობთ, გურიის ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების მყარი გარანტიაა.

თეიმურაზ ღლონტი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ქვევრისა და ქვევრის ღვინის შენოშენი

ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია უწყვეტი პროცესია და ის 8000 წელს ითვლის. შულავერის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ძვ. წ. VI-V ათასწლეულების თიხის ჭურჭელში (თანამედროვე ქვევრის პირველსახეში) დაფიქსირებულია წითელი ღვინის კვალი და ვაზის ყვავილის მტვერი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თიხის ჭურჭელში ყურძენი იწურებოდა და ყურძნის ტკბილი დუღდა სრულ ჭაჭაზე ანუ ყურძნის მაგარ ნაწილებზე, ისევე, როგორც დღეს კახური ღვინის დაყენებისას. ქვევრი ისტორიულად იყო უმთავრესი და შეუცვლელი ღვინის დასადუღებელი, დასავარგებელი და შესანახი ჭურჭელი არა მხოლოდ კახეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ხალხური სელექციის მაღალმა დონემ, ღვინის დაყენების საქმეში დაგროვილმა ათასწლოვანმა გამოცდილებამ განაპირობა ვაზის ჯიშების მრავალფეროვანი თაიგულისა და ღვინის სორტიმენტის ჩამოყალიბება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონების მიხედვით. ამის საფუძველზე საქართველოში შეიქმნა ქვევრში ღვინის დაყენების ხუთგვარი ტექნოლოგიური წესი. ესენია: კახური, იმერული, კოლხური, ბუნებრივად ნახევრადტკბილი და ბუნებრივად ცქრიალა ღვინოების დაყენების წესები.

კავკასიაში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების დღიდან დაიწყო ბრძოლა ვაზის ქართული ჯიშების, ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წესების იგნორირებისა და ევროპულით შეცვლის თვალსაზრისით.

ამ პოლიტიკის პირველ განმახორციელებლად საქართველოს მოევლინა ცნობილი რუსი სპეციალისტი გ. ლენცი, „პიონერად“ წოდებული. ის 1836-46 წლებში ცხოვრობდა კახეთში, გააშენა ორი ვენახი, ვაზის ევროპული და ადგილობრივი ჯიშებისა, ამასთან ერთად ააშენა ღვინის საწარმო და ცდილობდა ენდემურის ნაცვლად დაენერგა ევროპული ჯიშები, ხოლო ადგილობრივი მევენახეებისათვის შეესწავლა ღვინის ევროპული წესით დაყენება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. 1846 წელს გ. ლენცმა გაზეთ „Кавказ“-ში გამოაქვეყნა წერილი კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, სადაც აღიარებდა საფერავის, რქაწითელისა, კახური მწვანისა და კახური მცვივანის ღვინოების მაღალ ღირსებებს, მიუთითებდა ქვევრის უპირატესობაზე ევროპულ ჭურჭელთან შედარებით: „Неоспоримое преимущество квеври перед европейскими бочками и чанами“. მაგრამ არც ამის შემდეგ არ შეწყვეტილა მცდელობა ვაზის ევროპული ჯიშების გავრცელების მიმართულებით. კავკასიის მთავარმართებელმა მიხაილ ვორონცოვმა ყირიმიდან გამოიწერა 680000-მდე ვაზის ევროპული ჯიში და მოსახლეობაში უფასოდ დაარიგა, მაგრამ ვერც ამან გამოიღო მათთვის სასურველი შედეგი.

XIX საუკუნის ბოლოს, 1896 წელს მეორე ცნობილი სპეციალისტი მიხაილ ბალასი აღიარებდა ხელისუფლების მცდარ პოლიტიკას, როცა წერდა: აზრი არ ჰქონდა ვაზის ევროპული ჯიშების საქართველოში დანერგვა-გავრცელების მცდელობას, ვინაიდან ვაზის ადგილობრივი ჯიშები უფრო გამძლე იყო და იძლეოდა უფრო მაღალი ხარისხის ღვინოპროდუქციას, ვიდრე ევროპული ჯიშები. ხოლო ქვევრში დაყენებულ კახურ ღვინოს მაღალ შეფასებას აძლევდა და ადარებდა პორტვეინებსა და მაგარ ბურგუნდიულ ღვინოებს.


თეიმურაზ ღლონტი

როგორც ვხედავთ, რუსი სპეციალისტებისათვის ჭეშმარიტი რეალობის პირუთვნელი შეფასებისათვის სამსახური უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ოფიციალური, არამართებული პოლიტიკისადმი უსიტყვო მორჩილება. ასე, რომ XIX საუკუნე დასრულდა ქართველი მიწათმოქმედის, მევენახე-მეღვინის, ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის გამარჯვებით. ეს მოხდა იმიტომ, რომ ქართველი მევენახე გლეხობა მტკიცედ იცავდა ათასწლეულთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ტრადიციებს, ვაზის ჯიშებს, ღვინის დაყენების ადგილობრივ წესებს.

არანაკლებ პრობლემური აღმოჩნდა XX საუკუნე ქართული მევენახეობა-მეღვინეობისათვის. ეს თვალნათლივ გამოჩნდა საუკუნის მიწურულისათვის, როცა შემაგრებული ღვინოების ხვედრითმა წილმა ქართულ მეღვინეობაში 75% შეადგინა. ხოლო ქვევრები ძალდატანებით მიწით ამოავსეს ღვინის საწარმოებში.

XIX საუკუნეში ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის იგნორირებისადმი წარმართულმა პოლიტიკამ გამოიწვია ერთგვარი ნიჰილიზმი და განმაქიქებლური ტენდენციების წარმოჩენა. იწუნებდნენ ქვევრს და თავად ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიას. ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის დასაცავად გამოვიდა პროგრესულად მოაზროვნე, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი იყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) მოღვაწეობა. განსაკუთრებით ფასეულია მისი ვრცელი ნაშრომი – „ღვინის ქართულად დაყენება”, სადაც ის ღრმა ცოდნით იხილავდა ქვევრის მნიშვნელობას, ქვევრში დაყენებული ღვინის ღირსებებს და წინასწარმეტყველურად წერდა: „მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც წუნად უთვლიან ჩვენს ღვინოს, იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა და თუ ოდესმე ჩვენი ღვინო გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადმაცხონე ჩვენი შინაური თუ გარეული ოსტატების ზედმოსევას და ქადაგებას თქვენის და ღვთის წყალობით გადავურჩით”. წმინდა ილია მართალი ჩვენს მეცნიერებს მოუწოდებდა, გამოეკვლიათ, თუ რატომ აყენებდნენ ქვევრებში ღვინოს, როცა სურდათ ტრადიციული კახური ღვინის დაყენება.

იმხანადაც და XX საუკუნის მიწურულიდან ქვევრის და მასში დაყენებული ღვინის გამორჩეულობის კრიტიკულად შეფასებისას, მავანნი და მავანნი თვლიდნენ, რომ ქვევრის ღვინის გამორჩეული გემო და არომატიც მხოლოდ სუბიექტური აღქმის შედეგი იყო და არა მისი ჭეშმარიტად გამორჩეულობისა. ამ შემთხვევაში იგნორირებული ხდებოდა ისტორიულად ჩამოყალიბებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი შეხედულება კახური ღვინის გამორჩეულობის შესახებ. XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებში ოფიციალურ დონეზე იყო მცდელობა წარმოებიდან ქვევრის ამოღებისა და გაუქმებისა, მაგრამ ამ მცდელობამ, საბედნიეროდ, კრახი განიცადა. ამ მოვლენის აქტიური თანამონაწილე თქვენი მონამორჩილი გახლდათ.

მაგრამ მალე, 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ერთგვარი ფიარკამპანია ქვევრის როლისა და მნიშვნელობის უარსაყოფლად. დაიწყო ქვევრის ათვალისწუნების კამპანია იმ მოტივაციით, რომ ქვევრში ღვინის დაყენება მეტად შრომატევადია და ხარისხოვანი ღვინის დაყენება ქვევრში შეუძლებელიაო.

XX საუკუნე დასრულდა კრახით. ნიჰილისტები ამგვარად სვამდნენ კითხვას: რატომ უნდა დავაყენოთ ღვინო ქვევრებში, როცა მასში ღვინის დაყენების პროცესი მეტად შრომატევადია. მიაჩნდათ, რომ ქვევრში ღვინის დაყენების გამორჩეულობის დასაბუთება იყო არა რეალობის, არამედ ინდივიდის სუბიექტური შეხედულება.

დღის წესრიგში დადგა ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი გამოცდილებისა და ამ ღვინის გამორჩეულობის მეცნიერული დასაბუთების საჭიროება. რა პარამეტრებით გამოირჩევა ქვევრში დაყენებული ღვინო არაქვევრში დაყენებულისაგან, რა მაჩვენებლებით განსხვავდება ქვევრი – თიხის საღვინე ჭურჭელი მეღვინეობაში ხმარებული სხვა ჭურჭლისაგან? რაში გამოიხატება ქვევრის, როგორც საღვინე ჭურჭლის უპირატესობანი? აი, კითხვები, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის მიწურულს გაჩნდა ინტერესი ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ქართული წესისადმი ევროპელი ღვინის მწარმოებელთა მხრიდან. ეს პროცესი თანდათან მზარდ ტენდენციად იქცა.

ყოველივე ზემოთქმული გახდა სტიმული ქვევრისა და ქვევრის ღვინის ფენომენის მეცნიერულად გამოკვლევისა.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, როგორც აქროლად, ისე არააქროლად ნაერთთა ცალკეული ჯგუფების რაოდენობრივი შემცველობა ქვევრის ღვინოში საკმაოდ მაღალია არაქვევრში დაყენებულ ღვინოსთან შედარებით.

აქროლად და არააქროლად ნაერთთა, ცალკეულ ნივთიერებათა ცვლილებების ამსახველი ციფრობრივი მასალა მეტყველებს უპირატესად ქვევრში მიმდინარე გარდაქმნების ინტენსიურობის შედარებით მაღალ ხარისხზე.

ქვევრში დაყენებულ კახურ ღვინოს მდგრადობას ანიჭებს ყურძნის მაგარი ნაწილების და ქვევრის მასაში ბუნებრივად არსებული ორგანული და არაორგანული ნაერთები. ქვევრის კახურ ღვინოში იდენტიფიცირებულია ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა – ამინოერბომჟავა, ქლოროგენმჟავა, სკვალენი. მაღალია ქვევრის კახური ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი.

აქროლად და არააქროლად ნაერთთა ცალკეულ ნივთიერებათა ცვლილებების ამსახველი ციფრობრივი მასალა მეტყველებს უპირატესად ქვევრში მიმდინარე ქიმიური გარდაქმნების ინტენსიურობის შედარებით მაღალ ხარისხზე, სადაც გაძლიერებულია იონცვლითი პროცესები ღვინოსა და ქვევრის აქტიურ შიგა ზედაპირს შორის.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა არის ის მასაზრდოებელი წყარო, რომელიც ქმნის, ადამიანის გულის გამხარებელ კვებითი, დიეტური და სამკურნალო თვისებების მქონე სასწაულებრივ სითხეს – ქვევრის კახურ ღვინოს; რა ზეგავლენას ახდენს თავად ქვევრი ამ უნიკალური პროდუქტის ჩამოყალიბებაზე?

ამ შემთხვევაში ორ პირველსაწყისად უნდა მოიაზრებოდეს ჭაჭა – ყურძნის მაგარი ნაწილები და თავად ქვევრი. ქართველები ჭაჭას „დედოს" უწოდებენ. რა ფენომენია „დედოდ" წოდებული ჭაჭა?

ვფიქრობთ, ღრმა სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს ყურძნის მაგარი ნაწილების – ჭაჭის „დედოდ" მოხსენიება.

რატომ შეარქვა ქართველმა კაცმა დედის სახელი ყურძნის მაგარ ნაწილებს? ეს უძველესი ცნობიერული მოვლენაა. დედა ხომ არა მარტოოდენ შობს თავის პირმშოს, არამედ ძუძუს აწოვებს, ფეხზე დგომასა და სიარულს ასწავლის და ადამიანად აყალიბებს, როგორც იტყვიან ჩვენში, ფეხზე აყენებს, გადასცემს რა მას ყოველივე საუკეთესოს, რაც კი აბადია. ამიტომაც იტყვის ქართველი ღვინო დავაყენეო. გამოთქმა – „ღვინის დაყენება" უძველეს წარმოშობისად უნდა მოვიაზროთ. ჩვენს პლანეტას ქართულად „დედამიწა" ჰქვია. ქართულ ენაში დედა ყოველივეს საწყისი და ფუძეა: „დედა-ენა", „დედა-ბოძი", „დედა-ბუნება", „დედა-მიწა" „დედა-ქალაქი" და ასე შემდეგ. მიწა ქართველისათვის დედაა, ჩვენც ხომ მიწისაგან მოზელილები და ღმერთისაგან სულშთაბერილები ვართ, ქვევრიც ხომ მიწის, ანუ დედის პირმშოა. მიწისაგანვე მოზელილი და ღრმად შთაფლული დედის – მიწის წიაღში, სადაც დედო წარმოშობს და აყალიბებს კახურ ღვინოს.

ქვევრი აგებულია თიხისაგან (მიწისაგან), რომელიც მდიდარია ორგანული და არაორგანული ნაერთებით. ღვინისათვის თიხის ქვევრი ბუნებრივი არეა, რომელიც მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, ანუ იმ საკვები არით, რომლითაც ვაზი მიწის წიაღიდან კვებავდა და ამწიფებდა ნაყოფს – ყურძნის მტევანს. ამდენად, დაჭყლეტილი ყურძენი უბრუნდება იმ დედაგარემოს, რომლიდანაც წარმოიშვა, ანუ ბუნებრივ საწყისს, სადაც მას, ახალ თვისებრიობაში გარდასახულს, აქვს ბუნებრივი პირობები განვითარებისა და სრულყოფისათვის.

თეიმურაზ ღლონტი
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.
ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგი-კონსულტანტი

ბაჩუქიანი ყველაფერში სწრაფიანი ვარო, საკურორტო სეზონის დასრულებაშიც კი...

2015 წლის 1 აპრილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიამ ბახმაროში ელექტროენერგიის საკითხზე იმსჯელა. ენერგო პრო-ჯორჯიის წარმომადგენლის განცხადებით, კურორტზე ერთი მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება კომპანიისთვის ეკონომიკურად მომგებიანი არ არის. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე პრობლემა ვერ მოგვარდება, ამიტომ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ინტერნეტი და სოციალური ქსელი კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა, საჯაროობის გარდა, ინტერნეტ სივრცეში მთავარი ოპერატიულობაა. „ცოცხალი ცხოვრება ტელევიზიის სასწაულში“ XXI საუკუნეში ინტერნეტმა შეცვალა და მოვლენების პირველი მაცნე გახდა. ფეისბუქზე მოქალაქეების და ჟურნალ გურია REGION აქტიურობით ბახმაროს გამრიცხველიანების პროცესი დაჩქარდა.

ნინო დონდოლაძე: ბახმაროში ელექტროენერგია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გამორთეს. მაღაზიის მეპატრონეები, დამსვენებლები, ყველა ერთად აღმოჩნდა სიბნელეში. ენერგო პრო-ჯორჯიას ოპერატორმა მიზეზი ასე ამიხსნა, – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოთხოვნით გამოვრთეთ. გამგეობიდან შემოვიდა წერილი, ბახმაროში საკურორტო სეზონი დასრულდა და კურორტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეთო. ესეც სიახლეა! 20 სექტემბრამდე, როგორც წესი, ბახმაროში ყოველ წელიწადს არის ელექტროენერგია. ახლაც ასე ველოდით, თუმცა მოულოდნელად, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით გამოირთო. დამსვენებლები კი არიან, ჩემს მეზობლად დღესაც ჩამოვიდნენ. რა ხდება? ესაა გურულების საამაყო ბახმარო?!

ნანა ლორაშვილი: სამწუხაროა, როგორ ველოდი ბახმაროს აღორძინებას.

ნათია შათირიშვილი: ამას ჰქვია, უფროსებმა დაისვენეს.

ლელა სურმავა: რატომ მოითხოვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა კურორტზე ელექტროენერგიის გათიშვა? ვფიქრობ, მკაცრი დირექტივაა.

ნინო დონდოლაძე: მეც ასე ვფიქრობ, საინტერესოა, რატომ ხდებოდეს ასე?

ლელა სურმავა: იქ ბევრი რამ არ უნდა ხდებოდეს. მეწვრილმანე ადამიანების მოქმედებაა, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს პატივს არ სცემენ და ფიქრობენ, კურორტის ბატონ-პატრონები გახდებიან, რაც შეუძლებელია. ეს არის საჯარო მოხელის თმენის ვალდებულება, რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა მინისტრმა რომ აღნიშნა?! ვინმეს აინტერესებს დამსვენებლების უფლებების დაცვა?

ნინო დონდოლაძე: დამსვენებლების უფლებების დაცვაზე, როგორც ვიცი, ისევ დამსვენებლები ზრუნავენ. გადაწყვიტეს ენერგეტიკის მინისტრს კახი კალაძეს მიმართონ.

ლელა სურმავა: ნინო, ახლავე დავუკავშირდები ენერგო პრო-ჯორჯიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ავთო დვალიშვილს. დამსვენებლების მიმართ დაუდევრობა დაუშვებელია. სასწრაფოდ, ხელმოწერებით გაუგზავნონ წერილი ენერგეტიკის მინისტრს. ისევ ყველგან გამორთულია, რა ხდება ახლა?

ნინო დონდოლაძე: ლელა, ცენტრშიც და მოშორებითაც ისევ გამორთულია. მარტო რამდენიმე ადგილას ჩანს ელექტროენეგია, როგორც ვიცი, გენერატორი აქვთ ჩართული.

ნანა სავანელი: ვაი, ჩვენს საქართველოს... საით მიექანება...

ნინო ძნელაძე: სირცხვილი და თავის მოჭრა!

შორენა დოლიძე: ბახმარო ყოველთვის იქნება გურულების საამაყო კურორტი, მიუხედავად იმისა ელექტროენერგიას ჩართავენ თუ გამორთავენ.

ნატო დონდოლაძე: ქვეყანა დიდ გაუგებრობაშია, ყველგან ელექტროენერგიის პრობლემაა.

ნათია შათირიშვილი: სამწუხაროდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს თქვენი ბედი ნაკლებად აღელვებს.

ნინო დონდოლაძე: ასე გამოდის. ორი კვირის წინ ენერგო პრო-ჯორჯიამ გამორთო, გადახარჯვაო, ახლა, კი, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით გამორთეს. ასე ადრე პირველად გამორთეს.

ეთერ წილოსანი: გურულები ყველაფერში სწრაფები ვართ, სეზონის დასრულებაშიც კი... ძვირფასებო, არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება.

ლელა სურმავა: ნინო, ვესაუბრე ავთოს, მითხრა, გამგებელმა წერილით მოგვმართა, საკურორტო სეზონი დასრულდა და გამორთეთო.

ნინო დონდოლაძე: ლელა, შეიძლება გამოსწორდეს ვითარება?

ლელა სურმავა: ნინო, ქსელი გამგეობის ბალანსზეა, ენერგო პრო-ჯორჯიამ რომ მოინდომოს, ელექტროენერგიას მაინც ვერ ჩართავს.

ნინო დონდოლაძე: მეც ეს ინფორმაცია მომაწოდეს. ალბათ ვინც დარჩნენ, დამსვენებლებად არ თვლიან.

ლელა სურმავა: ასე ადრე პირველად გამორთეს, საინტერესოა, საჯაროდ გვიპასუხოს გამგებელმა, რა მოხდა?

ნინო დონდოლაძე: გვიპასუხოს და ელექტროენერგიაც ჩართოს!

ლელა სურმავა: ნინო, დაახლოებით რამდენი დამსვენებელი იქნება?

ნინო დონდოლაძე: არ ვიცი, თუმცა დავაზუსტებ.

ლელა სურმავა: გთხოვ, დააზუსტე.

ნინო დონდოლაძე: ელექტრიკოსებმა მითხრეს, დაახლოებით 90-100-მდე ოჯახი იქნებაო. ერთი ოჯახიც რომ იყოს, ადამიანებზე ხომ უნდა იზრუნონ.

ლელა სურმავა: მცირე რაოდენობა არ არის.

ნინო დონდოლაძე: ლელა, მითხრეს, ელექტროენერგიას აღარ ჩაგვირთავენ. მიუხედავად იმისა რომ ახალი დამსვენებლებიც ამოვიდნენ, როგორც გვითხრეს, გამგეობამ სეზონი დახურულად გამოაცხადა, რადგან ელექტროენერგიის გადახარჯვაა, გამგეობას აღარ სურს ამ ხარჯებს კიდევ მიემატოს. თანხა დამატებით რომ გადაიხადონ, მაინც არაფერი გამოვაო. ამიტომ ენერგო პრო-ჯორჯიას მიმართეს, ელექტროენერგია გამორთეთო. დამსვენებლები კი სიბნელეში და ცეცხლთან იყვნენო. ესეც ჩვენი XXI საუკუნე!

ნინო დონდოლაძე: ლელა, სასიხარულო ინფორმაცია გვაქვს, მომავალი წლიდან ბოლოს და ბოლოს ბახმაროში დაიდგმება მრიცხველები, ვაშა, (მართლა)! არაფერი გიჭირთ, ცოტა ხნით სიბნელეს თუ გაუძლებთო, ჩვენ ხომ პოსტსაბჭოთა ქართველები ვართ!

ავთანდილ ძირკვაძე: ამ მხრივ ბეშუმი მოწესრიგებულია და ელექტროენერგია ყოველთვის არის. ქალბატონო ნინო, მსურს დაგეხმაროთ, ზორტიყელში მაქვს სახლი, იქ არ ვარ, ამჟამად სკოლაში ვიმყოფები.

ნინო დონდოლაძე: შევეჩვიეთ უკვე ავთო?! (სმაილი)

ლელა სურმავა: ნინო, რა ხდება, არის სიახლე?

ნინო დონდოლაძე: ლელა, დიდი ძალისხმევის შედეგად, დღეს ბახმაროს ელექტროენერგია მიაწოდეს. მადლობთ, მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

ლელა სურმავა: ნინო, შენი აქტიურობით შედეგს მივაღწიეთ. ბახმარო არა მარტო დამსვენებლებისგან დაცლას გადაურჩა, გარკვეული ჯგუფის გამიზნული მოქმედებებიც გამოიკვეთა. უბრალოდ, დროებით უკან დაიხიეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი და სამართლებრივი დავა არ გვაინტერესებსო, თუმცა აუცილებლად დაინტერესდებიან, რადგან პოსტსაბჭოთა საქართველო ნელა, მაგრამ მაინც განვითარდება!

რედაქციისგან: კურორტზე ენერგო პრო-ჯორჯიას წარმომადგენლებმა საპროექტო მონაცემების შეგროვება და პროექტზე მუშაობა უკვე დაიწყეს. ბახმაროში დამსვენებლებს მბჟუტავი სანთლის მსგავსი ელექტროენერგია აღარ დახვდებათ.

ლელა სურმავა

ჭაჭას ჭანჭოპიღი ფიჭრიქო

1999 წლის შემოდგომაზე ბათუმმა გვარიშვილების შეკრებას უმასპინძლა. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. მასპინძლებმა დიდებული პროგრამა შემოგვთავაზეს. ყველაფერი იდეალურად იყო ორგანიზებული. გაუთვალისწინებიათ ყოველი წვრილმანი. სტუმრებმა დაათვალიერეს პორტი, ქვეყნის მთავარი საზღვაო ჭიშკარი; ახლადაგებული ბორანი, რომელიც საქართველოს ვარნასთან, კონსტანცასთან და ილიჩევსკთან აკავშირებს; ეწვივნენ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობილ სარფის საბაჟოს; თვალს ვერ აშორებდნენ საბაჟოს შესასვლელთან ფლაგშტოკზე მოფრიალე საქართველოს დროშას; იყვნენ ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში, დაათვალიერეს ქარხნის პროდუქცია – სარეალიზაციოდ გამზადებული მშვენიერი საზღვაო კატარღები; იყვნენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ბინათმშენებელ კომბინატში; გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს; გემითაც გაისეირნეს, ზღვიდან შეავლეს თვალი „ბათუმს ქათქათას“, სანთლები დაანთეს წმინდა ბარბალეს ეკლესიაში...

შეკრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს დიდი მამულიშვილების – ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლები.

საღამოს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეკრების მონაწილეებს მიესალმა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ასლან აბაშიძე.

ბათუმი ღამით

საღამო დააგვირგვინა საგანგებოდ ამ დღისათვის მომზადებულმა კონცერტმა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი თეატრის სცენას დაამშვენებდა.

ერთი სიტყვით, სტუმრებმა საკუთარი თვალით იხილეს ის აღმშენებლობა, აჭარაში რომ სუფევს.

შეკრების ინიციატორი, საქართველოს საერო აკადემიის აკადემიკოსი იაკობ ახუაშვილი სტუმრებს ბოლო წუთამდე თავს დასტრიალებდა.

– ეს ორი ლამაზი ბერიკაცი შენს კუპეში მოვასვენოთო, – მითხრა მახინჯაურის რკინიგზის ბაქანზე.

– სიამოვნებით-მეთქი.

როგორც გზაში ხდება, სწრაფად გავიცანით ერთმანეთი.

გიორგი ნონიაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ მატანიდან ყოფილა, მისი მეგობარი, ქისტი მახმად მარგოშვილი კი – სოფელ დუისიდან.

ბატონი მახმადი ჩუმად იჯდა ფანჯარასთან და ზღვას გაჰყურებდა. ბატონი გიორგი კი წრიალებდა. შევატყვე, საუბარს იყო მოწყურებული; შთაბეჭდილებებით დატვირთულს გულის გადაშლა, განტვირთვა სურდა.

გაზეთ „ახალი ერას“ კორესპონდენტმა მატანელ გიორგი ნონიაშვილს ინტერვიუ ჩამოართვა. კეთილშობილი ბერიკაცის საუბარში მრავალი საყურადღებო აზრია გამოთქმული, რომელიც დღესაც აქტუალურია. გთავაზობთ, ამ საუბრის ჩანაწერს.

– ე რეები ვნახე კაცოო! რეები უკეთებია ამ დალოცვილსა! რა უშენებია, რა უმშვენებია! ნეტა, თავად რა გამიკეთეს მისმა მაგინებლებმა, ჰა?! კაი, თხუთმეტი წელიწადია, ბათუმში არა ვყოფილვარ, ვერ კი ვიცანი, კაცო! როგო გალამაზებულა! რა ქარხნები ვნახე, რა ფაბრიკები, სუ აწყობილი; თავი უცხოეთში მეგონა! იაკობას კიდე ღმერთმა დღეგრძელობა მიცეს! ეს ათი წელიწადია, პირველად ვიცხოვრე კაცურადა! ან სად მეძინა, ან რასა ვჭამდი და რასა ვსვამდი, ან რა მანქანით დამაბრძანებდნენ? იმ ორ დღეს რა დამავიწყებს?! აწი ნახე, იმის მაგინებელს სულს ამოვხდი, – იქადნებოდა ბერიკაცი.

– ახლა კიდენა, იქაურობას ჩემ სოფელ რო ვადრი, სუ გული მეწურება. ჩემი სოფელი დაქცეულია, მრეწველობა განადგურებული. მოსავალი მოგვყავ, ყურძენი ვერ გაგვიყიდია. მე ტექნოლოგი ვარ. ქარხანაში ყოველ წელს ოც ათას ტონა ყურძენ ვიღებდით და ვამუშავებდით. ახლა ჩემი ქარხანა დაბომბილ გავ. გული მაგიკვდება. ადრე სოფელში მარტო ჩვენ მეურნეობას შვიდი ათასი ტონა ყურძენი მოყავდა, კერძოსა კიდე ათას ხუთასი ტონა. ახლა მთელ ახმეტიი რაიონში არ იკრიფება ათასი ტონა. მეურნეობაში ორი ათასი სული მსხვილფეხა საქონელი გვყავდა, – შაიჭამა; ცხვარი იყო – შაიჭამა; ხალხ შავი დღითვინ ფული ქონდა მიბარებული სახელმწიფოთვინ – შაიჭამა; რა აღარ შაჭამეს, მიწა ჭამა ამათმა პირმა! სატყეო გვქონდა – საკავშირო მნიშვნელობისა, გაჩერებულია; საკონსერვო ქარხანა გვქონდა – გაჩერებულია; საყოფაცხოვრებო კომბინატი გვქონდა უშველებელი, ორი ათასი კაცი იყო დასაქმებული, – გაჩერებულია; ბიოქიმიური ქარხანა იყო – გაჩერებულია. მიწა მოგეცითო – სუ იმას გვაყვედრიან. ნეტა რა თავში ვიხლი ცარიელ და გაბერწებულ მიწასა! ბენზინი არ არი, სალიარკა არ არი,



მემედ აბაშიძის ძეგლი

ტრაქტორი არ არი, შხამქიმიკატი არ არი...

ჩემ სოფელში ორი ათასი კომლია, სულადობით კიდე შვიდი ათასამდინ. მოხვიდე, ნახო – გული მაგიკვდება. გაღატაკდა, დაბეჩავდა ხალხი, ნახირ დეემსგავსა.

– ბატონი გიორგი! ხომ ხედავთ, თქვენს საუბარს დიქტოფონზე ვიწერ. არ გეშინიათ, რომ გაზეთში დავბეჭდო? – ვეკითხები.

– დაწერე, დაწერე! შენ იკითხე, თუ გაბედამ სიმართლიი დაწერას, თორემა მე არავისი არ მეშინიან. ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს?! ან ტყუილ რას ვამბობ?! ხალხი ძაან უკმაყოფილოა. მარა გულში ვისაც რა აქ, ყველა ხომ ვერ იტყვის?! ეშინიათ და მიტომა. მე კი დასამალი არაფერი მაქ. მთელი სიცოცხლე კაცურად ვიცხოვრე, ტკბილ სიბერეს ველოდი, მარა ეეენდე – გამიძაღლდა ცხოვრება. ვისი უნდა მეშინოდეს?! ან რა პირით მამადგება ვინმე, და რამეს მეტყვის? ან იმაზე მეტი რა უნდა მიქნან, რაცა მჭირს?! მეულლე მყავ, დამსახურებული პედაგოგი, – მშიერი დამიდის; ხუთი შვილი მყავ, რვა შვილიშვილი; ორი შვილი ექიმია, ყრიან მშივრები. ორი შვილი ქალაქში მყავ – მამი, მამი, რამე გამოგვიგზავნეო. რა ვქნა, კაცო! რა ჭირი გავუგზავნო?! ჩემი შარშანდელი პენსია დაკონსერვდა. წელსა კიდენა, მხოლოდ ოთხი თვისა მაქ მიღებული, დანარჩენმა ჩაილურის წყალი დალია. დღეის სწორს ყურძენი დავკრიფე, მარა ვერ გავყიდე. არა მაქ ე ოხერი ფული და რა გავუგზავნო?!

აბა, მეტი რაღა გითხრა, შვილოსა?!

ტყუილად კი მალაპარაკე, ამას ვინ დაბეჭდამს?!

ჯუმბერ ჯიშკარიანი
„ახალი ერა“, 4 აპრილი, 2000წ.

სუონის საერთაშორისო სიმპოზიუმი

დიდ ბრიტანეთში ქალაქ სუონსში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე – ბიოპესტიციდები-ინოვაციური ტექნოლოგიები და სტრატეგიები მავნე ორგანიზმების კონტროლისათვის. სადაც მიწვეული გახლდათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მანანა მინდაძე.

– ქალბატონი მანანა, რა მიზანს ისახავდა ეს ღონისძიება და რა საკითხები განიხილეს სიმპოზიუმზე?

– ღონისძიება მიზნად ისახავდა ბიოპესტიციდების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სტრატეგიის განვითარების ხელშეწყობას. მის პოპულარიზაციას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ბიოპესტიციდების ეფექტურობის ამაღლებას, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და მავნე ორგანიზმების კონტროლის პროგრამებში ჩართულობას.

მანანა მინდაძე

ეს ღონისძიება იყო დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ მკვლევარები, მწარმოებლები, მრეწველები და სამთავრობო უწყებების ყველა სექტორში მომუშავე პირები (სატყეო, სოფლის მეურნეობის, მებაღეობის, მესაქონლეობა და ჯანდაცვა) მიეღოთ უახლესი ინფორმაციები, გაცნობოდნენ ახალ (ინოვაციურ) მიდგომებს და მეთოდებს, რომელიც დაეხმარება მათ ახალი ბიოპესტიციდების მოძიებაში და ახალი ბიოპესტიციდების წარმოების განვითარებაში.

– რამდენი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა სიმპოზიუმს?

– სიმპოზიუმს ესწრებოდა 150-მდე დელეგატი, ხუთივე კონტინენტის 25 ქვეყნიდან. მოისმინეს 57 ზეპირი მოხსენება. ასევე მოეწყო გამოფენა, სადაც ესწრებოდნენ სხვადასხვა ბიოპესტიციდების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები და ეკონომისტები.

– რას ნიშნავს ბიოპესტიციდები?

– ბიოპესტიციდები ნიშნავს (ბიო-ბიოლოგიური, პესტ-მავნე ორგანიზმები, ციდი-მოკვლას) ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებას სხვა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ. ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და არა მხოლოდ მცენარეთა დაცვაში, არამედ პირუტყვის პარაზიტების (მაგ. მავნე ტკიპების) წინააღმდეგაც.

ბიოპესტიციდები(ბიოპრეპარატები) წარმოადგენს ბიოლოგიურ საშუალებებს, რომელიც მზადდება მიკრობული ორგანიზმების (სოკოების, ბაქტერიების, ვირუსების, მიკროსპორიდიების და ნემატოდების) საფუძველზე და მათ ხშირად ბიოლოგიურ აგენტებსაც უწოდებენ.

თანამედროვე მსოფლიოში, გარემოს დაცვისა და გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გარემოსათვის უსაფრთხო საშუალებების გამოყენება უდიდეს მნიშვნელობას იძენს და სულ უფრო ფართოვდება მათი როლი მავნე მწერების ინტეგრირებულ მართვაში. მზარდია მოთხოვნა გარემოსათვის უსაფრთხო საშუალებების გამოყენებაზე. ვინაიდან ქიმიური პესტიციდების ინტენსიური გამოყენება იწვევს არა მხოლოდ გარემოს დაბინძურებას, არამედ ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას.

ბიოპესტიციდები არის ეკოლოგიურად მისაღები, არ იწვევს გარემოს დაბინძურებას, არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე თბილსისხლიან ცხოველებზე. უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოებასა და ბიოუსაფრთხოებას. მათი გამოყენებით შესაძლებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება, რაზეც მოთხოვნილება ბაზარზე დღითიდღე იზრდება.

დღეისათვის საქართველოში აგრარული სექტორი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ფერმერული მეურნეობებისა და სასათბურე სისტემის ჩამოყალიბება მომავალში მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებულ დაცვას მავნებელ-დაავადებებისაგან. მასობრივი გამრავლების შემთხვევაში მათ მიერ გამოწვეული ეკონომიკური ზარალი დიდია. ამიტომ ადგილობრივი რესურსებით შექმნილი ბიოპრეპარატების დროული გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს დანახარჯებს, გაზრდის მათ ეფექტურობას, ასევე ხელმისაწვდომი იქნება ფერმერული მეურნეობებისათვის.

– როგორ მიმდინარეობს საქართველოში ბიოპესტიციდების გამოყენება?

– ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები ბიოპესტიციდების წარმოებისათვის და მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის. ამ მხრივ კვლევითი სამუშაოები ჩატარებულია აგრარული უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს მეცნიერებათა დოქტორი მედეა ბურჯანაძე. ამ მიმართულებით იგი მუშაობდა აშშ-ში და ევროპაში, კერძოდ აშშ-ში და ინგლისში დღეისათვის მას აქვს ქართულ ადგილობრივ პროდუქტზე დამზადებული ბიოპესტიციდის საცდელი პარტია, რაც საფუძველს უდებს, რომ მომავალში საქართველოში მოხდეს ადგილობრივი პროდუქციის წარმოება. და მოსახლეობას მიეწოდოს ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი პროდუქცია.

– როგორი იყო სიმპოზიუმზე საქართველოს მიმართ დაინტერესება?

– საქართველოს მიმართ დიდი ინტერესია. თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა მრავალმა ადამიანმა. ასეთი იყო ერთ-ერთი გერმანული კომპანიის წარმომადგენელი ვილჰელმ ბეიტზე-ჰეინეკე, რომელიც ნოემბერში გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას. იგი ჩოხატაურშიც გვეწვევა.

ქეთევან კუკულავა

პირველი ტექნოლოგიური პარკი საქართველოში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს საქართველოში პირველად მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის (ტექნოლოგიური პარკის) მშენებლობას, რომელიც შექმნის ერთიან ეკოსისტემას ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს ინოვაციური იდეების განვითარებას.

ტექნოლოგიურ პარკს დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. ტექნოლოგიურ პარკს შეუძლია შესთავაზოს სტარტაპ და პატარა კომპანიებს ისეთი რესურსები, რომელიც მათთვის აქამდე ძნელად წარმოსადგენი იყო.

ტექნოლოგიური პარკი დიდ როლს ასრულებს:

ახალი ბიზნესის შექმნაში
არსებული ბიზნესის განვითარებაში
ახალი კომპანიების შექმნაში
ინოვაციების კომერციალიზაციაში
მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში

უმთავრესი მიზანი, რომელიც გააჩნია საქართველოში პირველ ტექნოლოგიურ პარკს არის ცოდნაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება. ტექნოლოგიური პარკი ასევე უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის მოზიდულ იქნას უცხოური ინვესტიციები და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობები დაფუძნდეს საქართველოში, ტექნოლოგიური პარკის ბაზაზე.

ტექნოლოგიური პარკში მომუშავე პირებს ექნებათ შესაძლებლობა გაიზარდონ, განვითარდნენ და გაფართოვდნენ იმავე სივრცეში. ტექნოლოგიური პარკი მოიცავს, როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებს და ლაბორატორიებს, ასევე დიდ ოფისებს კომპანიებისათვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებს და რეკრეაციულ სივრცეს.

პირველი ტექნოლოგიური პარკი „სილიკონ ველში“ შეიქმნა სტენფორდის უნივერსიტეტში, აშშ-ში 1950 წელს. დღესდღეობით ტექნოლოგიური პარკი მოწყობილია 70 ქვეყანაში, რომელთანა 59% არის ევროპაში, 21% აზიაში, 17% აშშ-ში და 3% აფრიკაში და ჯამში განთავსებულია დაახლოებით 200 000 კომპანია.

საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს სხვადასხვა სერვისების მიწოდებას, როგორც ცალკეული ინოვატორებისათვის, ასევე დამწყები კომპანიებისათვის და მსხვილი საერთაშორისო კორპორაციებისათვის. ტექნოლოგიური პარკის ტერიტორიაზე იმუშავებს აქსელერატორი, მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრეინინგ-ცენტრები და შოუ-რუმები, მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, co-working ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი და სხვა ინფრასტრუქტურა და სერვისები, რომლებიც მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ტექნოპარკის მშენებლობა დასრულდება 2015 წლის ბოლომდე. ტექნოპარკის მშენებლობაში განხორციელდა 3 მილიონი ლარის ინვესტიცია.

დაჯარიმების შიშით აღაშიანები გარემოს დანაგვიანებას ერიდებიან

„ნარჩენების მართვის კოდექსი,“ რომელიც 15 იანვრიდანაა ძალაში, მინიმალური ოდენობა 50ლ-ით, ხოლო მაქსიმალური 5000ლ-ით განისაზღვრება. კოდექსის თანახმად 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება დაისჯება 80 ლ-ით, საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან გარემოს 2კგ-მდე დანაგვიანება100 ლ-ით. აღნიშნული კოდექსი მოიცავს გრძელ ჩამონათვალს, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის დარღვევა სხვადასხვა სახით ისჯება. ჩვენ კითხვით მივმართეთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, თუ რამდენად იცნობენ კოდექსს „ნარჩენების მართვის შესახებ.

გარუჩავა დავით – ცოტა ძნელი მისახვედრია როგორ უნდა განისაზღვროს დაჯარიმების ხარისხი. მე მეტნაკლებად ვიცნობ ამ კოდექსს და როცა ლაპარაკია იმაზე, რომ – „სატრანსპორტო საშუალებიდან გარემოს 2 კგ.-მდე ნარჩენებით დანაგვიანების შემთხვევაში მძღოლი ჯარიმდება, თუ არ ვცდები 120 ლ-ით. იქნებ ერთად თავმოყრილი არ მოისროლეს მანქანიდან, არამედ მოხდა მისი დანაწევრება გარკვეული დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში როგორ ხდება, როგორ დამიმტკიცებენ 2კგ. გადავყარე თუ მეტი. ხომ შეიძლება ვიდავო, ნამდვილად მოხდა თუ არა 2კგ-მდე ნარჩენების გადაყრა და უსაბუთოდ მოხდეს დაჯარიმება 120 ლ-ის ნაცვლად მეტი თანხით. კანონში უფრო გარკვევით უნდა იყოს თითოეული ნიუანსი გათვლილი და მითითებული.

ცინცაძე ლია – ძალიან კარგი საშუალებაა იმისათვის რომ ჭუჭყისგან დავიცვათ ჩვენი ქალაქი თუ მუნიციპალიტეტი, რაც უკვე ეტყობა კიდეც. დაჯარიმების შიშით ადამიანები გარემოს დანაგვიანებას ერიდებიან.

აცანელიძე ია – არ ვიცნობ კანონს, არ ვიცი რა და როგორაა მითითებული, მაგრამ თუ ეს სისუფთავეს ეხება და ამით რამე ეშველება დანაგვიანების პრობლემას, მივესალმები ასეთი სახის ჯარიმების შემოღებას.

ბარამიძე იაშა – რატომ უნდა იყოს ამისთვის საჭირო ჯარიმები, თავად უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი კუთხის სისუფთავეზე და რადგან არ გამოგვდის, იქნებ ჯარიმების შიშით გამოგვივიდეს.

გურგენიძე პაატა – როცა გვაქვს პრეტენზია იმისი, რომ გავუტოლდეთ ევროპას და ჩემგან მოითხოვ სიგარეტის ნამწვი და კოლოფი (არ მაქვს ლაპარაკი კგ-მდე ნაგავზე) ქუჩაში არ მოვისროლო, მაძლევ ამის ფუფუნებას? ამისთვის უნდა იყოს ნაგვის ურნები ისე განლაგებული, რომ ნაგვის ხელით ტარება არ მომიხდეს. ადამიანმა ვერ მიაგნო ურნას და სიგარეტი თუ ჩეკი იქვე მიაგდო.

რამიშვილი ნაზი – ამ კოდექსიდან მახსოვს ზოგი რამ. ვიცი, რომ კოდექსის თანახმად ჯარიმდება იმ ცხოველის მეპატრონე, რომელიც მოახდენს გარემოს ფეკალური მასებით დაბინძურებას. მე მაქვს კითხვა, როგორ უნდა მოახერხოს, შინაური ცხოველის მეპატრონემ ის, რომ თუნდაც მარტო ერთხელ დააჯარიმონ?

ირინა რამიშვილი

ლიხაურის ეკლესიის კედლის მხატვრობის გაბნეული ფრაგმენტები

რედაქციისგან: ***ლიხაურის ეკლესიაში მხატვრობა 1995-1996 წლებში ჩამოხსნეს, მხოლოდ ორი სცენა დატოვეს – გარდამოხსნა და საფლავის გახსნა, რომლებიც ტაძრის ჩრდილოეთ კედლებზეა. 90-იან წლებში ჩამოხსნილი ფრაგმენტების ნაწილი იქვე მიტოვებულ შენობაში გადაიტანეს. რესტავრირებული ფრაგმენტები ოზურგეთის ეპარქიაში ცელოფანში შეფუთული ფანჯრებზე დევს. 2005 წელს რესტავრატორმა გურამ ჭეიშვილმა ნაწილი თბილისის სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში გადმოიტანა, რომლებიც სპეციალურ დარბაზში ყუთებში არის მოთავსებული.***

კედლის მხატვრობა ერთ სივრცეში უნდა განთავსდეს, რადგან ჩამოხსნის შედეგად უფრო დაზიანდა. თბილისის სამხატვრო აკადემია დამოუკიდებლად რესტავრაციას ვერ ჩაატარებს, რადგან სათანადო სახსრები არ აქვს.

ლიხაურის მხატვრობის რესტავრაციის სადიპლომო ნაშრომის ავტორი ნანიკო ხუსკივაძე თხოვნით მიმართავს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გურიის გუბერნატორს, გია სალუქვაძეს. ოზურგეთის ადგილობრივ ხელისუფლებას საკითხის გადაწყვეტაში აქტიურად ჩაერთონ და პროექტის მიმართ თანადგომა გამოხატონ. ლიხაურის ეკლესიის მხატვრობის აღდგენის შემდეგ რესტავრირებული კედელი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება.

ვის საკუთრებაშია ჩოხატაურის აგრარული ბაზარი?

ჩოხატაურელები 13 წელი უშედეგოდ ელოდებოდნენ ბაზარში ელემენტარული პირობების გაუმჯობესებას. აგრარული ბაზარი ცეკავშირის საკუთრებაში იყო, შემდეგ მეპაიეებმა გამოისყიდეს. ბაზრის ყოფილი დირექტორის გია სიხარულიძის განცხადებით, 2003-2004 წლებში მეპაიეები პროკურატურაში დაიბარეს, კრების ოქმი შეადგინეს, იძულებით, სანოტარო აქტის გაფორმების გარეშე, ქონება სახელმწიფოს გადასცეს.

– თუ მეპაიეების უფლებები დაირღვა, რატომ არ დაიწყეთ სამართლებრივი დავა?

– მათთან ბრძოლას აზრი აქ ჰქონდა. ეს დრო თავისთავად უნდა მოვიდეს. გადასცენ მუნიციპალიტეტს, ისინი შეხედავენ ჩვენს შემოსავლებს.

ეს დრო თავისთავად მოვიდა, ეკონომიკის სამინისტრომ მუნიციპალიტეტს ბაზარი დაუბრუნა, თუმცა მეპაიეები ჯერ ცაიტნოტში, შემდეგ კი „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, მათთვის სასურველი დრო აღარ დადგება!

– პროცესები ისე წარიმართა, დავის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა – აღნიშნა ყოფილმა დირექტორმა გია სიხარულიძემ, ამიტომ მეპაიეებს იმედი საბოლოოდ დაეკარგათ.

ცეკავშირმა და მეპაიეებმა სამართლებრივ დავას არ მიმართეს, ამიტომ ეს ქონება დაკარგეს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა:

– ამ დროის განმავლობაში ირღვეოდა თუ არა მეპაიეების უფლებები?

– უძრავი ქონება, კერძოდ 4941კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 11 ერთეული შენობა-ნაგებობა (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28. 01.22.038, რომელშიც დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს შპს „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“, ჩოხატაურის რაიკოოპერატივის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში გადაეცა 2006 წელს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე, **რედ: 2014 წლის სექტემბრის ნომერში მომზადებული რეპორტაჟის – ჩოხატაურის აგრარული ბაზარი – უსტატუსო და უფუნქციოს შემდეგ გააგზავნეს მოთხოვნა გამგეობიდან ეკონომიკის სამინისტროში.** ბაზარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოვიდა. აღნიშნული ქონება ირიცხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის შპს „ჩოხატაურის აგრარული ბაზრის კაპიტალში“. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემამდე იმდროინდელი მესაკუთრის (სახელმწიფოს) მიერ განკარგვის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

– ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 386 456 ლარი გამოიყო და შესაბამისი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

– რაც შეეხება მეპაიეების უფლებების დარღვევას, იგი ვერ დაირღვეოდა, რადგან აღნიშნული ქონება არ წარმოადგენდა ხსენებული მეპაიეების საკუთრებას.

– ჩვენს კითხვაზე რჩებიან თუ არა იქ ძველი თანამშრომელები? – პასუხი ვერ მივიღეთ. აგრარულ ბაზარს ახალი დირექტორი ჰყავს და თანამშრომლებს უკვე ის შეარჩევს.

ირინა რამიშვილი
ლელა სურმავა

ქართული ფუტკარი ქართული სიძღიერეა

იმ ქვეყნებში, სადაც მეფუტკრეობას, როგორც ერთ-ერთ უძველეს და შემოსავლიან დარგს ჰაცივისცემით ეპყრობიან, წარმატებებს ღიწევენ. საქართველოში უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიუხედავად, ბოლო წლებში მას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ქართული ერი ბუნების ნაჩუქარ ფუტკარს მიიჩნევდა როგორც ღვთიურ მწერს, ამიტომ განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. უკონტროლობისა და დარგისადმი არაპროფესიონალური მიდგომის შედეგად, შესაძლოა ქვეყანამ დაკარგოს მსოფლიო გენოფონდის კუთვნილება - ქართული ფუტკარი და მისი ცალკეული პოპულაციები (მეგრული, ქართლური, გურული და აჭარული). ამიტომ მათი გადარჩენის პროგრამა უნდა შედგეს, ასევე დაიგეგმოს ფუტკრის ბუნებრივი გავრცელების კერებში საჭირო სტრუქტურები. სხვადასხვა ქვეყნებში თაფლის ექსპორტირებისას სავალდებულო მოთხოვნების შესრულებისათვის წინასწარ უნდა მოხდეს ამ ქვეყნებში თაფლზე არსებული სტანდარტების შესწავლა, პროდუქციის სერტიფიცირება მათ შესაბამისად და სასაქონლო სახის მიცემა. ფუტკრის სხვა პროდუქტების (ყვავილის მტვერი, ცვილი, დინდგელი, შხამი, რძე) წარმოებისა და ექსპორტირების შესაძლებლობები. ამ პროდუქტების დამზადებისა და სასაქონლო სახის მიცემისათვის სხვა ქვეყნებში არსებული მოთხოვნები, ასევე ჩვენი მომხმარებლის მოთხოვნილების შესწავლა და პროდუქციის წარმატებული რეალიზაციისათვის მის ნარსახეობათა შექმნის შესაძლებლობის გამოყენება.

მეფუტკრეობის დარგით დაინტერესებულმა ყველა პიროვნებამ უნდა იცოდეს!

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება №714, თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. დადგენილება 2015 წლის 1 ივლისიდან უნდა ამოქმედდეს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) აღდგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს.

მუხლი 2. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

2. ტენიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს;

ა) თაფლის მიმართ;

ბ) თაფლის მარკირებისა და ეტიკეტირების შესახებ;

გ) თაფლის ბაზარზე განთავსების პირობების შესახებ;

დ) მოთხოვნებს ბიზნესოპერატორის მიმართ;



ე) თაფლის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს.

მუხლი 3. რეგულირების ობიექტი

რეგულირების ობიექტია საქართველოში ბაზარზე განთავსებული თაფლი, მათ შორის;

ა) ყვავილის ანუ ნექტრის თაფლი;

ბ) ცვარტკბილის თაფლი;

გ) შერეული თაფლი;

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

ა) ამ წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა;

ა) თაფლი – ბუნებრივად ტკბილი ნივთიერება, პროდუქტი, რომლიც მიიღება მეთაფლია ფუტკრის (Apis mellifera) მიერ ყვავილის ნექტრის ან ცვარტკბილის შეგროვების, მისი გარდაქმნის, დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) და ფიჭაში მომწიფების მიზნით შენახვის შედეგად;

ბ) თაფლის ყვავილის ანუ თაფლი ნექტრის (blossom honey an nectar honey) – თაფლი, მიღებული ცვარტკბილისაგან;

დ) ცვარტკბილი (honeydew) – მწერების (hemiptera) მიერ მცენარის წვენის გადამუშავებისას გამოყოფილი ტკბილი სითხე. ასევე არახელსაყრელ პირობებში მცენარის თაფლებზე ან სხვა ნაწილებზე გამოყოფილი ტკბილი სითხე.

ე) თაფლი ფიჭის (comb honey) – თაფლი, ცვილისაგან დამზადებული მთლიანი დაბეჭდილი ფიჭით ან ფიჭის ნაჭრები;

ვ) თაფლი ფიჭიანი (chunk honey or cut comb in honey) – თაფლი, ფიჭის ერთი ან რამდენიმე ნაჭრით;

ზ) თაფლი გა(მო)წურული/დაწურული (დრაინედ ჰონეყ) – თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის ცენტრიფუგირებით;

თ) თაფლი ექსტრაგირებული (exstracted honey) – თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის ცენტრიფუგირებით;

ი) თაფლი დაწნეხილი (დაპრესილი) (pressed honey) – თაფლი, მიღებული ფიჭის დაწნეხით (დაპრესვით), არაუმეტეს 25 გრადუს ტემპერატურაზე გაცხელებით ან გაცხელების გარეშე;

კ) თაფლის გაფილტრული (filtered honey) – თაფლი, რომელსაც ფილტრაციის შედეგად მოცილებული აქვს ყვავილის მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობა და უცხო წარმოშობის ორგანული და არაორგანული მინარევები;

ლ) თაფლის საკონდიტრო (baker honey) – თაფლი, რომელსაც აქვს უცხო გემო და სუნი, ან/და ფერმენტირე-

ბულია, ან იწყებს ფერმენტაციას, ან/და გაცხელებულია, სრულად ვერ აკმაყოფილებს ნატურალური თაფლის მახასიათებლებს და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამრეწველო მიზნებისთვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით;

მ) თაფლი მონოფლორული – თაფლი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს სხვადასხვა სახეობის მცენარის ყვავილის ნექტრისაგან;

ნ) თაფლი პოლიფლორული – თაფლი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს სხვადასხვა სახეობის მცენარის ყვავილის ნექტრისაგან;

ო) თაფლი შერეული – ყვავილის ნექტრის (ნექტრის) თაფლის და ცვარტკბილის თაფლის ბენებრივი ნარევი;

პ) დეკლარირებული სტანდარტი – სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიდა სტანდარტი.

2. ამ წესის მიზნებისათვის, ასევე, გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ (შემდგომში – სპეციალური წესი) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 5. თაფლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. ბაზარზე განთავსებული თაფლი მიღებული უნდა იქნეს ჯანმრთელი ფუტკრისაგან და გამოდიოდეს ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან (რეგიონიდან).

2. ბაზარზე განთავსებული თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მაჩვენებლებს.

3. ბაზარზე განთავსებული თაფლი ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. ბაზარზე განთავსებული თაფლის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი.

5. ეტიკეტზე დასახელება „თაფლი“ გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პროდუქტთან დაკავშირებით.

6. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, “ი“, „კ“, „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტერმინები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამის პროდუქტთან დაკავშირებით. ნებადართულია აღნიშნული ტერმინების ნაცვლად, „ე“, „ვ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა, ტერმინი „თაფლის“ გამოყენება.

7. ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტრის) თაფლის შერეული პროდუტის ეტიკეტზე დაშვებულია, გამოყენბული იქნეს ტერმინი – ცვარტკბილის თაფლისა და ყვავილის (ნექტრის) თაფლის ნარევი.

8. დაშვებულია თაფლის ეტიკეტზე, გარდა გაფილტრული თაფლის და საკონდიტრო თაფლისა, აღნიშნულ იქნეს:

ა) რეგიონალური, ტერიტორიული ან ტოპოგრაფიული რაიონი, თუ ის უშუალოდ აღნიშნულ არეალშია მიღბული;

ბ) მცენარის ან მცენარეების დასახელება, თუ თაფლი სრულად ან ძირითადად მიღებულია ამ მცენარის ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან და ახასიათებს ფიზიკურ-ქიმიური, ორგანოლეპტიკური და მორფოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ამ მცენარის ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან მიღებული თაფლისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, მცენარის ბოტანიკური დახასიათება მითითებული უნდა იქნეს უშუალოდ სიტყვა თაფლთან (მაგალითად თაფლი აკაციის, თაფლი წაბლის) ერთად;

გ) სპეციფიკური ხარისხობრივი მახასიათებლები.

9. საკონდიტრო თაფლის ეტიკეტზე, პროდუქტის დასახელებასთან ახლოს, უნდა მიეთითოს სიტყვები: განკუთვნილია მხოლოდ საკონდიტრო წარმოებისათვის.

10. თუ საკონდიტრო თაფლი ინგრედიენტის სახით გამოიყენება სურსათის წარმოებაში, ტერმინი თაფლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინ საკონდიტრო თაფლის ნაცვლად. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინგრედიენტების ჩამონათვალში მითითებული იქნეს ტერმინი – საკონდიტრო თაფლი.

11. თაფლის სატრანსპორტო ტარაზე, რომელიც არ არის განკუთვნილი საცალო ვაჭრობისათვის, მარკირებაში მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის დასახელება, პარტიის ნომერი და იმ ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელიც ახორციელებს თაფლის შეფუთვასა და დისტრიბუციას.

მუხლი 6. მოთხოვნები თაფლის მიმართ

1. თაფლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ნახშირწყლები – ფრუქტოზა და გლუკოზა, ორგანული და არაორგანული მჟავები, ფერმენტები, მიკროელემენტები და წყალში უხსნადი მყარი ნაწილები.

2. თაფლის ფერი შეიძლება იცვლებოდეს უფეროდან მუქ ყავისფერ შეფერილობამდე.

3. კონსისტენციის მიხედვით, თაფლი შეიძლება იყოს თხევადი, ბლანტი, სრულად ან ნაწილობრივ გამოკრისტალებული.

4. თაფლის არომატი და გემო დამოკიდებულია იმ მცენარის სახეობაზე, რომლის ყვავილის ნექტრიდანაც მიღებულია თაფლი.

5. დაუშვებელია:

ა). ბაზარზე განთავსებულ თაფლში საკვებდანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება. თაფლში მინიმალურამდე უნდა იყოს დაყვანილი უცხო სუნი და გემო, რომელიც წარმოიქმნება შენახვის და გადამუშავების დროს;

ბ) თაფლიდან ყვავილის მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით;

გ) თაფლის გაცხელება და გადამუშავება ისე, რომ შეცვლილი იქნეს მისი ძირითადი მაჩვენებლები;

დ) თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა;

ე) გამოკრისტალებული თაფლის ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით დამუშავება.

6. თაფლი არ უნდა დაექვემდებაროს ფერმენტაციასა და დუღილს. თაფლში არსებულ ბუნებრივ ფერმენტებს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ფერმენტული აქტივობა.

7. თაფლი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შაქრის შემცველობა – ფრუქტოზის და გლუკოზის

ჯამური (საერთო) რაოდენობა (გ/100გ):

ა. ა) ცვარტკბილის თაფლი, ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტრის) თაფლის ნარევი (შერეული თაფლი) – არანაკლებ 45 გ/100 გ-ში:

ბ) საქაროზის შემცველობა (გ/100გ):

ბ. ა) ყველა სახეობის თაფლში, გარდა ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მცენარეების ყვავილის ნექტრიდან მიღებული თაფლისა – საერთო რაოდენობა – არაუმეტეს 5გ/100გ-ში:

ბ. ბ) მცენარეების – ციტრუსების (citrus spp.) ცრუ აკაციის (robinia preudoacacia). ჩვეულებრივი იონჯის (medicago Sativa) მენზის ბანსკიას (banksia menziesii) ფრანგული ცხრატყავას (french honesuckle, Hedysarum) ავსტრალიური ევკალიპტის – წითელი გუმფისის (eucaliptus camadulnsis) ევკრიფიას (eucalyptus lucida, eucryphia milliganii) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში – არაუმეტეს 10 გ/100 გ-ში:

ბ. გ) მცენარეების – ლავანდის (lavandula spp.) კიტრისუნას (borago officinalis) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში – არაუმეტეს 15 გ/100 გ-ში:

გ) სინესტის მასიური წილი (%):

გ ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა მცენარე მანანას თაფლისა – არაუმეტეს 20%;

გ. ბ) მცენარე მანანას თაფლისათვის – არაუმეტეს 23%:

გ. გ) საკონდიტრო თაფლი მცენარე მანანასაგან – არაუმეტეს 25%;

დ) წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ):

დ. ა) თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა – 0,1 გ/100 გ-ში;

ე) ელექტროგამტარობა (მილისმენსი/სმ-მლს/სმ);

ე. ა) თაფლის ყველა სახეობისა და მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის – არაუმეტეს 0,8 მლს/სმ-ში;

ე. ბ) ცვარტკბილის და წაბლის ყვავილიდან მიღებული თაფლისათვის, ასევე, მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის – არაუმეტეს 0,8 მლს/სმ;

ე. გ) თაფლი, რომელიც მიღებულია შემდეგი მცენარეების ყვავილიდან – ხემარწყვა (arbutus unedo), მოლურჯო მანანა (erica), ევკალიპტი (eucalyptus), ცაცხვი (tilia spp.), ჩვეულებრივი მანანა (calluna vulgaris), მანუკა ანუ ჩაის ხე (melaleuca spp.);

ვ) საერთო მჟავიანობა:

ვ. ა) თაფლის ყველა სახეობისათვის – არაუმეტეს 50 მილიეკვივალენტი მჟავისა, ყოველ 1000 გ თაფლში;

ვ. ბ) საკონდიტრო თაფლისათვის – არაუმეტეს 80 მილიეკვივალენტი მჟავისა, ყოველ 1000 გ თაფლში;

ზ) დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადეს შკალის მიხედვით);

ზ. ა.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის გარდა საკონდიტრო თაფლისა – არანაკლებ 8;

ზ. ა.ბ) თაფლისათვის, რომელიც ბუნებრივი ფერმენტების ნაკლებ რაოდენობას შეიცავს (მაგ. ციტრუსის თაფლი) და მასში ჰიდროქსილმეთილფურფურალის (ჰმფ) – შემცველობა არ აღემატება 15 მგ/კგ – არანაკლებ 3;

ზ. ბ.ბ) თაფლი, რომელიც წარმოშობილია ტროპიკული კლიმატის ზონიდან და მათი ნარევისათვის – არაუმეტეს 80 მგ/კგ.

მუხლი 7. მოთხოვნები ბიზნესოპერატორის მიმართ

ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) ნატურალური თაფლი აწარმოოს და ბაზარზე გაანათავსოს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) თაფლი აწარმოოს იმ დეკლარირებული სტანდარტის შესაბამისად, რომლის დეკლარირებასაც განახორციელებს იგი;

გ) აკმაყოფილებდეს სპეციალური წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 8. თაფლის შესაბამისობის კონტროლი

ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება;

ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის დროს;

ბ) ბისზნესოპერატორის მიერ შიდა საწარმოო კონტროლის დროს.

საქვეყნოდ გამოწვდილი ხელი

„მუხა-შავრი“ – მშობლიური სოფელი ყოფილა ისტორიულ მესხეთში. მუხაშავრიები წარმომავლობით მესხები არიან. გვარსახელის ფორმამ – მუხაშავრი ტრანსფორმაცია განიცადა და მუხაშავრია მიიღეს.

XVI საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო ოსმალთა ურიცხვი ომები ისტორიული მესხეთის ხელში ჩასაგდებად. მტრის შემოსევებს ბოლო აღარ უჩანდა. XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან მთელი მესხეთი ოსმალთა ხელში გადავიდა. იდევნება მართლმადიდებლური სარწმუნოება, ქართველებს მძიმე ხარკი და ბეგარა ეკისრებათ. მძლავრობს მაჰმადიანთა ბნელი რჯული, შავი ჩადრი და ყურანი...

ქართველები იძულებული გახდნენ, მამა-პაპათა სამკვიდრებელი მასობრივად დაეტოვებინათ და წასულიყვნენ საქართველოს სიღრმეში: გურიას, იმერეთს და შიდა ქართლს...

მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის, საქართველოსა და ბაგრატოვანთა ტახტის ძლიერებისათვის გადატანილ ომებში მუხაშავრიების მეომრებიც იბრძოდნენ.

ღმერთმა ამრავლოს გვარი ესე, რომელ არს მუხაშავრია

2008 წელს გიორგი მისირელმა დაწერა მუხაშავრიათა საგვარეულო სიგელი, რომელიც ქართველ დასტაქარს გელა მუხაშავრიას მიუძღვნა საჩუქრად.


გელა მუხაშავრია

ჟურნალ გურია REGION მარტის ნომერში მკითხველმა საქართველოს პროქტოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ექიმ გელა მუხასავრიას მართლაც, ადამიანური, შეუნიღბავი ურთიერთობა დაინახა. – თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ! – ერთი შეხედვით მარტივი შეგონება, ბატონი გელას ცხოვრებას ლაიტმოტივად მიჰყვება. ადამიანების მიმართ მისი უშუალო და ემოციური დამოკიდებულება ყველას ხიბლავს. გურული კაცი შეუძლებელია სხვაგვარი იყოს. ამიტომ გადავწყვიტეთ, მუხაშავრიების გვარს კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ და ამჟამად გელას მამას, აკაკი მუხაშავრიას პორტრეტს გავუსწოროთ თვალი.

...ოთხწლიანი სიყვარულის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაქორწინდნენ, თამარ კახიძე თერჯოლის რაიონიდან იყო, აკაკი მუხაშავრია – ოზურგეთიდან. 1937 წლის 10 დეკემბერს ბიჭი შეეძინათ და გელა დაარქვეს. მძიმე წლები იყო. დედაქალაქში დამკვიდრება ჭირდა, ორივე მუშაობდა და შვიდი თვის ჩვილი ძიმითში ბებია-ბაბუას ჩაუყვანეს გასაზრდელად. გელა ოთხი წლის იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. აკაკი მუხაშავრიას, როგორც პერსპექტიულ და განსაკუთრებული სპეციალობის ახალგაზრდას, ჯავშანი ჰქონდა და არავინ გაიწვევდა ფრონტზე. მაგრამ ომის დაწყებიდან მეორე დღესვე საკუთარი სურვილით კომისარიატში გამოცხადდა – დაჯავშნული და შეშინებული მტერს რაფერ დავხვდეო და წავიდა. მაშინ მუხაშავრიების ოჯახი ბელინსკისა და ბარნოვის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა. პატარა გელა ზაფხულს გურიაში, ბებიასთან, თებრონე დოლიძესთან ატარებდა, თბილისში კი დედის დედა, იმერელი ანა ასათიანი მზრუნველობდა. იყო კიდევ სონია ვაშაძე, აკაკის დეიდა. შეძლებული და კეთილშობილი ქალბატონი, რომელიც პატრონობდა უმამოდ დარჩენილ ბიჭს და დისშვილის ოჯახს ყველანაირად ეხმარებოდა. „მისი წყალობით სულ კარგად ჩაცმულ-დახურულები ვიყავით მე და დედა. ყოველ შაბათ-კვირას სურსათით, ტკბილეულით და საჩუქრებით გვანებივრებდა. აი, ეს სახლიც, სადაც ახლა ვცხოვრობ, სონია დეიდამ გვიყიდა. სიკეთისა და გულისხმიერების პირველი გაკვეთილები ამ ქალბატონმა ჩამინერგა, მთელი ცხოვრება მომყვება ის სითბო, – იხსენებს გელა მუხაშავრია.

წლები გადიოდა. აკაკი მუხაშავრიას არცერთი წერილი არ მოსულა ფრონტიდან, არც ამბის მომტანი ყოფილა. 1945 წლის აპრილის ერთ დღეს, დედამ სკოლაში გელას მიაკითხა და მიახარა, უწყება მოვიდა, მამა ცოცხალია და დაბრუნდებაო. მერე იქვე უახლოეს ფოტოატელიეში შევიდნენ და ამ დღის აღსანიშნავად სურათი გადაიღეს.

1970 წელს მ. ნემიროვასა და ე. კალანდაძის ავტორობით დაიბეჭდა წიგნი „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელიც 1941-1945 წლებში ქართველ მეომართა ჯგუფის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებულ დღეებზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკაკი მუხაშავრია იყო და იგი წიგნში აკაკი შავრიადაა მოხსენიებული.

1942 წლის ივნისში ადმირალ კანარისის ბრძანებით ქალაქ გარმიშპარტენკირხენში შედგა ჰიტლერული სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო პროცესი ქართველ მეომართა ჯგუფის გასასამართლებლად. ვერც თავისუფლების დაპირებამ, ვერც მუქარამ და დაცინვამ, ვერც წამებამ – ვერ გატეხა მეომრების სული: ისინი სიკვდილს შეხვდნენ როგორც სამშობლოს პატრიოტები.

კავკასიაზე დიდი ხანი ოცნებობდა კანარისი. ჯერ კი-

დევ 1941 წლის 20 ივლისს მან სპეციალური ბრძანება გამოსცა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად. ამ მიზნით რუმინეთში ქართველი ემიგრანტებისაგან შეიქმნა დივერსიული ჯგუფი, რომელსაც „თამარა“ ეწოდა. 1941 წლის შემოდგომაზე კანარისმა კავკასიაზე ჩაფიქრებული გეგმების განხორციელება გადაწყვიტა.

ადმირალი რუკას მიუახლოვდა, გადასწია რუკაზე ჩამოფარებული ფარდები და დააკვირდა გერმანიის ჯარების დისლოკაციას აღმოსავლეთის ფრონტზე. მსხვილი წითელი ხაზებით იმ მიწების საზღვრები იყო აღნიშნული, რომლებიც ჰიტლერის გეგმით გერმანიის უნდა გამხდარიყო. იგი გადიოდა მდინარეებზე ობსა და ირტიშზე ტობოლსკამდე, არალის ზღვის ჩრდილოეთით კასპიამდე, ამიერკავკასიის სამხრეთ საზღვარზე, შავ ზღვაზე მდინარე დნესტრამდე, კარპატის მთებზე და შემდეგ ყოფილ ავსტრია-უნგრეთის სამხრეთ საზღვარზე, ბაზელზე, ბორდოზე ბისკაის უბემდე.

კანარისმა შავი ზღვის სანაპიროები შემოხაზა და აღნიშნა:

– კავკასიის რელიეფი რთული მისადგომია ჯარისკაცთათვის და სამხედრო ტექნიკისთვის. თუ კავკასიელებიც ავიმხედრეთ, ჩვენი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცევა, იძულებული ვიქნებით იქ მუდმივად გვყავდეს ჯარის დიდი შენაერთები. ამიტომ უნდა ვეცადოთ, კავკასიელებს არ ვეჩხუბოთ, აღვუთქვათ დამოუკიდებლობა, შეიძლება ამან გაგვიადვილოს მიზნის მიღწევა.

ადმირალის და თეოდორ ობერლენდერის თათბირის შემდეგ გადაწყდა, – ბრძოლისუნარიანი კავკასიელი ემიგრანტების შეკრება, საბჭოთა სამხედრო ტყვეების გადაბირებით სრულიად საიდუმლო სპეციალური დანიშნულების ნაწილის შექმნა, რომელსაც „ბერგმანი“ დაარქვეს. ათასეულის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო, – გერმანელთა არმიას კავკასიაში კარი გაუხსნას, ადგილობრივი მცხოვრებლები დაარწმუნონ, რომ გერმანელები კავკასიაში არა დამპყრობლად, არამედ განმათავისუფლებლად შედიან და კავკასიას დამოუკიდებლობას მოუტანენ.

თამარ კახიძე და გელა მუხაშავრია

„ბერგმანის“ ორგანიზაციის მეთაურობა ობერლენდერს დაევალა. იმისთვის რომ მას ეროვნული შენაერთის სახე ჰქონოდა, სამხედრო ტყვეებში ისეთი ოფიცერი უნდა მოეძებნათ, რომელსაც ათასეულის ჩამოყალიბებაში მის შემცვლელად დანიშნავდნენ, „კავკასიის ეროვნული შტაბის“ ხელმძღვანელთან მიხეილ კედიასთან დაკავშირება გადაწყვიტეს. კედია ავად იყო, ობერლენდერი იძულებული იყო მისთვის ბინაში დაერეკა, შემდეგ ბერლინის ცენტრში მდებარე განცალკევებულ მდიდრულ სახლში ეწვია. მასპინძელმა საქართველოს მალე განთავისუფლების დიდი სურვილი გამოთქვა.

ობერლენდერი, ფონ კუტჩენბახი, დიური და კედიას მიერ გამოყოფილი ემიგრანტები „ბერგმანის“ შექმნას შეუდგნენ. მათ უნდა შემოევლოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული ათეულობით ბანაკები, აერჩიათ კავკასიელი სამხედრო ტყვეები და გერმანიის არმიაში სამსახურზე თანხმობა მიეღოთ.

1941 წელს ზამთარი ადრე დადგა. ჯერ კიდევ ოქტომბერი იყო. დაბალი შავი ღრუბლები დედამიწისაკენ მიიწევდა და თოვლის მოსვლას მოასწავებდა.

საბჭოთა არმია აღმოსავლეთისაკენ იხევდა... ლატვია... ესტონეთი... ბელორუსია... უკრაინა... უკან რჩებოდა გადამწვარი ქალაქები და სოფლები, ადამიანთა დამახინჯებული გვამები. გერმანელები მოსკოვისაკენ მიიწევდნენ. სისხლისაგან იცლებოდა, იღუპებოდა ხალხი. ისეთებიც იყვნენ, რომელთაც სიკვდილზე უარესი ბედი – ტყვეობა ელოდათ.

ქალაქ პოლტავის უბანში წითელი არმიის ტყვეთა ბანაკი იყო. მაღალი, დახლართული ეკლიანი მავთულების იქით ყოველდღიურად ყრიდნენ ტყვეებს. კავკასიელ სამხედრო ტყვეებს ცალკე ბარაკში ათავსებდნენ, დაჭრილები ეყარნენ ხის საწოლზე ან უმიზნოდ დახეტიალობდნენ ბარაკში.

ერთ საღამოს მეგობრები ბარაკის კუთხეში შეიკრიბნენ. ლეიტენანტი შოთა შანიძე, ლეიტენენტი დიმიტრი ჯიმუხაძე, ლეიტენანტი გრიგოლ ხმელაძე, ჯარისკაცები ალექსი ჩოჩიშვილი, აკაკი შავრია (მუხაშავრია), რევაზ ზვიადაძე, რომელსაც ზედმეტ სახელად „ზვიადას“ ეძახდნენ, შალვა ბახტაძე და სერჟანტი აკაკი ბაქრაძე. ყველანი ჟორა ცუცქირიძეს უსმენდნენ:

– როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ აქაურობას, კარგად უნდა მოვიფიროთ, ამ საქმისათვის საიმედო და გაბედული ბიჭები შევარჩიოთ, ყველას ნდობა არ შეიძლება.

– შენიანად, ჟორა, ასეთი საიმედო ბიჭები თორმეტნი ვართ, – უპასუხა მიშა გაბუნიამ, – ვფიქრობ, სამ ჯგუფად დავნაწილდეთ. ერთმა ჯგუფმა გაქცევის გეგმა შეადგინოს, ორმა კი ხალხი შეარჩიოს ამ გეგმის განსახორციელებლად.

ყველა დაეთანხმა.

ჟორა ცუცქირიძეს, მიშა გაბუნიას და მიტო ჯიმუხაძეს გაქცევის გეგმის შედგენა დაევალათ. დაწვრილებით უნდა შეესწავლათ ბარაკის ტერიტორია. ერთხელ მიტომ გაბედა ეკლიან მავთულთან მიახლოება. ყურადღებით აკვირდებოდა, დანაღმული ხომ არ არისო, მაშინვე შეამჩნიეს და კომენდანტთან წაიყვანეს. მკაცრად გააფრთხილეს, აღარ გაებედა ბარაკიდან უნებართვოდ გამოსვლა.

...საღამოს ბარაკში ობერლენდერი, კუტჩენბახი, შოთა მშვენიერიძე და ბაგრატ ჭანტურია მივიდნენ.

– მეგობრებო! გერმანულად მიმართა მან ტყვეებს. მის სიტყვას რუსულად ჭანტურია თარგმნიდა. გერმანიის არმია დაიხსნის კავკასიას ბოლშევიკებისაგან. ამ მიზნით ჩვენ კავკასიის ათასეულს ვაყალიბებთ. წინადადებას გაძლევთ, თქვენც გაერთიანდით.

თამარ კახიძე, გელა და აკაკი მუხამავრიები

ტყვეები დუმდნენ.

ობერლენდერი შემობრუნდა და თანმხლებ პირებთან ერთად ბარაკიდან გავიდა.

ჟორას ამხანაგები გარს შემოერტყნენ – ხედავთ რა ჩაუფიქრებიათ? მოღალატეობას გვთავაზობენ! – ჩვენ ხომ ეს „დამოუკიდებლობა“ 1918 წელს გამოვცადეთ, როცა ინგლისური და გერმანული ხიშტები „გვიცავდა“.

ობერლენდერი აღშფოთებული იყო. კედიამ დაარწმუნა კავკასიელები სიხარულით იმსახურებენ „ბერგმანშიო“. უცებ კი ასეთ მდუმარე წინააღდეგობას წააწყდა.

კომენდანტმა ბრძანა, – სამხედრო ტყვეებისათვის მკაცრი რეჟიმი შემოეღოთ. იმ განზრახვით გაემგზავრა, რომ ორი კვირის შემდეგ ისევ დაბრუნებულიყო და შედეგი შეემოწმებინა.

გერმანელებმა ტყვეებს ახალი რეჟიმი დაუწესეს: უსმელ-უჭმელებს გარეთ გამოსვლაც აუკრძალეს. ბარაკში ოფლისა და ჩირქოვანი ჭრილობების მხუთავი სუნი იდგა.

ყოველ დილით უნტერ-ოფიცერი ერთსა და იმავეს კითხულობდა:

– კავკასიელო თანახმა ხარ?

მას არ პასუხობდნენ, წამებით სასოწარკვეთილმა ტყვეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, დახოცილიყვნენ, მაგრამ არ ეღალატათ სამშობლისთვის.

ბარაკში ობერლენდერი, კუტჩენბახი, მშვენიერიძე და ჭანტურია ისევ შევიდნენ.

– მგალობლიშვილი ფეხებში ჩაუვარდა ობერლენდერს: – მომეცით საჭმელი, პურის ნატეხი... ერთი ნამცეცი მაინც.

მოულოდნელად სროლა გაისმა.

– რატომ მოჰკალით? – მიმართა გაბრაზებულმა ობერლენდერმა უნტერ-ოფიცერს.

– შეშლილები საშიშნი არიან – მიუგო გერმანელმა.

ობერლენდერმა მშვენიერიძეს ბრაზიანად უთხრა – სცადე მათთან მოლაპარაკება.

– ბიჭებო კიდევ ჯიუტობთ? გაიგეთ გერმანელებს ჩვენი სიკეთე უნდათ. თქვენ გგონიათ მე სამშობლო არ მიყვარს, ვუღალატე მას? პირიქით მუდამ ვფიქრობ მის ბედზე და დარწმუნებული ვარ, მხოლოდ გერმანიის დახმარებით შევძლებთ საქართველოს გადარჩენას.

კუტჩენბახმა რევოლვერი ამოაძრო და გაშმაგებული მივარდა ტყვეებს.

– აბა, ვის უნდა ფიურერის სამსახური? დაგხვრეტთ ყველას.

– მე, ბატონო.

– გვარი?

– რაზმაძე.

– კიდევ ვის?

– მე... ყრუდ წარმოსთქვა ხანშიშესულმა მოხუცმა.

– გამყიდველებო! ჩაილაპარაკა აბაშიძემ.

– რა თქვი? – გაცხარდა კუტჩენბახი.

– მათ აგინებს, ვინც მასზე ჭკვიანი აღმოჩნდა.

ობერლენდერმა კომენდანტს უბრძანა, მხოლოდ ერთხელ, თითო მუჭა კოპტონი აჭამეთ, რომ შიმშილით არაქათი გამოეცალოთ და მალე დაეკარგოთ ნებისყოფაო.

დილით შემოწმებაზე ისევ გამოცხადდა კუტჩენბახი და მშვენიერიძე. როცა უნტერ-ოფიცერმა იკითხა: – „კავკასია თანახმაა?! მწყობრს სამნი – გოგი ცაბაძე, ვალიკო ჯაყელი და თენგიზ საყვარელიძე გამოეყვნენ. მათი ღალატი მეგობრებს არ გაკვირვებიათ.

ტყვეებმა მოითათბირეს, გერმანელების წინადადებას კავკასიურ ათასეულში დათანხმდნენ, მხოლოდ მოსაჩვენებლად. მთავარი მიზანი იყო, მიეღოთ იარაღი მტრის ხელით და სათანადო პირობებში ეს იარაღი მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. პირველივე შესაძლებლობისთანავე მასობრივ გაქცევას მოაწყობდნენ.

ასე დაიწყო არსებობა „ბერგმანის“ ათასეულმა, რომლის საველე ფოსტის ნომერი იყო 19019. მეთაურად კაპიტანი სიმონ წიკლაური ითვლებოდა. გადიოდა დღეები. „ბერგმანის“ ათასეული ახალ-ახალი ჯარისკაცებით და ოფიცრებით ივსებოდა.

ბერგმანელთა „იდეოლოგიური აღმზრდელი“ – დოქტორი დიური ყოველთვის ასეთ ეჭვს აღვივებდა, – ჩვენ ვალდებული ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, – ხშირად უმეორებდა ობერლენდერს, – რომ აზიელებს არ აღეძრათ გაქცევის ფიქრი“. როდესაც ჯარისკაცებს რუსეთის ფრონტზე გერმანიის არმიის წარმატებას უყვებოდა, თითქოსდა შემთხვევით „მოიგონებდა“ რომელიმე სამხედრო ტყვის ტრაგიკულ „ამბავს“, რომელსაც რუსებთან გადასვლა სურდა. ასეთი „თავგადასავლების“ მოსმენის შემდეგ დაეჭვებული ადამიანები სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ და გერმანელთა მორჩილნი ხდებოდნენ.

ათასეულში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც მის „ფანტაზიას“ არ იჯერებდნენ. დიურთან ყოველდღიურ იდეოლოგიურ ბრძოლაში ასევე ბევრს სასარგებლო საქმეს აკეთებდა აკაკი შავრია. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო იატაკქვეშელთა შორის. მან ზუსტად ომის წინ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მისი ერუდიცია ზოგიერთ პროფესორსაც შეშურდებოდა. ამასთანავე ენამოსწრებული, ოხუნჯი და მოხერხებულიც იყო. დიურს ეჯავრებოდა იგი! კაკოს რამდენჯერ ჩაუგდია დიურისთვის კოვზი ნაცარში.

ჩვეულებრივ დიურის ლექციებზე კაკო პირველ რიგში ჯდებოდა, თითქოსდა განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მას, დაჟინებით მისჩერებოდა ლექტორს ირონიული გამომეტყველებით, თუმცა თავს გაღიმების უფლებას არ აძლევდა მაშინაც კი, როცა სიცილით ლამის იგუდებოდა. მაგრამ როდესაც ლექტორი ლაპარაკს მოათავებდა, სერიოზული სახით ისეთ რამეს ჰკითხავდა, რომ მთელი დარბაზი ახარხარდებოდა, თვითონ კი გაკვირვებული სახით გადახედავდა ხოლმე გამხიარულებულ მსმენელებს. პირდაპირ შავ დღეში აგდებდა დიურს.

უკაცრავად, ბატონო დოქტორო, მე კარგად ვერ გავიგე, – მეტისმეტად თავაზიანად ეკითხებოდა შავრია დიურს მორიგი ლექციის დამთავრებისას, – ეს-ეს არის თქვით, რომ ებრაელები უნდა განადგურდნენ მთელ მსოფლიოში, რადგანაც მათ ძარღვებში არაადამიანური სისხლი ჩქეფსო. მაგრამ მე ვხედავ, რომ გერმანელ ჯარისკაცებს მკერდზე ჯვარი ჰკიდიათ, ეკლესიაში დადიან, იესო ქრისტეზე

ლოცულობენ, ხატებს ჰკოცნიან. როგორ გავიგოთ ეს? იესო ქრისტე ებრაელი იყო, მაშასადამე, მის ძარღვებშიც არაადამიანური სისხლი ჩქეფდა. გამოდის, რომ ქრისტიანები ეშმაკს ეთაყვანებიან?

დიური განრისხდა, სიძულვილით მიაშტერდა დამცინავს. იმ წუთას იგი სიამოვნებით გააწნიდა სილას ამ ლაწირაკს, მაგრამ თავი შეიკავა და გაბრაზებით უპასუხა:

– ჩვენ, გერმანელებს, არ გვიყვარს ორაზროვნება და არავის ნებას არ მივცემთ ეჭვი შეეპაროს ჩვენს რწმენაში!

დიურმა თავზე ქუდი ჩამოიფხატა და აჩქარებით გავიდა დარბაზიდან.

მთელი დღე მსჯელობდნენ გერმანელები ამ ინციდენტზე. ემიგრანტები აღფრთოვანებულები იყვნენ შავრიას „უტაქტობით“. აკაკი გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩავდა – უსამართლოდ რა ვთქვიო.

– ყოჩაღ, კაკო! – შეაქო იგი წიკლაურმა, – შენს შეკითხვას დიური კი არა ათასი გებელსიც ვერ უპასუხებდა.

დიურმა ობერლენდერთან იჩივლა, მან კი წიკლაური გამოიძახა.

– ჯარისკაც შავრიას მოქმედება ყოველგვარ საზღვარს სცილდება! ჩასვით ათი დღით ჰაუპტვახტში! იქნებ ცოტა ჭკუა ისწავლოს.

„გაბედულმა ბიჭებმა“, იატაკქვეშელებმა არალეგალური ჯგუფი „კომინტერნი“ შექმნეს. 1941 წლის 15 დეკემბერს ფიცი დადეს: – სამშობლო ჩვენ არ გვიღალატია შენთვის! „ბერგმანის“ ათასეულში, რომელიც გერმანელებმა ელემენტარულ საერთაშორისო კანონების დარღვევით სამხედრო ტყვების – კავკასიელებისაგან ჩამოაყალიბეს, მოქმედებდა დიდი ჯგუფი, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ერთგულები დარჩნენ.

იატაკქვეშელების ჯგუფი ახალი წევრებით ივსებოდა. მათ დროულად პარტიზანებთან შეერთება სურდათ. თუმცა მეგობრების გეგმები ჩაიშალა. წიკლაურის სეიფი გახსნეს, დიურმა „გაბედული ბიჭების“ დღიური იპოვა. შეთქმულთა შორის ყველაზე დიდი ფიგურები გამჟღავნდა – წიკლაური, ტაბიძე და ცუცქირიძე.

ბერგმანის ოფიცრები ბერლინში წაიყვანეს. იმავე ღამეს ლიუტენზას ბანაკში სამოც კაცზე მეტი დააპატიმრეს, მათ შორის: ალექსი ჩოჩიშვილი, შალვა ბახტაძე, გრიგოლ ხმელიძე, დიმიტრი ჯიმუხაძე, გიორგი ნინიკაშვილი და აკაკი ბაქრაძე. გერმანელებმა შეთქმულების ხელმძღვანელების სამხედრო ტრიბუნალის საჩვენებელი პროცესით გასამართლება გადაწყვიტეს. საბრალდებო სკამზე „ბერგმანის“ თექვსმეტი სამხედრო მოსამსახურე იჯდა. სასამართლო პროცესებზე არცერთმა მათგანმა სიცოცხლის შენარჩუნება არ ითხოვა. 1942 წლის 1 ივლისს წიკლაურს, ტაბიძეს და ცუცქირიძეს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

...იმავე დილით დახვრიტეს დანარჩენი თერთმეტი მეგობარიც.

გავიდა დრო... ტყვეები „ჰანაუს“ სადამსჯელო ბანაკის აუტანელ პირობებში დაიღუპნენ, სასჯელს გადარჩენილთა გარკვეულმა ნაწილმა შემდეგ მაინც შეძლო ფრონტის ხაზის გადმოკვეთა.

საით მიდიან ქუჩები,
გავუძლებ გულის ძგერასა?
როდისღა გადავურჩები
მავთულებიდან ცქერასა!

აკაკი შავრიამ (მუხაშავრია) საკონცენტრაციო ბანაკებში ხუთი წელი გაატარა. ბუნტის მოწყობის ორგანიზებისთვის დასახვრეტადაც გაიყვანეს, მაგრამ... ღვთის სასწაულით იგი გერმანიაში მოგვარემ იხსნა. 1924 წელს საქართველოდან გურიის აჯანყების მერე პარიზში გაქცეულმა თეოფილე მუხაშავრიამ მოძებნა და გადაარჩინა.

შიმშილით, წამებით, მუქარით და მოტყუებით აიძულებდნენ ჰიტლერელები სამხედრო ტყვეებს ვერმახტის ეგრეთ წოდებულ ეროვნულ ნაწილში გაერთიანებას, ადმირალ კანარისმა კავკასიისადმი დიდი ხნის ოცნება ვერ აისრულა.

1958 წელს აკაკი მუხაშავრია მოსკოვში გამოიძახეს, უშიშროების კომიტეტმა დაკითხა და ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ხელმძღვანელის ობერლენდერის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ბერლინში გადააფრინეს. ბერლინში გერმანულ ენაზე მისცა საბოლოო ჩვენება აკაკი მუხაშავრიამ. რვაწლიანი პატიმრობისთვის მოუბოდიშეს და რეაბილიტაციის საბუთი მიართვეს.

სამხედრო დამნაშავეს თეოდორ ობერლენდერს 1960 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

საშუალო ტანის, სახასიათო თეთრი ულვაშები, ყოველთვის მოწესრიგებული და ესთეტური – ასეთი ახსოვთ აკაკი მუხაშავრია. პირველი შეხვედრისთანავე მის მიმართ პატივისცემით განეწყობოდი, ხელს რომ ჩამოართმევდი, გრძნობდი, ეს მარტო გამარჯობის სათქმელად კი არა, სამეგობროდ გამოწვდილი ხელი იყო. ჯერ გვარს გკითხავდა, შემდეგ დაწვრილებით გეტყოდა, თუ რომელი კუთხიდან იყავი, სად და რომელ სოფლებში ცხოვრობდნენ შენებურები. აკაკი მუხაშავრია მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში აგრონომ-ენტომოლოგად მუშაობდა. საქართველოს მთა-ბარი თითქმის ფეხით ჰქონდა მოვლილი. მხარზე ჩანთაგადაკიდებული, თავზე ქუდით, ჩქარი ნაბიჯებით მავალი ტყის მასივებში. კარვებში თუ მონადირის ქოხებში გატარებული ღამეების დროს მეგზურებს ტყეობის დროინდელ, ჯერ კიდევ გაუხუნარ ამბებს უყვებოდა...

აფხაზეთში ბიჭვინთის შემოგარენის ჯანმრთელი საფარი აკაკი მუშავრიას ნაამაგარიც არის. 50-იანი წლებიდან იგი ინტენსიურად მუშაობდა ბიჭვინთის ფიჭვნარის მავნე ენტომოფაუნის შესწავლაზე და გამოვლენაზე. გამოიკვლია ძირითადად მავნე სახეობათა ბიოლოგია და ეკოლოგია, რაც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას.

მეცნიერმა და მკვლევარმა აკაკი მუხაშავრიამ სამოცზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ენაზე და ორი საავტორო უფლებაც ჰქონდა მინიჭებული. ახალგაზრდებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, სადიპლომო ნაშრომისა თუ პროექტის დაცვის დროს გვერდში ედგა. კეთილშობილმა ადამიანმა სოცოცხლის ბოლო წლებში სრულიად უსასყიდლოდ მეტყევეობოს ინსტიტუტს გადასცა 50 წლის მანძილზე შეგროვებული უნიკალური წიგნების ფონდი, რომელიც ახლა მეცნიერის სახელს ატარებს და ბიბლიოთეკასთან ერთად თაობიდან თაობას გადაეცემა. ბუნების ქომაგის დანატოვარი ყოველი წიგნიც ხომ ისევ სამეგობროდ გამოწვდილი ხელია.

ლელა სურმავა

1948 წლის 17 აპრილის აჯანყება გამორჩეული იყო

„...ვიყავი რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში... განგებამ სად არ მატარა, სად არ გადამაგდო, რა არ გადამხდა თავს... რომ ვიხსენებ – სისხლი მეყინება. ღმერთო, რას გავუძელი... პოლტავის ტყვეთა ბანაკი; ნოიჰამერის კავკასიელ ტყვეთა ბანაკი; მიტევალდის კავკასიელ ტყვეთა ბატალიონი „ბერგმანი“... ბერლინისა და გარმიშპახტენკირხენის ციხეები; ჰანაუს ტყვეთა ბანაკიდან გაქცევა; ბადორბის ციხე; ვილჰემსჰაფენის ტყვეთა ბანაკი, დიუმერლოჰაუზენის გლეხებთან მომუშავე ტყვეთა ბანაკიდან გაქცევა ინგლისელების ზონაში; ოსნაბრიუკის სარეპატრიაციო ბანაკი, სახელმწიფო უშიშროების ციხე თბილისში, ორთაჭალის ციხე, რუსთავის პატიმართა ბანაკი, პოლიტპატიმართა აჯანყება და გაქცევა, რუსთავის იზოლატორი, თბილისის საგამომძიებლო ციხე; ბაქოს, როსტოვის, მოსკოვის, ვოლოგდის ციხეები, ვორკუტის კატორღელთა ბანაკი... მაგრამ მაინც, ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთები იყო სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის განაჩენის მოსმენა ორჯერ...

ზოგჯერ, განვლილ ცხოვრებას რომ ვიხსენებ, მიკვირს კიდეც, ნუთუ ეს ყოველივე მე გადამხდა თავს?!“

ნაწყვეტი ვორკუტლაგელი შოთა შავგულიძის დღიურიდან

იმ დღეს წყალტუბოდან გუმათში სამნი გავემგზავრეთ – ბატონი ოტია იოსელიანი, წყალტუბოს მერიის მთავარი მრჩეველი ბატონი გურამ სოფრომაძე და მე, უნდა გვენახა მრავალჭირგამოვლილი ადამიანი, ყოფილი ვორკუტლაგელი, საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რესრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის ქუთაისის საზოგადოება „მემორიალის“ გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი შოთა შავგულიძე.

– ბატონი შოთა ომამდელი ქუთაისის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი გახლავთ, – გვიამბობს ბატონი გურამი; ახალგაზრდობაში ლიტერატურითა და სპორტით იყო გატაცებული. თსუ ისტორიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსიდან ფინეთის ომში გაუწვევიათ. შემდეგ გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა. ომის პირველივე დღეებში ჩავარდა ტყვედ. იგი კაპიტან წიკლაურის ცნობილი ჯგუფის წევრი იყო. როგორც ცნობილია, კაპიტანი წიკლაური გერმანელებმა დახვრიტეს. ბატონი შოთა შავგულიძე სიკვდილს გადაურჩა, თუმცა რამდენიმე დღე სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა.

ბატონი შოთა შესაშური ენერგიის და უტეხი ნებისყოფის კაცია. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ დაასრულა ისტორიის ფაკულტეტი. ტყვეობაში კი გერმანული ენა ისე შეისწავლა, რომ განათლების სამინისტროს სპე-

დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკი

„სიმშილითა და წყურვილითა, მრავალგზის ყინულითა და შიშველობითა გავლილი დღენი... ვრის თესლი, რომელი გამოიღებს მომავალსა შინა კაცთა შორის დაუთვსებელსა ნაყოფსა“.

ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა

ციალურმა საატესტაციო კომისიამ ამ ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიანიჭა; ასევე წარმატებით დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში.

ბატონ შოთას კარგა ხანს ქუთაისში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა. ამიტომ ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლობდა. იქვე შექმნა მშვენიერი ოჯახი. შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისის მახლობლად გუმათის სკოლა-ინტერნატში განაგრძო.

ბატონი შოთა მონაწილეობდა ომის დროს კავკასიური ბატალიონების შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორის, დასავლეთ გერმანიის მინისტრის ობერლენდერის წინააღმდეგ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე; ასევე მიწვეული იყო ბერლინის სასამართლო პროცესზე, რომლის შემდეგ დასავლეთ გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქნა ნაცისტი დამნაშავე თანამდებობიდან გადაეყენებინა.

– ბატონი შოთა დიდად ერუდირებული კაცი გახლავთ. ამაში თქვენც მალე დარწმუნდებით. იგი კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. ზოგჯერ ქართულ, რუსულ ან გერმანულ ენაზე წარმოთქვამს ნაწყვეტებს გოეთეს „ფაუსტიდან“. ამიტომ, ვორკუტაში მისი დაახლოება გამოჩენილ მწერალთან, ბატონ ლევან გოთუასთან სრულიად ბუნებრივად მეჩვენება, – დაასრულა ბატონმა გურამმა.

გუმათში რომ მივედით, ბატონი შოთა მაგიდას უჯდა ქაღალდებსა და წიგნებში ჩაფლული; მოგონებებს აწესრიგებდა. სიხარულით ჩაიკრა გულში გურამ სოფრომაძე, რომელიც თურმე ორი ათეული წელია არ ენახა.

– მადლი უფალს, რომ ჩემს ღარიბულ ჭერქვეშ თქვენისთანა სახელოვანი მწერალი შემობრძანდა“ – გულთბილად მიესალმა იგი ბატონ ოტიას.

– ჩემი სტუმრობის მიზანიც გავაცანი. ვთხოვე – ლევან გოთუაზე და რუსთავში პოლიტპატიმართა აჯანყებაზე მოეთხრო რამე.

– ბატონი ლევანი ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში გავიცანი, – თქვა მან; იმ დროს ლევანი უკვე თვალსაჩინო მწერალი იყო; გამოქვეყნებული ჰქონდა „კრწანისის სევდა“, „უგზო ქარავანი“, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგმებოდა „მეფე ერეკლე“, „უძლეველნი“. გადასახლებაში მას, ცხადია, წერა აკრძალული ჰქონდა, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები შეძლებისდაგვარად შემოქმედებითი შრომის პირობებს ვუქმნიდით სწორედ იქ, ვორკუტაში, მეორე ჰორიზონტზე, სატრანსფორმატორო სადგურის კედლის გვერდით ამოთხრილ ორმოში, სანთლის შუქზე იწერებოდა უკვდავი „გმირთა ვარამი“. შემდეგ ბატონი შოთა ადგა, თაროდან „გმირთა ვარამის“ მესამე ტომი გადმოიღო.

ეს წიგნი ჩვენი ოჯახის უძვირფასესი რელიქვიაა, – თქვა მან.

– შოთა შავგულიძეს! – თავადაც „გმირთა ვარამის“ კაცს,

ბევრის მნახველსა და გადამტანს. სწორედ იქ, სადაც ეს წიგნი იწერებოდა, სიყვარულით და ოჯახური ბედნიერების სურვილებით – ავტორისაგან“ – ვკითხულობ მწერლის ავტოგრაფს.

– ბატონო შოთა! თქვენი კეთილგანწყობით ვისარგებლებ და, თუ ნებას დამრთავთ, კიდევ გეწვევით ვორკუტასა და ბატონ ლევანზე სასაუბროდ.

– ჩემო ჯუმბერ, შენთვის სასურველ დროს მოდი შენი პანასონიკით. ოციოდე კასეტა წამოიღე და ჩავიკეტოთ. არამარტო ვორკუტაზე, დეტალურად გიამბობ რუსთავის აჯანყებაზე, გერმანიის სხვადასხვა ბანაკში თავს გადამხდარ უბედურებებზე. ჩემი მეუღლე ჭადს, ყველს, ლობიოს და შინ დაწურულ ღვინოს არ მოგვაკლებს.

(ჩემდა სამწუხაროდ, ბატონი შოთას ამ დიდებული წინადადებით ვერ ვისარგებლე, რასაც დღემდე განვიცდი).

– კეთილი.

– ბატონო შოთა! მწერალი „გმირთა ვარამის კაცს გიწოდებთ. რა ჰქონდა მხედველობაში?

– ზუსტად ვერ გეტყვით. ვფიქრობ, უპირველესად რუსთავის პოლიტპატიმართა აჯანყების მეთაურობას თუ გულისხმობდა. ჩვენი აჯანყების ამბავი სწრაფად მოედო ქვეყანას. ცხადია, გულაგის ბანაკებშიც ჩააღწია.

მოგვიანებით, უკვე ორჯერ ნასამართლევი, მეც ვორკუტის კატორღელთა ბანაკში ჩამიყვანეს; კატორღელის ტანსაცმელი ჩამაცვეს, მკერდზე, ზურგზე და შარვლის მარჯვენა ტოტზე წითელი საღებავით დაწერილი, კატორღელის პირადი ნომერი – 1C-660 დამაკერეს და როგორც ბანაკის ზედამხედველები გვეძახდნენ – კატორღელთა ჯოგში გამრიეს...

შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 22 აპრილის ბრძანებულებით პატიმრობის განსაკუთრებული სასჯელი შემოიღეს – კატორღული შრომა! ამ ბრძანებულების საფუძველზე ვორკუტის იმ შახტებში, სადაც ქვანახშირის ამოღების ყველაზე ძნელი პირობები იყო, – კატორღელთა ბანაკები გაიხსნა უმკაცრესი რეჟიმით. კატორღელები სრულიად იზოლირებულნი იყვნენ გარე სამყაროსაგან. ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ მათ ადგილსამყოფელზე; კატორღელებს სასტიკად ეკრძალებოდათ ჰქონოდათ ქაღალდი, ფანქარი, გაზეთი, წიგნი. კატორღელთა შრომის ხანგრძლივობა ჩვეულებრივი პატიმრებისას სამი საათით აღემატებოდა. ისინი, როგორც წესი, უმძიმეს მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებდნენ.

პირველ ხანებში კატორღამისჯილები იყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელების სამსახურში მყოფი პოლიციელები, ბურგომისტრები, გესტაპოს აგენტები და სხვა. მაგრამ 1947 წლიდან პოლიტპატიმრების განსაკუთრებით საშიში ნაწილის იზოლაცია და კატორღელთა ბანაკში გადაყვანა დაიწყო.

1946 წლის მიწურულში დამაპატიმრეს და სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო ციხეში მომათავსეს ბრალდებით – სამშობლოს ღალატი! მუხლი 58–1/ბ დახვრეტას ითვალისწინებდა. მუხლით 58–10 – კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრობა ათი წლის პატიმრობას ითვალისწინებდა; დამამძიმებელ გარემოებაში – დახვრეტას! მუხლი 58–11 ანტისაბჭოთა პროპაგანდა – ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა.

ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა გამასამართლა რუსი პოლკოვნიკის კიტინის თავმჯდომარეობით. მომისაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რომელიც შემდეგ 10 წლით პატიმრობით შემიცვალეს.

1948 წლის იანვარში რუსთავის ბანაკში გადამაგზავნეს, იქ მაშინ 2700 პატიმარს შორის იყვნენ როგორც პოლიტპატიმრები, „დიდი“ და „პატარა“ ქურდები, ყოფილი სამხედრო ტყვეები, ისე უკულმართი ცხოვრებისაგან გზააბნეული, ციხეში სრულიად შემთხვევით მოხვედრილი უდანაშაულო ადამიანები.

– რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საცხოვრებელი სახლები, სასწავლო დაწესებულებები, სამედიცინო, კულტურული, სავაჭრო და სხვა ობიექტები მთლიანად პატიმრების მონური შრომითაა აშენებული. დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ შრომას ისიც ამძიმებდა, რომ ბრიგადირებად და ბარაკების უფროსებად ქურდ-ბაცაცები იყვნენ „დანიშნული“. პატიმრების ბედ-იღბალს ფაქტიურად ისინი განაგებდნენ. ბანაკის ადმინისტრაცია მთლიანად მათ ნება-სურვილზე დადიოდა.

ვგრძნობდი, რომ ასეთ ყოფას ვერ შევეგუებოდი. ჯერ კიდევ უშიშროების საგამომძიებლო ციხეში გადავწყვიტე დაკითხვის დროს სასიკვდილოდ შევჭიდებოდი გამომძიებელს. დაკითხვა, როგორც წესი – მხოლოდ საღამოს იწყებოდა, და ხშირად დილამდე გრძელდებოდა... რუსთავის ბანაკში კი მოქმედების მეტი ასპარეზი მომეცა. ამიტომ ადამიანების გაცნობას და საიმედო პირების ძებნას შევუდექი.

თებერვლის სუსხიანი დღე იყო. პატიმრები მიწას ვთხრიდით. მუშაობით დაღლილი და შიმშილით დაოსებული ახალგაზრდა მიწაზე დაჯდა. ეს რომ ბრიგადირმა დაინახა – უყვირა – რას გდიხარ, ადე, ბარს ხელი მოჰკიდე და იმუშავეო. შემდეგ კეტს წამოავლო ხელი და დასცხო. მე ციხიდან რუსთავის ბანაკში ახალი გადმოყვანილი ვიყავი. სულ ოთხი დღის ჩარიცხული ვიყავი ამ ბრიგადაში, ჩემს მიმართ უსამართლოდ მოპყრობას უფრო ვიტანდი, ვიდრე ჩემს ბედქვეშ მყოფი ჩემი თანამოძმეების დაჩაგვრას. ავენთე, ბარს ხელი წავავლე და ავაზაკს ზურგში დავცხე. ამის გამო მე და ის ახალგაზრდა 5 დღით კარცერში ჩაგვყარეს. ღამით ცალ-ცალკე ვისხედით, დღისით კი გავყავდით და მძიმე სამუშაოს ვაკეთებდით გვიანობამდე.

ასე გავიცანი სამტრედიელი ყმაწვილი პავლე მგალობლიშვილი. მამა ავადსახსენებელ ოცდაჩვიდმეტში დაუხვრიტეს, დედა და ბებია ზრდიდა. პავლე სკოლის მერხიდანვე ჩაბმულა ეროვნულ მოძრაობაში. იგი იატაკქვეშ მოქმედი პატრიოტული ორგანიზაციის წევრად ირიცხებოდა. მას

პროკლამაციების გავრცელება ევალებოდა. ამას თურმე ძალიან მოხერხებულად აკეთებდა. ალიონზე, ზოგჯერ კი ღამის წყვდიადში ღობეებზე, ბოძებზე, სახლების ფასადებზე აკრავდა. ერთ დღეს, სკოლაში წასული პავლე სახლში აღარ დაბრუნებულა, გზაში დააპატიმრეს. ჩანთაში ერთი ცალი პროკლამაცია აღმოაჩნდა.

– გერმანელები ჩრდილო კავკასიას მოადგნენ. კომუნისტებმა და ჩეკისტებმა ჩემოდნები ჩაილაგეს გასაქცევად, სამშობლოს შველა უნდა, გადავარჩინოთ ქვეყანა დაღუპვისაგან – ასეთი იყო პროკლამაციის შინაარსი.

დაიწყო პავლეს წამება. დაკითხვაზე ძირითადად ღამით გავყავდით, – აღიარე, რომ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ბანდის წევრი ხარ, რომ შენ გამოგქონდა პროკლამაციები სტამბიდან და ავრცელებდიო! მაგრამ პავლე ერთსა და იმავეს იმეორებდა – დილით, სკოლაში რომ მივდიოდი, გზაში ელექტრობოძზე გაკრული ფურცელი დავინახე, ჩამოვხიე და სკოლაში მივიტანე, მეტი არაფერი ვიცი.

– ერთ საღამოს სასტიკად მცემეს, – მითხრა პავლემ, – კიდევ არ მოხვედი ჭკუაზე“ – მითხრა გამომძიებელმა. – იცოდე, ეს უკანასკნელი ღამეა შენთვის. თუ არ გითქვამს, სად გაქვს გადამალული პროკლამაციები, სასაფლაოზე გაგიყვანთ და იქ ჩაგაძაღლებთო. იმდენი მირტყეს, გონება დავკარგე. რომ მომასულიერეს, – საკანში ჩამაგდეს. ღონემიხდილს ჩამეძინა. ბებო დამესიზმრა, მამაჩემის შესახებ მიამბობდა: – „საყვარელი კაცი იყო მამაშენი, ჭკვიანი, პირდაპირი, მოკვდებოდა და ქედს არავის მოუხრიდაო. გამომელვიძა, ტირილი ამივარდა. ცრემლი არ შემშრობოდა, რომ საკანში გამომძიებელი და ორი უცხო პირი შემოვიდა.

– რა გადაწყვიტე? – შემეკითხა გამომძიებელი.

– კარგი, გადმოგცემთ პროკლამაციებს.

– აა, სიკვდილმა შეგაშინა? კარგია! სიკვდილი მაინც არ აგცდება, თუ არ დაგვისახელებ, სად იბეჭდებოდა პროკლამაციები. თუმცა, ჯერ ეს იყოს, სად გაქვს დამალული?

– ეზოში, – ვუპასუხე.

– ადგილი ზუსტად გვითხარი.

– იმას თქვენ ვერ მიაგნებთ, ზოგი სახლის ქვეშ მაქვს შენახული. გამომძიებელმა პაპიროსი ამოიღო, მეც მომაწოდა.

– არ ვეწევი, – ვუპასუხე.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ადამიანურად შემომხედეს.

– კიდევ მოიფიქრე, – მითხრეს და საკნიდან გავიდნენ.

ორი დღე არავის შევუწუხებივარ. როგორც შემდეგ გავიგე, ის ორი ღამე ჩემს სახლში ყველაფერი გადაუნგრევიათ. სახლის ქვეშ, სარდაფშიც კი გაუთხრიათ მიწა, მაგრამ ვერაფერი უპოვიათ. მესამე დღეს ღამით, კვლავ მიმიყვანეს გამომძიებელთან. იქ ის ორი უცნობი დამხვდა. გარეთ გამიყვანეს და მანქანაში ჩამსვეს.

– ამ მანქანას ორი გზა აქვს, – ერთი სასაფლაოსაკენ მიდის, მეორე – შენი სახლისაკენ. საით წავიდეთ? – მეკითხება გამომძიებელი.

მე ხმას არ ვიღებდი.

– ხომ ზუსტად იცი პროკლამაციის ადგილი?

– კი, ვიცი-მეთქი.

– აბა, წავიდეთ პავლიკას სახლისკენ, – გასძახა მძღოლს გამომძიებელმა. სახლთან მიმიყვანეს. ღამის პირველი საათი იქნებოდა. ეზოში ისე შევედით, არავის გაუგია. მანქანიდან ბარი და წერაქვი გადმოიღეს.

– აბა, შევუდგეთ საქმეს! – მითხრა გამომძიებელმა.

– სახლში უნდა შევიდეთ, იქიდან მაქვს ჩასასვლელი-მეთქი. შეყოყმანდნენ, მაგრამ ბოლოს დათანხმდნენ. ჩვენები გააღვიძეს. პირველი ბებია გამოვიდა ტირილით.

– რას გვერჩით! შვილი დამიხვრიტეთ, შვილიშვილსაც მიღუპავთ, სამი ღამეა, მოსვენებას არ გვაძლევთ. ბარემ წაუკიდეთ ცეცხლი და შიგ ამოგვწვით.

– ბებო! გადავეხვიე ერთიანად აკანკალებულ მოხუცს. ისე ჩავეკონეთ ერთმანეთს, რომ ვერ დაგვაშორეს. მალე დედაჩემი და დაც გამოვიდნენ.

– ნუ გეშინიათო, – ამშვიდებდნენ ჩემებს ჩეკისტები, – პავლემ ყველაფერი აღიარაო, ამიტომ სასჯელს შეუმსუბუქებენო, მალე დაგიბრუნდებათო.

– დედა! არაფერი დაუჯეროთ, ტყუიან! – დავიძახე ხმამაღლა. შემდეგ ჩეკისტებს მივუბრუნდი – მე არავითარი პროკლამაცია არ მაქვს; ბებიას ნახვა მინდოდა და ვნახე, სურვილი შევისრულე. ახლა წავიდეთ სასაფლაოსკენ, წამოიღეთ ბარი და წერაქვი და თქვენც შეისრულეთ სურვილი-მეთქი. მაშინვე ხელები ზურგსუკან გამიკოჭეს, პირი ამიკრეს, ეზოდან გამომათრიეს და მანქანაში ჩამაგდეს. კვლავ ციხეში წამომიყვანეს. გზაში უმოწყალოდ მირტყამდნენ, მაგრამ ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი, – მიამბობდა ერთიანად გაფითრებული პავლე... მომეწონა ვაჟკაცი, უკეთეს თანამოაზრეს ვერც ვინატრებდი.

ჩვენთან მუშაობდა ქუთაისელი ევგენი გაბელაშვილი. ომმა არმიის რიგებში მოუსწრო. 1942 წელს დაიჭრა, მეორე ჯგუფის ინვალიდად დაბრუნდა სახლში. მუშაობა ტყიბულის სტამბაში დაუწყია. დაუკავშირდა ქუთაისში მოქმედ არალეგალურ პატრიოტულ ორგანიზაციას, მონაწილეობა მიუღია მიკროსტამბის შექმნაში და პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებაში. 1944 წელს პატრიოტთა ჯგუფი, მათ შორის ევგენიც დაუპატიმრებიათ. გაასამართლეს, სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგ ათი წლით პატიმრობით შეუცვალეს; უკვე ორი წელი იყო, რაც რუსთავის ბანაკში იმყოფებოდა...

ევგენის სხვისი საუბრის მოსმენა უყვარდა, საკუთარ აზრს იშვიათად გამოთქვამდა. პრაქტიკული ახალგაზრდა ჩანდა. სამუშაოს, რაგინდ მძიმე და დამამცირებელიც არ უნდა ყოფილიყო, ბოლომდე მიიყვანდა. მიკვირდა. თოფის ლულის ქვეშ ამუშავებდნენ და საქმეს მაინც არ ღალატობდა. ევგენისაც დავუახლოვდი. ასე შევქმენით „ტრიუმვირატი“. ბარაკის ერთ სექციაში ვიძინებდით, ერთად ვჭამდით, ერთად ვმუშაობდით. ბოლოს, ერთმანეთს გულებიც გადავუხსენით. „ტრიუმვირატს“ ბენო კარტოზია შემოემატა. ბენო ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იყო, თავგადაკლული „ანტი“. ქუთაისიდან ვიცნობდი. 1935 წელს საკმაოდ გახმაურებული, იმ დროისათვის სენსაციური ამბავი მოხდა ქუთაისში. ბენო კარტოზია იმჟამად „ინდუსტრიული ქუთაისის“ პასუხისმგებელი მდივანი, ანტისაბჭოური ჯგუფის ჩამოყალიბებაში იყო ეჭმიტანილი. ჯგუფში ქალაქის მოწინავე ახალგაზრდობა იყო გაერთიანებული – ვალიკო ესიაშვილი, მიშა ფხაკაძე, ვლადიმერ შავგულიძე, შალვა ჯავახაძე, შალვა კოხოძე, ვახტანგ ხელაძე...

ეს ყმაწვილები კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს, სამსახურიდან გაანთავისუფლეს; დაიწყო ძიება, დაკითხვები. ბენო 1937 დააპატიმრეს... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. და აი, რუსთავის ბანაკში შევხვდი. ბენო ჩემს მეგობრებს გავაცანი. ბენოს ერთი ამბავი მოვაგონე, რომელიც იმ ხანად ქუთაისში დადიოდა. ვთხოვე, ის ამბავი ბიჭებისათვის ეამბნა.

ბენომ გაიღიმა და ბიჭებს უამბო:

– დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე, ქუთაისის შინსახკომის უფროსთან გამოიძახეს.

– ამხანაგო ბენო! სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ,

რომ თქვენ იარაღი გაქვთ. ადასტურებთ?

– დიახ, მაქვს.

– ხომ იცით, რომ ასეთი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ რადგან თქვენ ამას აღიარებთ, რასაკვირველია, სასჯელი შეგიმსუბუქდებათ. ამიტომ იარაღი უნდა მოიტანოთ და ჩაგვაბაროთ.

– მოტანა არ მჭირდება, მე მას თან ვატარებ და პიჯაკის მარცხენა გულის ჯიბეში ჩავიყავი ხელი.

– ხელი არ გაანძრიო! – დამიყვირა უფროსმა, უკანდან რევოლვერი ამოიღო და დამიმიზნა. ასე გაგრძელდა ათი წამი.

– დადე იარაღი მაგიდაზე! – მიყვირა გაშმაგებულმა შინსახკომის უფროსმა.

მე ჯიბიდან ნელ-ნელა ამოვიღე ფანქარი და მაგიდაზე დავდე. – აი, ჩემი იარაღი! მისი წართმევის უფლება თქვენ არ გაქვთ-მეთქი...

ვაჟკაცური შემართების კაცი იყო ბენო კარტოზია. ასე შეიქმნა მტკიცე თანამოაზრეთა ჯგუფი – პავლე მგალობლიშვილი, ევგენი გაბელაშვილი, ბენო კარტოზია და თქვენი მონამორჩილი. მალე ორი სამხედრი ტყვე შემოგვიერთდა – შალვა ჩაჩავა და პლატონ სიჭინავა.

გარე სამყაროში დაკავშირებული ვიყავით აკაკი მუხაშავრიასთან, რომელიც გერმანიაში ჩემთან ერთად იყო ტყვეობაში, და დღე-დღეზე ელოდა დაპატიმრებას; კავშირი გვქონდა ბიძაჩემთან, საზოგადო მოღვაწესთან, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, ყოფილ პოლიტპატიმართან, პროფესორ ივანე ხელაძესთან. მისი დავალებით, ჩემი ბიძაშვილი ინჟინერი ბიჭიკო (ვლადიმერ) ხელაძე პერიოდულად ჩამოდიოდა რუსთავის ბანაკში და ახერხებდა ჩემთვის საჭირო საგნების გადმოცემას. აჯანყების დაწყებამდე სამი დღით ადრე, იგი, მოსაკითხის მოტანისას, ორი შარვლითა და ორი პერანგით შემოვიდა ბანაკში. გაიხადა და შეუმჩნევლად გადმომცა შიდა შარვალი და პერანგი, ასევე გარკვეული რაოდენობის თანხა.

პოლიტპატიმრების გამოყენება ყოველგვარ ამინდში მძიმე სამუშაოზე, მათ მიმართ საგანგებო, მკაცრი რეჟიმის დაწესება, ფიზიკური და მორალური დამცირება, არაადამიანური მოპყრობა – აჯანყებისკენ გვიბიძგებდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ პოლიტპატიმართა ერთი ნაწილის მშობლები ოცდაათიანი წლების პოლიტიკურმა რესრესიებმა იმსხვერპლა, ხოლო მათ, „ხალხის მტრების“ შვილებმა, მშობლებთან ერთად გადაიტანეს გენოციდის ყველა საშინელება, ტანჯვა-წამება, დამცირება, პოლიტიკური დისკრიმინაცია... ეს ახალგაზრდები კომუნისტური დიქტატურისადმი შურისძიების ჟინით იყვნენ აღვსილნი.

ჩვენ მათ ვიცნობდით, ვენდობოდით; გვწამდა, რომ მათთან ერთად შეიძლებოდა აჯანყების დაწყება.

შევთანხმდით, რომ აჯანყების თავკაცები თავს დავესხმოდით ვახტას, საიდანაც გამოვიტანდით იარაღს, შევაიარაღებდით ყოფილ სამხედრო ტყვეებს; გავაღებდით ალაყაფის კარებს და პატიმრებს გავათავისუფლებდით. თავად ჩვენ გზა უნდა გაგვეკვლია მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით, თურქეთის საზღვრამდე. ამ ადგილებს კარგად ვიცნობდი, რაკი ომამდე ჩემი ასეულით ახალციხე ახალქალაქის მიდამოებში ვიდექი.

შეთქმულთა ვიწრო წრეში ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვიცოდით, მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ველოდით.

1948 წლის 17 აპრილი გათენდა. შაბათი. პოლიტპატიმრებისგან შემდგარი ბრიგადები, სხვა პატიმართა ბრიგადებთან ერთად, დაახლოებით სამასორმოცდაათი კაცი ბადრაგითა და ძაღლებით ბანაკიდან გაგვიყვანეს და მავთულხლართებითა და საცეცხლე წერტებით გამაგრებულ მშენებლობის ობიექტზე დაგვაყენეს. ეს ტერიტორია იგივე ბანაკი იყო თავისი ვახტითა და სათვალთვალო კოშკებით.

დილის 9 საათზე ჩვენს მეგობარს, გივი შონიას, დედამ მოსაკითხი მოუტანა. ვახტიორმა ამანათის მიღებაზე სასტიკი უარი უთხრა. ბიჭები შეევედრნენ – შორიდანაა მოსული, ნუ გაუშვებ უკან, თან დღეს ხომ შაბათია, ამანათის მიღების დღეო. ვახტიორმა პატიმრების თხოვნა ყურად არ იღო, გივის დედას კი თოფის კონდახი ჰკრა და წააქცია. მოსაკითხი მიწაზე გაიფანტა.

– ჯალათო! ფაშისტო! აყვირდნენ ამ ამბით აღშფოთებული პატიმრები.

ეს იმ დროს მოხდა, როცა შემმოწმებლებს იარაღი ვახტაზე ჰქონდათ დატოვებული და ისე იყვნენ შემოსული ბანაკში. ვახტაზე მხოლოდ ერთი კაცი იყო დარჩენილი.

გივი გადახტა, აკრძალული ზონა გადალახა და დედას

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი

მივარდა. ვახტიორმა იარაღი შემართა და გივისკენ გაიწია. პავლემ ნაჯახი სასიკვდილოდ დაჰკრა ჯალათს. მე და ევგენიმ ვახტის კარები შევამტვრიეთ და გამოვიტანეთ 2–2 ნაგანი, პისტოლეტი და თოფი, ერთი რუსული სამხაზიანი შაშხანა და მეორე – გერმანული წარმოებისა. ბანაკის კარები გავაღეთ და თანამებრძოლებს იარაღი დავურიგეთ.

სამწუხაროდ, ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა, რამაც ბევრი რამ შეცვალა. ბანაკში ოთხმოცამდე გერმანელი სამხედრო ტყვე იყო, რომლებიც თავისუფალ დასახლებაში იყვნენ და მშენებლობის ობიექტზე საშვით შემოდიოდნენ. ორი გერმანელი ტყვე, რომელიც შეხლა-შემოხლაში მოხვდნენ – „გოთ-გოთო“ – (ღმერთო, ღმერთო) – მორთეს ყვირილი. ბანაკში მყოფმა გერმანელებმა რომ გაიგონეს – იფიქრეს, ჩვენს თანამემამულეს კლავენო, და სასწრაფოდ შემმოწმებლებს შეატყობინეს. სათვალთვალო კოშკებზე მყოფმა გუშაგებმა ცეცხლი გახსნეს. ატყდა განგაში. ბრძოლამ უკვე ქალაქის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. გადავწყვიტეთ, ხიდით გადავსულიყავით მდინარეზე, მაგრამ ხიდი მილიციის მიერ იყო გამაგრებული. იძულებული გავხდით მტკვრის ნაპირებს ავყოლოდით. ჭალაში ბუჩქებს ვეფარებოდით, თან ფონს ვეძებდით. ჩვენ, ტყვია-წამლის სიმცირის გამო, ხანგამოშვებით თუ გავისვრიდით მიზანში, მდევრები კი ყოველ ბუჩქს, ყოველ ფერდობს ცხრილავდა და ისე მოიწევდა ჩვენსკენ. შედარებით საიმედო ადგილს მივადექით. გადავწყვიტეთ სწორედ აქ გადაგვეცურა მტკვარი. პირველი პავლე გადახტა. მე ნაგანი ქამარში გავირჭე და ტანსაცმლიანად გადავეშვი მდინარეში. ევგენიც მოგვყვა. მტკვარი მღვრიე და მოდიდებული იყო.

შუა მდინარემდე ვიყავით მისული, რომ შეგვამჩნიეს და სროლა აგვიტეხეს. ჭალაში შემოსვლას ვერ ბედავდნენ, შორიდან გვესროდნენ, ადვილი არ ყოფილა ბრძოლაში ადამიანის მოკვლა. მართალი უთქვამს ნაპოლეონს – ერთი ჯარისკაცი რომ გამოიყვანო მწყობრიდან, მისი წონა ტყვია-წამალი უნდა დახარჯოო.

დროგამოშვებით ჩავისუნთქავდი, ჩავყვინთავდი და ისე მივიწევდი მეორე ნაპირისკენ. ერთხელაც წყლიდან თავი რომ ამოვყავი – პავლემ შემომძახა – „შოთა, დამჭრესო“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მას შემდეგ გამოჩენილად მივცურავდი, მაგრამ პავლე აღარ დამინახავს. იგი მტკვრის მღვრიე ტალღებმა შთანთქა... ცურვისას ტყვია წელს ქვემოთ მომხვდა. ნაპირზე გასვლამდე პატარა კუნძული შევამჩნიე, ცურვით შემოვუარე და წყალში დამდგარი დავიმალე. პირამდე წყალი მფარავდა, თავს ზემოთ – ბალახი. ჭრილობიდან ტყვია ხელით ამოვიღე, რომელიც ღრმად არ იყო კუნთში შესული.

გაუნძრევლად ვიდექი წყალში. დაღამებას ველოდი. რამდენი ხანი გავიდა – არ ვიცი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა სროლის ხმა. დავინახე – როგორ მოცურავდა ჩემსკენ ნავი. ალბათ შემამჩნიეს. ჩემთან 15 მეტრის მოშორებით ნავიდან ძაღლი გადმოხტა და ჩემთან მოცურდა. წყლიდან ამოვვარდი. ძაღლმა ნაპირზე მომდია, დამეტაკა და წამაქცია. ნაგანი წყალში მოვისროლე. მოცურდნენ, ნავში ჩამაგდეს და ნაპირზე გამიყვანეს. პერანგი მთლიანად სისხლით მქონდა შეღებილი. ნაპირ-ნაპირ, სროლით მიჰყვებოდნენ მტკვრის დინებას.

ხელები შემიკრეს და „ფრონტის ხაზიდან“ გამიყვანეს. ორმოცდაათამდე შეიარაღებული ოფიცრის რკალში აღმოვჩნდი. შემათვალიერეს, რაღაც მოითათბირეს.

– წაათრიეთ! – გასცა ბრძანება ერთმა.

– არ მოვდივარ-მეთქი.

ერთმა თოფის კონდახი ჩამცხო. წავიქეცი. წამომაყენეს. შემდეგ ერთმა ოფიცერმა პერანგის საყელოში ჩამავლო ხელი და ქალაქის მცხოვრებლებით სავსე ქუჩაში გამიყვანეს. შეიარაღებულნი ცნობისმოყვარე ხალხის ტალღას მიარღვევდა. უკან ხელებგაკრული, გულაღმა შემაგდეს საბარგო ავტომანქანაზე. ზედ ორი ოფიცერი ამოვიდა. მანქანა მეტად ოღროჩოღრო გზით მიჰყავდათ. ვხედავ – ჯერ ერთ მხარეს გადაიშალა ძარა, შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე მხარეს. ამ ჯაყჯაყში ნელ-ნელა მივცოცავ ნაპირისკენ... ის ის იყო უნდა გადავვარდნილიყავი, რომ სასწაულად ხელი მანქანის ძარის გატეხილ ადგილზე მომიხვდა. ჩავეჭიდე. ხელში ისეთი ძალა მომეცა, რომც მოგეჭრათ, ასე მგონია, თავის ფუნქციას მაინც შეასრულებდა. ბადრაგი ხედავდა, რომ მხოლოდ ერთსა და იმავე ადგილზე ვხტოდი. მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და წიხლები დამიშინეს. ამასობაში მანქანა ბანაკში მივიდა. მანქანიდან გადმომაგდეს და ელექტრობით გაჩახჩახებული ვახტის წინ, ევგენი გაბელაშვილის გვერდით დამაგდეს. შეიარაღებული ვახტიორების ჯგუფი შემოგვეხვია. მსუბუქი მანქანების კოლონა მოვიდა. თავს დაგვადგნენ მაღალი რანგის პარტიული და სამხედრო ჩინოვნიკები.

შინაგან საქმეთა მინისტრი მომიახლოვდა, წიხლი მკრა და ქვეშევრდომებს უსაყვედურა – რას მოათრევდით, ადგილზე რატომ არ ჩააძაღლეთო?

– ამათ ცოცხალს მაინც არ დავტოვებთო, – უპასუხა რეჟიმის უფროსმა ახმედ დიასამიძემ.

რუსთავის ციხეში მოგვათავსეს, კარცერში ჩაგვსვეს. რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე. იმ ღამე სამოცდაათზე მეტი პოლიტპატიმარი, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, ასევე ეჭვმიტანილებიც, იზოლატორში გადმოიყვანეს და საკნებში ჩაკეტეს. გაქცეულ პოლიტპატიმართა ძებნა ერთ თვეს გაგრძელდა. მათ შესაპყრობად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ჯარის ნაწილები გამოიყვანეს. ოცდაათზე მეტი პოლიტპატიმრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ევგენი გაბელაშვილისა და ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდებები სამი მუხლისაგან შედგებოდა:

– იმპერიალიზმის აგენტობა; შეიარაღებული ბანდის ხელმძღვანელობა და კონტრრევოლუციური თავდასხმის ორგანიზატორობა. თითოეული მუხლი ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას.

რუსეთის იმპერიის არსებობის მანძილზე, სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა გაუქმებული იყო მხოლოდ ორი წლის განმავლობაში – 1947–1949 წლებში. ეს საგონებელში აგდებდა აჯანყების საქმეზე მომუშავე გამომძიებლებს და პროკურორს. ათი წლის სასჯელს აჯანყების ყველა მონაწილე ისედაც იხდიდა. რითი დაესაჯათ ისინი? გადაწყვიტეს აჯანყების მეთაურებს ფიზიკური განადგურებით გასწორებოდნენ.

ეს პროცესიც დაიწყო. ჩემზე ლეიტენანტი ფაჩუაშვილი იყო მომაგრებული. ის ყოველ საღამოს კარცერში ჯალათს შემოიყვანდა, – „დაამუშავეო“, – უბრძანებდა და იწყებოდა ჩემი წამება. როდესაც ღონემიხდილი ცემენტის იატაკზე უგონოდ დავეცემოდი – გადიოდნენ და კარს დაკეტავდნენ.

უარესს ველოდი. მუდამ მახსოვდა რეჟიმის უფროსის მიერ მინისტრისადმი მიცემული პირობა – „ცოცხალს არ დავტოვებთო...“. მწამდა მისი შესრულების გარდუვალობა და განსაცდელის მოლოდინში ყველა სხვა ჭირს ვიტანდი...

ორი კვირა იქნებოდა გასული იმ დღიდან, რომ ღამით, კარცერის კარი გაიღო. კარცერში სინათლე შემოვიდა. მას ახმედ დიასამიძე და არყის სუნით აყროლებული ზედამხედველი შემოჰყვა.

– შავგულიძე, მოდი აქ! მეძახის ჩახლეჩილი ხმით.

ვერ წამოვდექი, მივხოხდი.

– ბიჭო! ეს „ნაილუჩში“ კომსომოლები რომ დამიხოცე, მერჩივნა მე მოგეკალი. ამას ჰქვია კონტრრევოლუციური შემოტევა, – თქვა და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

დაცდილი მქონდა, ვინმე ხელს რომ გაანძრევდა – უთუოდ ჩემსკენ იყო მომართული. ამჯერად ასე არ მოხდა. მან ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ჯერ ზედამხედველს მიაწოდა, შემდეგ მე გამომიწოდა.

– არ ვეწევი-მეთქი, უნდა მეთქვა, რომ რუსმა ზედამხედველმა მუცელში წიხლი ჩამაზილა.

– დაიწყო ჩემი „დამუშავება“-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ შევცდი.

– გაჩერდი! უყვირა დიასამიძემ რუსს. როცა მტერი გნებდება – არ სცემენო! – და გარეთ გავიდა.

ვერ მივხვდი, რატომ გადაიფიქრა ანგარიშის გასწორება ჯალათმა. პასუხი გვიან გავიგე. თბილისის ციხეში ერთმა გურულმა პატიმარმა, რომელიც ახმედის ოჯახს იცნობდა, მითხრა:

– დიასამიძეები აჭარლები არიან. ახმედი ერთ დროს ფირალი იყო, წითლებს ებრძოდა. შემდეგ მთავრობამ შეიწყალა; დაიწყო სამხედროში სამსახური. ვფიქრობ, თქვენ რუსთავის ციხეში რომ არ გაგაგორეს, – ეს ახმედ დიასამიძის ფარული დახმარების შედეგი იყოო.

ორი თვის განმავლობაში სამი გამომძიებელი აწარმოებდა ჩემს დაკითხვას. მათ შორის ყველაზე სასტიკი იყო მაიორი ლობჟანიძე. მას დავალებული ჰქონდა ბრძოლის დროს დაღუპულების – ლეიტენანტ გავრილოვის, სერჟანტ მიხაილოვის, ზემდეგ სადიკოვის, მილიციის ლეიტენანტ დუდაევის ირგვლივ მასალების დეტალურად შესწავლა. როდესაც ჩემი პასუხი არ მოეწონებოდა, მოვიდოდა და სკამზე დამჯდარს დამიწყებდა ჩექმის წვერებით ცემას წვივებზე. მანამ მირტყამდა, ვიდრე შარვლის ტოტები წითლად არ შეიღებებოდა... სადისტი გამომძიებლის ამ ბრალდების დასადასტურებლად მოწმეების ძებნა საჭირო არ არის; თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, მაგრამ ჩემს წვივებს დღესაც შავ ლაქად ატყვია ლობჟანიძისეული ხელწერა...

თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც პატიმრის მიმართ კანონს იცავდნენ. ერთხელ დაკითხვიდან დამაბრუნეს. ის იყო, კარცერში უნდა შევსულიყავი, რომ უცნობმა ოფიცერმა ზედამხედველს უბრძანა, ჩემთან შემოიყვანეო.

– შავგულიძე! შენ ზინა ჭანუყვაძის მაზლი ხარ?

– დიახ, ბატონო.

– მერე, რისთვის დაატრიალე ეს უბედურება.

– თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? – კითხვაზე პასუხი არ გამიცია, მაგრამ დაინტერესდა, საკვებს თუ მაჭმევდნენ და საერთოდ, როგორ მეპყრობოდნენ.

პირველად მუხლები ვაჩვენე. შემდეგ წვივის ძვლამდე დასული ღია ჭრილობები რომ ნახა – თავი გვერდზე მიაბრუნა, იარებს ველარ უყურა. შემპირდა – მალე თბილისის ციხეში გადაგაგზავნიო, იხმო ზედამხედველი და ოთახიდან გავიდა. შემდეგ შევიტყვე – გამომძიებლები გაუფრთხილებია, ძიება კანონის ფარგლებში ჩაეტარებინათ. დაკითხვა სრულ იზოლაციაში მიმდინარეობდა. აჯანყების მონაწილეებს ვერ ვხვდებოდი. იყო გაუთავებელი დაპირისპირება მოწმეებთან, გერმანელ ტყვეებთან, რუსთავის მოქალაქეებთან, ბანაკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან...

ძიება დამთავრდა. საბრალდებო დასკვნას გავეცანი და ხელი მოვაწერე. თბილისის ციხეში გადამიყვანეს. სასამართლო პროცესის მოლოდინში კიდევ ერთი, ახალი ბრალდება წამომიყენეს – სახელმწიფო ქონების გატაცება. მე რომ გავიტაცე ერთი ცალი რუსული სამხაზიანი შაშხანა და ერთი ცალი ნაგანის სისტემის რევოლვერი.

გაბელაშვილის, ორი პოლიტპატიმრის და ჩემი სასამართლო პროცესი თბილისის საგამომძიებლო ციხეში გაიმართა. სხდომები დახურულად მიმდინარეობდა. პროცესმა სამ დღეს გასტანა.

საკვირველი იყო. პროკურორი და დამცველნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენს მიმართ დანაშაულის რაც შეიძლება მკაცრ კვალიფიცირებაში. ვერ გაარჩევდი – რომელი იყო პროკურორი და რომელი – დამცველი.

მე დამცველს სიტყვა გავაწყვეტინე და დაცვაზე უარი განვაცხადე.

სხდომის მესამე დღე განაჩენის გამოცხადებას დაეთმო. განაჩენში ყველაფერი იყო ნახსენები, „აჯანყების“ გარდა.

ჩემს მიმართ წაყენებული ოთხივე ბრალდება სასამართლომ დაადასტურა. მომისაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – 25 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის ბანაკში მოთავსებით. სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით ხმის უფლების ჩამორთმევა.

რუსთავის იზოლატორში მოთავსებული აჯანყების მონაწილენი თბილისის გამანაწილებელ ციხეში გადაიყვანეს. იქიდან უკლებლივ ყველანი გულაგის სპეციალური დანიშნულების ბანაკებში გაგზავნეს.

ტოტალიტარული რეჟიმისათვის უცხო და წარმოუდგენელი იყო პოლიტპატიმართა ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობა. რუს ჯარისკაცთა ხიშტების საიმედო დაცვის ქვეშ მყოფი კომუნისტური საქართველო ულმობლად უსწორდებოდა არათუ აჯანყებას, არამედ მცირეოდენ ოპოზიციურ ჩანაფიქრსაც კი.

მოხდა აჯანყება, რომელმაც გაარღვია ბანაკის დაცვა, შეაიარაღა პოლიტპატიმრები, სააშკარაოზე გამოიტანა პოლიტპატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა, საჯაროდ გაილაშქრა უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ რუსთავის 1948 წლის 17 აპრილის აჯანყებას არავითარი მოთხოვნები ან წინაპირობა არ წამოუყენებია. ეს იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა უკომპრომისო პროტესტი კომუნისტური დიქტატურის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ აჯანყებამ გაიმარჯვა! მართალია, აჯანყებულებმა დავკარგეთ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მებრძოლი პავლე მგალობლიშვილი; აჯანყების მონაწილეთა უმრავლესობამ შორეული აღმოსავლეთის თუ უკიდურესი ჩრდილოეთის სისხლიან ბანაკებში დაამთავრა სიცოცხლე, მაგრამ როგორც ვორკუტის ცნობილი აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბატონი ლევან გოთუა თვლიდა, გულაგის ბანაკებში მისი ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში მომხდარ პოლიტპატიმართა მოძრაობებს შორის, რუსთავის პოლიტპატიმართა აჯანყება ყველაზე გამორჩეული იყო თავისი გაბედულებით, თავგანწირვითა და შედეგებით.

თბილისის ციხეში დიდხანს არ დამაყოვნეს, სტოლიპინის ვაგონით გავცდი საქართველოს საზღვრებს. მივდიოდი დაღლილ-დაქანცული, მიმქონდა ნაცემ-ნაგვემი, ნატანჯი სხეული, მაგრამ საბედნიეროდ შემრჩა რწმენა, უდრეკი სული და იმედი. სწორედ მომავლის იმედი მკვებავდა; სტოლიპინის ვაგონში იმედი იყო ჩემი მასაზრდოებელი; რწმენამ და იმედმა გადამატანინა ყველა განსაცდელი.

ესაუბრა
ჯუმბერ ჯიშკარიანი

საქველმოქმედო კონცერტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურში მალე საბა გამწმენდელის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყება. ამ ფაქტთან დაკავშირებით კინო სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა დასავლეთ საქართველოს იტალიური ცენტრის პრეზიდენტი, ასოცირებული პროფესორი, ცნობილი მუსიკოსი გაგა შოთაძე. რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: სოფელი გუთური ჩემი დედულეთია, ძალიან მიყვარს აქ ჩამოსვლა. ძალიან გამიხარდა, როცა ჩემმა ახლობელმა რუსუდან ბოლქვაძემ გადაწყვიტა ტაძრის მშენებლობას ჩადგომოდა სათავეში. მე დიდი სიამოვნებით დავდექი მის გვერდით და საპატრიარქოსთან შეთანხმებით მომზადდა ტაძრის პროექტი.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდა ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები: „ნართი,“ „გურია,“ მომღერალი ლეილა კოტრიკაძე, სამუსიკო სკოლის ბიჭუნათა ანსამბლი, ფლეიტისტი თემურ ჩხიკვაძე, მუსიკოსი ნიკოლოზ გიორგაძე, თავად გაგა შოთაძემ რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა ფლეიტაძე, რომელსაც კონცერტმეისტერობას უწევდა ცნობილი პიანისტი თინათინ ენდელაძე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის მსახიობი ზაზა კილასონია, და ოზურგეთის ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია.“

სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი არქიტექტორი გოგი თოდაძე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი შავგულიძე, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი გოჩა გათაშვილი, ჯუზეპე ბონამიჩი, სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი დოდო მამალაძე, რუსუდან ბოლქვაძე და სხვები.

საქველმოქმედო კონცერტის დასასრულს ღონისძიების წამყვანმა და ორგანიზატორმა გაგა შოთაძემ მადლობა გადაუხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძვანელობას და კულტურის სამსახურს თანადგომისთვის. რუსუდან ბოლქვაძემ კი იმედი გამოთქვა, რომ ეს კეთილშობილური საქმე კეთილი ადამიანების თანადგომით აუცილებლად განხორციელდება.

ქეთევან კუკულავა

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს გამოჩენილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელი მიენიჭა.

გალერეაში წარმოდგენილი იყო მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრების (ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა) ფოტორეპროდუქციები. გამოფენა გახსნა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ, ბატონი მერაბი ობიექტური მიზეზის გამო გამოფენას არ ესწრებოდა, ამიტომ მისი მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა აკადემიკოსმა თამაზ შილაკაძემ, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა გალერეის დირექტორმა ავთანდილ თავართქილაძემ, მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა და გურიის რეგიონული მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ დარჩიამ. სიტყვით გამოვიდნენ გურიის მხარის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და სხვები.

გამოფენის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა აბრა, რომელიც გვამცნობს, – ამიერიდან აქ იქნება მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი. ბატონი მერაბი წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იგი ამჟამად გახლავთ საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე. გასულ წელს მიენიჭა ოზურგეთის საპატიო მოქალაქის წოდება.

ქეთევან კუკულავა

სანამ ღმერთი, ბიძა და ანგელოზი პოეზიის შვილია

მამა ადამი – ვახტანგ ახალაძე – ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა, არქიმანდრიტია. 7 წელია თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია.

სასულიერო მოღვაწეობა მხოლოდ პროფესია არ არის, იგი ამავე დროს შინაგანი მდგომარეობაა. როცა ღვთისმსახური ლექსებს წერს და აქვეყნებს, ვითარება ერთი შეხედვით მაინც, რამდენადმე პრობლემურია. როგორც დავით წერედიანი აღნიშნავს, – მიუხდავად განსაკუთრებული ჩაკვირვებისა, მის პოეზიაში არავითარი ხელოვნურად დადებული ზღვარი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, ზნეობრივი სიმაღლე ყოველთვის დაცულია...

– რას ნიშნავს მისთვის ნამდვილი პოეზია?

– „შერკინება უკუნეთთან ერთი, ოდენ ერთი რითმისათვის – მამა ადამის ეს ნათქვამი ლიტონი სიტყვები არ არის...

ამათ თვალწინ
დაიბადა ჩემს წიაღში
ეს სტრიქონები -
შენ რომ შობდი, იმ კი არა,
სულ სხვა ღექსის
სხვა ბგერათწერა -
სიყვარულის,
უვნებოს,
პირმშო

მშობლების სახლი გამახსენდა

ხატი, ნახატი, ესკიზი, ტილო, თეფში და ბრა,
კიდევ - მილურსმული წიგნის თაროები სამხრეთის კედელზე,
როგორც მამის მკერდს, რომელსაც მიეყრდნობი,
როცა ფეხები გეკეცება
და გული საგულიდან გივარდება...
ხალიჩა, ჰარკეტი, მტვერი, სპანიელი, ფლოსტები, კატა...
წარსულიდან ჩურჩულივით მინავლებულ ნაბიჯებად ატეხია იატაკს;
როგორც მიწიდან,
ამოზრდილან
ლომის თათები,
სკამის ფეხები,
კენარი სვეტები
და კედლები,
შენი ჰირველი სირცხვილები რომელთაც დაუმალავთ
და კვლავ შეგიფარებენ,
მარტო შენ რომ იცი,
იმ, შიგნით დატანიებულ, თახჩანიშებში,
სოლო როდესაც ქვეყანაზე მიწა იძვრება,
სახლის წარსულის და მომავლის გადასარჩენად
თავს გაწირავენ -
უშნოდ-ულაზათოდ დაიბზარებიან
მთელ სიგრძე-სიგანეზე,
ფერუმარილივით ბათქაშსა და ნიღბებით შეპალერის ზოლებს
ჩამოიყრიან-ჩამოიხევენ,
ატლანტებად იქცევიან,
და ხელებით ცას დაიჭერენ, -
არ ჩამოიქცეს,
ცას თუ ვერა, ცის ნაჭერს მაინც -
მველი სახლის ჭერს,
რომელზეც ბავშვობაში მერანიც კი გიჭენებია,
ღრუბლები, ურჩხული, არწივი და ციხე-სიმაგრე,
ეტლები მიჰქრიან.
კაცები ხელჩართულ ბრძოლაში ეშვებიან...
ეს სამყაროა,
ნახევრადგანათებული ოთახის ჭერზე აღმოჩენილი.
მერე მოულოდნელად გემინება,
მაგრამ არაფერი გავიწუდება (თურმე),
ლექსში გახსენდება მშობლების სახლი:
აივანი
(დედა ჭრელ საბნებს ამზეურებს),
კედლები
(აქ ფოტოსურათებში გადასახლდა დიდი ოჯახის მცირე ნაწილი),
იატაკი
(ჩემი და ჩემი და-ძმის ფეხის (ენისაც) ადგმის
და გაუბედავი ნაბიჯების მოწმე)
და ჭერი -
ცის ნაჭერი!

ტკივილი ჯერ დუმს და მერე ქრება!

როცა შიმშილი აღარ დუმს
და თავს გახსენებს ფიქრშიც,
ჯაფაშიც,
მზერაშიც
და ლოცვებშიც კი...
შენ შიმშილზე ძლიერი ხარ –
დუმხარ მშობელი
და რომ ხემსიც არ გიგემია გუშინდელს აქეთ,
ეგ არაფერი:
ჩვილი შვილის შიმშილს როგორ გაუმკლავდება
დედის გული -
ზეცა დაგცქერის!
შენთანა ღმერთი!
გაჭირვება ხომ ობლების ბედი-ხვედრია!
მაგრამ აკი შენს დედისერთას –
ღვთაებრივ ძე-ურმას –
ჰყავს დედაც, მამაც,
თუმცა კი ისევ, ვით შობის ჟამს,
ახლაც ხდება - სცივა ოჯახს,
სცივა და შია,
ან, საერთოდ რა აბადია?!

...ლტოლვილთ იქ, უცხო ქვეყანაში,
უცხო მხარეში
მდევნელნი როს წამოგეწევნენ,
სულ ახლოს სცემდნენ ფლოქვებს ცხენები...
მსგავსად ხმაურით, გამაყრუებლად
სცემდნენ მაშინ გულნიცა თქვენნი!
ასე რამდენჯერ...

დაბნეულნი ნაძვს შეფარეთ...
და ავაზაკთ!
იეო:
ტაძრიდან უკან გზაზე
ეძებდი თვის შვილს
რამდენი წამი,
რამდენი წუთი,
რამდენი გულისფეთქვა
და რამდენი მწუხარებით გაეინვა სულის –
მხოლოდ ის უწყის!
რა გეფიქრა?..
ან რა გექნა?...
ან ახლა რამ გაგახსენა ეს ყველაფერი?
ამოიოხრე.
სისხამ დილიდან სულის შფოთვა აგედევნა
და ეს სევდაც აგეკვიატა!
ფსალმუნებდი,
ხელსაქმობდი –
გამალებით გული გიძგერდა-
წინათგრძნობდა...
აი, უკვე ისმის მრავალთა ფეხისხმა –
მოირბინეს,
გაავებულებს –
ბრბოს აღვსებულს გულისწურომითა
მიჰყავთო შესაკრებელიდან
სადღაც იესო...
რაც ძალი გქონდა – გაიქეცი,
იქნებ გეშველა რაიმეთი!
იქნება გეხსნა!
არ ეოფილიყავ განსაცდელში
იმის გვერდით,
ვინც ღმერთმა მოგცა
და გიყვარდა თავდავიწყებით
და ვინც იეო თავად უფალი?
იმ მთის წვერზე აეყვანათ,
„რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი
დაშენებულ იეო“
ოდითგან...
თვალი ჰკიდე –
უფსკრულის ჰირას მიემწყვდიათ:
სურთ გარდააგდონ მეი ღმრთისა
მოკვდავთ უგუნურთ...
თავისი თვალით რომ იხილე
ეს სისასტიკე, უღმერთობა
და სიძულვილი,
მუხლთ მოგეკვეთა,
ჩაიკეცე...
იესომ კი გადადგა ფერხნი,
გაიარა,
შეერია სივრცით,
„განვლო შორის მთას“
და განგვეშორა.

როცა ტკივილი ისევ დუმს
და ოდენ შენს გულს ჰკვეთს
წარსულშიც,
მთვარის შუქზე,
ფიქრშიც,
შენშიც,
ზღვაშიც,
ლოცვებშიც...
შენ ტკივილზე ძლიერი ხარ,
ხარ ღვთისმშობელი
და რომ ტკივილი არ დაგიამდა
გუშინდელს აქეთ,
ეგ არაფერი:
შვილის ტანჯვას როგორ გაუმკლავდება
დედის გული,
ზეცა დაგცქერის!
ტკივილი კი ისევ დუმს
და რომ ოდენ შენს გულს ჰკვეთს
და სჭვალავს,
ეგეც არარა:
წინ გოლგოთაა,
ჯვარცმის,
ოდეს ყველა ტკივილი ქრება!
მიმადლებულო,
ღმერთი შენთანა!
მთელი ცხოვრება დათმენაა,
ტანჯვა მდუმარე...
და ტკივილი,
რომელიც ჯერ დუმს
და მერე ქრება –
გეამბორება მაშინ ქალწულს
მიწაზე ზეცა!

ტეის უვავილივით

ეს იეო, სანამ ბერი გავხდი ჰარხელი:
მე დაგეძებდი ყველას თვალწინ დიდხანს
სანთელით,
თუმც იდგა ჩემი ურმობისა და
სიყმაწვილის
დილა ნათელი;
აკი არავის უსწავლებია –
არ ვიცოდი შენი სახელი;
გეძებდი მფარველს კოკისჰირულ
წვიმათა
და ქარბუქთა
და ქარიშხალთა ჯამს,
და გადამრჩენელს ღვარცოფთაგან,
სასოების ნამს,
გზის გამნათებელს, განმატფობელს,
ახალი წლის ეინვიან ღამით,
შენ, ვინც მიცავდი,
არ მტოვებდი ბუდეში წამით,
როცა ჩემს სუსტ გულს მიხვეთქავდა,
მაშინებდა ფოთლუკას ჩქამიც...

როგორც რაიმე ტეის ყვავილი
ამოიზრდება ადრიანად
მიწიდანაც,
თოვლიდანაც,
ფესვებიდანაც,
ჯერ შარშანდელი ფოთოლცვენის
სასაფლაოზე
გაბნეულ ბორცვებს შესციცინებს,
მერე გამხმარ,
ქარისაგან დამტვრეულ
და ფიჩხად ქცეულ ტოტებს მადლობს,
რომ დაიფარეს,
უფრო გვიან კი თავს წამოჰყოფს,
გაასწრებს ცისკენ ფოთლებსაც, ფიჩხსაც,
და უჩნდეობაო იმედი დიდი
ერთის ნახვითო,
რომ დაიფარავს შორიახლო
ამოსული სოკო ხახვილო;
და რადგან ვერა, ვერ მისწვდება უსუსური
მის ლამაზ ქოლგას,
სოკოც არც ერთხელ არ მოხედავს
უცხო ყვავილს,
მარტოსულს და ღარიბს, საბრალოს,
მაშინ კი
შიშით დაზაფრულის გულის სიღრმიდან
ამოხეთქავს ლოცვა-ვედრება...

გუშინ ურემმა ჩაიარა –
ორ ქვედა ფოთოლს გადაუარა –
ასე გადარჩა;
ხეც ამას წინათ რომ გადატყდა,
სულ სხვა მხარეს;
დათვმაც აცალა...
ხან ერთს მადლობდა,
ხან მეორეს.
ღამით შესცივდა, გაიეინა
და სიომაც ყელთან ახლოს
ერთი ფოთოლი ანაზდად ზედ გადააფინა;
წუალი მოსწუურდა:
„ერთი წვეთი წუალი!“ - აღმოხდა
და უთენია კრიალა ნამით დამშვენებული
იხილა კაბა,
როგორც ზღაპარში...

დღეები კი ისევ მიდიან
და სიცოცხლეც თავისი ფეხით
მორჩილად, ფრთხილად
უახლოვდება ზღვარს –
სიკვდილის მონიშნულ მიჯნას...
ტეის ყვავილი კი დარდობდა, დუმდა,
ჩაფიქრებული ოხრავდა ჩუმად

და ლოცულობდა...
თავის დარდებში, ამოხვრაში,
ფიქრებსა თუ მწარე დუმილში
და ლოცვად თქმულ ამონაღვარში
გამუდმებით იმას უხმობდა,
ვინც ამოზარდა და აჩუქა ეს უვავილები,
მუმუ აწოვა, ჰატრონობდა,
ვინც მშობლობდა,
ვინც მფარველობდა,
ხილვა სურდა ამ სიყვარულის,
რომ დარაჯობდა უხილავად,
მღვიძარებით, თავგადადებით.
განა არ გრძნობდა,
რომ არც ის კოხტა სოკო ხახვილო,
არც ხის ფოთლები,
არც ცხრათვალა მზე,
და არც მუხის რკო და ტოტები,
არც კეთილი ტუის ბინადარნი,
არც მეურმე, მოღიღინე ცის
ფრთოსანივით,
არ ჯავრობდნენ, არც ფიქრობდნენ მასზე,
რადგანაც,
ამ ერთადერთი,
არავის და არაფრის მსგავსი,
შეუდარებელ სინატიფის,
ტუის უვავილის სილამაზის
ამ ქვეყანაზე მოვლინების თბილი
ზღაპარი
არც იცოდნენ,
არც არასოდეს გაეგონათ
და ამიტომაც ზედაც,
ზედაც არ უფურებდნენ
ჩვენს დედოფალას...
ოდენ იგი,
ვინც უხილავად ბინადრობდა უვავილის გულში,
იუო მისი ობლობის და განცდათა მოწმე,
თანამგრძნობი და მეგობარი!

...ამასობაში ტუის მარტოსულ
დედოფალას
ფოთლები შეჭკნა,
და უვავილებიც აღარ ეთქმოდა,
რაც დიდებულ სილამაზიდან,
მის ულორტებს შერჩა.
მისი სიცოცხლე ნაკლებოდა,
თავს მორცხვად ხრიდა,
მიწას ეკვროდა, ეტმასნებოდა
და კიდევ უფრო დაბლა –
ქარვა ფესვთა წიაღში
აჰირებდა მერე ჩაუურსვას
და მიწისქვეშ დავანებას
გაზაფხულამდის.

თუმცა ჯერ კიდევ არ დამდგარიუო
ეს დრო-ჟამი.

მაისის იმ დღეს ღრუბლების ჩრდილში
ლოცვის ბუტბუტში თვალთ მიეკრულა,
ეზმანა მარტი, გაზაფხული,
ტუის გაღვიძება და
საიდანღაც მის ცხოვრებაში
შემოფრენილი
ძველქართული ხალიჩასავით
ხატიჰებელა.
მორცხვმა უვავილმა
შემომჭკნარი ორი ფოთოლი
მეტის სილაღით გაუწოდა –
მით მიესალმა,
მერე ნიშნად აღფრთოვანების
მაღლა ასწია;
ხატიჰებელამ კი ბუსუსა თათუნები
შემოაგება,
გულისკენ თბილად მიიზიდა
და სივრცეში გაიოლია მსუბუქად,
ნაზად,
მაღლა, სულ მაღლა!
სურდა ტუის უვავილს რომ ეკითხა,
შენ თუ ხარო ჩემი მფარველი,
ვისაც დავემებ ძილშიაც და
ღვიძილშიაცო?
მაგრამ ფრენამ და ამ სიმაღლემ თავბრუ
დაახვეს,

ამიტომაც ხმას ვერ იღებდა,
ჩამოსხდნენ სულის მოსათქმელად
სადაფისფერ ქულა ღრუბლებზე...
ტუის უვავილმა,
ცოტა არ იუოს ფერდაკარგული
კაბა-გვირგვინი გაისწორა,
ერთი თავიც გადააქნია,
დაღლილობა ჩამოიბერტუა
და გვერდზე რომ მიიხედა, სახტად
დარჩა –
ჰეჰელა, მისი ხატიჰეჰელა აღარსად
ჩანდა!

ამის სულ არ შეშინებია!
რადგან ღრუბელზე ჩამომჯდარი
ისეთ სითბოს გრძნობდა საჰუარი,
ისეთ სიყვარულს
და ნეტარებას, როგორც მაშინ,
სიკვდილი როს არაერთხელ წამოელანდა
სიცივეში, სიბნელეში, მარტოობაში –
ხოლო ყოველთვის
გულს უმაგრებდა იგი – მფარველი.
ისეთი ჩუმი სიხარული ღვიოდა გულში,
როგორაც იმ დღეს,
შორიახლოს ჩამოვარდნილ საწუალ
შოშიას
ძლივს შეგროვილი ნამის წვეთები
რის ვაი-ვიშით რომ აჰკურა
და მოაბრუნა...
ახლა, ამ წუთას
მთელი არსებით გრძნობდა ისევ
მის სიახლოვეს
და გულისცემით, სუნთქვით იცოდა,
რომ უხილავი,
ერთი იუო იგი
აქაც, ღრუბლების ცაში,
ამ თოვლივით ღრუბელთა ზემოთ
და იქ, ქვემოთ, აკვირტებულ ხეთა და
ბუჩქთა
და ჩამოცვენილ ჯრელ ფოთოლთა
ულამაზეს ტეეში, რომელშიც
ეძებდა იგი მას სასოებით!

ასე გიჰოვე ღმერთი ჩემი ნუგეშისმცემი
და დავიძინე თეთრ ღრუბელზე
ბალღივით მშვიდად
მზის და მიწის გაზაფხულამდის.
გაღვიძებული
შევუევი კლდოვან ბილიკს –
მოველ ჰარეხთას.

ჰოეტს სიყვარულზე
ველაპარაკებოდი

გულის სიწრფელით, სიალალით
გვიყვარს ენძელა!
გვიყვარს ბალღები, დილა, ბაღი, კიდევ -
თუშეთიც...
აყვავებაც და ფოთოლცვენაც ალუბლების,
მერე - ნუშების;
მიყვარს... არ მიყვარს...
ამის გაგება, ვხედავ, გემნელა
და ქრიზანთემის ოქროთი ნაფერ
ფურცლებს ატან
მთელი დილა მტკვარს და უცნობ
ფრინველებს ცათა.

ო, მაჰატიე,
უნდა გითხრა,
იმ დღეს, როცა გავიგე შენგან,
რომ არ გიყვარს სხვა ჰოეტები,
მათი ლექსები, ნაწერები...
უჰატიოდაც ზოგჯერ ახსენებ...
ჩემი უბის გაცრეცილი წიგნაკის შიგნით
ვეღარ გიჰოვე –
გაქცეოდი ძმათა სახელებს.

ბავშვებს მეტი მოტივაცია სჭირდებათ

ჩოხატაურში სტუმრად იმყოფებოდა სახელგანთქმული პიანისტი, მრავალი კონკურსების ლაურეატი, საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ხელმძღვანელი, იუნესკოს მშვიდობის არტისტის ტიტულის მფლობელი, ელისო ბოლქვაძე. მან სოფელ გუთურში თავისი მამის ზაურ ბოლქვაძის კარ-მიდამო საჩუქრად გადასცა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს. რათა იქ გაიხსნას სახელოვანი პოეტის სახლ-მუზეუმი, სადაც სამომავლოდ ჩატარდება სხვადასხვა შემოქმედებითი საღამოები, ადგილობრივები დასაქმდებიან და ჩოხატაურში ერთ-ერთი კულტურის კერა იქნება. შემდეგ ელისო ბოლქვაძე ეწვია ჩოხატაურის სამუსიკო სკოლას, სადაც რამდენიმე მოსწავლეს მოუსმინა. აქვე მან სასიხარულო ინფორმაცია აუწყა სამუსიკო სკოლის პედაგოგებს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სულ მალე ფონდი „ლირა“, რომლის ხელმძღვანელია ელისო ბოლქვაძე, ჩოხატაურის სამუსიკო სკოლას შეუძენს როიალს. როგორც მან თქვა: – ბავშვებს სჭირდება მეტი განვითარება, მეტი სტიმული, რაც უფრო მეტად დააინტერესებ, მით უფრო მეტი კონტიგენტიც იქნება, უფრო მეტად აიწევს მათი ინტერესი. ბავშვებს ჭირდებათ ახალი მეთოდები, ახალი დინამიკა, ახალი იმპულსები, აუცილებელია მოტივაცია. სამომავლოდ როცა ჩამოვალ, უკვე ახალ როიალზე დაუკრავენ ბავშვები და აუცილებლად ჩავატარებ მოსწავლეებისთვის მასტერკლასებს.

ელისო ბოლქვაძე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან

– ქალბატონი ელისო, წელს საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით მესამედ იმართება ბათუმში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, როგორია ფესტივალის პროგრამა?

– წელს ბათუმის ფესტივალს ცნობილი ფრანგი დირიჟორი და კომპოზიტორი ლორან პეტიჟერარი გახსნის ჩემთან ერთად. ეს არის დიდი მაესტრო, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო და ახლა ბათუმში წარდგება მსმენელის წინაშე. ჩვენ შევასრულებთ ჩაიკოვსკის პირველ კონცერტს. დაუკრავს რუსი პიანისტი ეკატერინე გუმენიუკი, სრულიად უსასყიდლოდ მიიღებს მონაწილეობას აზერბაიჯანელი პიანისტი, მუსიკალური სამყაროს ვარსკვლავი, ფარხად ბადალბეილი, აშშ-დან ჩამოდის დიმიტრი იაბლონსკი. ფესტივალში მონაწილეობენ ახალგაზრდა მუსიკოსი ავსტრიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, თურქეთის საელჩოს ინიციატივით გაიმართება თურქი მხატვრების გამოფენა.

დასკვნითი კონცერტი გაიმართება ბათუმის პიაცაზე, ღია ცის ქვეშ. ეს კონცერტი განსაკუთრებულია თავისი შინაარსით, რადგან იუნესკოს 70 წლისთავის იუბილეს ეძღვნება. კონცერტში მონაწილეობს ლეგენდარული ქართველი მომღერალი ზურაბ სოტკილავა, ანსამბლი „ქართული ხმები,“ იქნება ფოლკლორი, რომელიც მოგეხსენებათ შესულია „იუნესკოს“ ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. შესრულდება ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები...

კონცერტს დაესწრება მაღალი რანგის სტუმარი საფრანგეთიდან, იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილე ბატონი ერიკ ფალტი, ასევე ევროპის ფესტივალების ასოციაციის პრეზიდენტი დარკო ბრვაკი. მოგეხსენებათ, ეს კონცერტი საქველოქმედოა და მიღებული შემოსავალი მოხმარდება ომში დაზარალებული სირიელი ბავშვების საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც იუნესკო ახორციელებს.

– ეს ფესტივალი ასევე ითვალისწინებს ბავშვებისთის მასტერკლასების ჩატარებას.

– დიახ, სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვა ბავშვები, რომლებსაც ჩაუტარდებთ მასტერკლასები. შემდეგ შერჩეული საუკეთესო მოსწავლეების კონცერტი ჩატარდება, სადაც ერთ შემსრულებელს გამოარჩევს მსმენელი, რომელსაც ფონდი „ლირა“ საჩუქრად გადასცემს 1000 ლარს.

– წელს თქვენ გახდით იუნესკოს მშვიდობის არტისტის მფლობელი, რას ნიშნავს ეს ტიტული თქვენთვის?

– ამ ტიტულს ფლობენ ცნობილი არტისტები, ისეთი ადამიანები, რომელთაც იუნესკოს ღირებულებებზე შეუძლიათ საუბარი და ამ ორგანიზაციის გზავნილის მთელ მსოფლიოში გატანა. ჩვენი მთავარი მიზანია, თუნდაც პატარა წვლილი შევიტანოთ ჰუმანური ღირებულების ბავშვების, ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება ჩოხატაურისადმი?

– ჩემი დამოკიდებულება ჩოხატაურისადმი განსაკუთრებულია, იმიტომ რომ აქ გავიზარდე, მამა აქაური იყო, ზაურ ბოლქვაძისადმი პოეზიის სიყვარულს სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. ბედნიერი ვარ, როცა მეუბნებიან – ზაურს ვიცნობდით და მასთან ვმეგობრობდითო. მსურს, ეს ადგილი გამოცოცხლდეს და მას სათანადო მნიშვნელობა მიენიჭოს.

ქეთევან კუკულავა

ქნას ღაშრაჭაული ქრი კვლება

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში რეჟისორმა ზურა სიხარულიძემ განახორციელა აბსურდის თეატრის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ეჟენ იონესკოს „მაკბეტი.“

– ბატონო ზურა, როგორც ვიცით თქვენ ოზურგეთის თეატრში პირველად დადგით სპექტაკლი, რას იტყვით თეატრალური დასის შესახებ?

– დიახ, პირველად ვარ ოზურგეთის თეატრში, ძალიან საინტერესო შემოქმედებითი ჯგუფია. მცირე დროში მომზადდა სპექტაკლი და თითოეული მსახიობი მაქსიმალურად იყო მობილიზებული, შეექმნათ მართალი სახეები. მათ ამ მისიას საუკეთესოდ გაართვეს თავი. მაყურებელმა სპექტაკლი კარგად მიიღო, რისი დასტურიც მათი მხურვალე აპლოდისმენტები გახლდათ..

– თქვენ ორი წელია ჩამოხვედით უცხოეთიდან. წლების მანძილზე მოღვაწეობდით თურქეთში, რამდენიმე ცნობილი თურქი მსახიობი თქვენი აღზრდილია.

– დიახ, 9 წელი ანკარაში, ხოლო 7 წელი სტამბოლში ვასწავლიდი სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნებას.

– როგორც ცნობილია, თქვენი აღზრდილი სტუდენტები დღეს პოპულარული მსახიობები არიან. იქნებ, რამდენიმე სიტყვა გვითხრათ მათ შესახებ.

– ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს სერიალებით: „ასი“ და „ბოშა ქალი“ – ონურ საილაქს. მას ანკარის ბილქენთის სახელობის უნივესიტეტში ვასწავლიდი. შესანიშნავად ითამაშა მთავარი როლი სადიპლომო სპექტაკლში ნაზიმ ჰიქმეთის „ყველაფრის მიუხედავად.“ შემდეგ იგი კინოში წავიდა. ძალიან ბევრ სერიალსა და სრულმეტრაჟიან ფილმებში იღებენ. სხვათაშორის ქართველი გოგონასა და თურქი ბიჭის ამბავზე გადაღებულ ფილმშიც მთავარ როლს ასრულებდა. ონური დღეს თურქეთში საკმაოდ ცნობილი კინომსახიობია.

ასევე პოპულარული მსახიობია სეზინ აქბაშოღულარი. თითქმის ყველა სერიალსა და მხატვრულ ფილმში მთავარ როლს ასრულებს. ერთ-ერთი „ბამბის ველის პრინცესა“ საქართველოშიც უჩვენეს. სეზინიც ბილქენთის უნივერსიტეტში სწავლობდა ჩემს ჯგუფში. ძალიან გულჩათხრობილი, ჩუმი და მოკრძალებული გოგონა იყო. ასაკითაც ყველაზე პატარა. სამსახიობო ფაკლტეტის მუსიკისა და სცენის ხელოვნებათა განყოფილება 19 წლის ასაკში დაამთავრა. იქ ჩემს მიერ დადგმულ „მაკბედში“ კარგად ითამაშა. მახსოვს როლები რომ გავანაწილეთ, სეზანი უროლოდ დარჩა, ვინმეს დუბლიორად უნდა დამენიშნა, არადა ნიჭიერი ბავშვი იყო და დამენანა. სწორედ მაშინ მომივიდა აზრად ახალი პერსონაჟის შემოყვანაც. ეს პერსონაჟი გახლდათ მთხრობელი. მან ისე კარგად შეასრულა ეს როლი, რომ სხვა მსახიობები გადაფარა. მასზე ყველა ლაპარაკობდა. ამჟამად იგი სერიალებშია დაკავებული.

თურქეთში სერიალებითა და ფილმებით პოპულარულია ჩემი კიდევ ორი სტუდენტი-სერჰათ ქილიჩი და მაჰირ იფექი. სერჰათი ერთ ხანს ბევრ სპექტაკლში მონაწილეობდა და თურქეთის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობიც იყო. ახლა ძირითადად ფილმებსა და სერიალებში იღებენ. ის თამაშობს ძალიან პოპულარულ სერიალში „ძველი სტამბოლი.“ მართალია მისი მონაწილეობით სერიალი ჯერ არ უჩვენებიათ საქართველოში, მაგრამ დარწმუნებული ვარ ქართველი მაყურებელი მასაც მალე გაიცნობს. სამაგიეროდ, რამდენიმე სერიალი უჩვენეს მაჰირის მონაწილეობით. სერჰათიც და მაჰირიც ძალიან ნიჭიერი და სინტერესო ადამანები არიან. სხვათაშორის, დღეს მაჰირ იფექი თურქეთის ერთ-ერთი ძველი, ანკარის კერძო მხატვრული თეატრის თანამფლობელიც არის.შარშანწინ ამ თეატრში მიმიწვიეს სპექტაკლის დასადგმელად. თურქეთში ყველა მსახიობს თავისი მენეჯერი, აგენტი ჰყავს და კონკრეტული მსახიობების წარმოჩენა, თითოეულთან გაფორმებული კონტრაქტი სწორედ მათი დამსახურებაა...



– ბატონო ზურა. თქვენ საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობთ. დღეს ხართ მესხეთის თეატრის მთავარი რეჟისორი და აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. რეგიონალურ თეატრებშიც დგამთ სპექტაკლებს.

– დიახ, შემიძლია ნებისმიერ თეატრთან ვითანამშრომლო, სადაც მიმიწვევენ. მოგეხსენებათ, ხელოვნება ერის მაჯისცემის აღმნუსხველია, ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. თეატრი კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს რეგიონებში. მიხარია, რომ ოზურგეთის თეატრის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აქ თეატრალური ხელოვნება კიდევ უფრო განვითარდეს და მაღალ საფეხურზე ავიდეს.

თეატრში აუცილებლად უნდა იაროს მაყურებელმა, თუნდაც იმიტომ, რომ გამართული ქართული მეტყველება მოისმინოს. დღეს, ქართული ენა ძალიან დამახინჯდა. ენას დაშორებული ერი კი კვდება.

– როგორც ვიცით, თქვენ ბავშვობაში ხშირად ჩამოდიოდით გურიაში?

– მე დავიბადე ჩოხატაურში, სოფელ შუაგანახლებაში. თითქმის ყველა ზაფხულს გურიაში ვატარებდი. მენატრება ის დრო, როცა ჩემი მეზობლის ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი. ღელეს რომ დავაგუბებდით და მერე დიდი სიამოვნებით ვბანაობდით. გვიმრისაგან ქოხებს ვაკეთებდით. საოცარ თამაშებს ვიგონებდით... მსურს, ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ჩემს საყვარელ გურულებს. ბედნიერი ვიქნები, თუ კიდევ მომიწვევენ ოზურგეთის თეატრში.

ზურა ცინცქილაძე – მსახიობი: ახლა გამოვედი ოზურგეთის თეატრის სპექტაკლიდან და ძალიან კმაყოფილი ვარ, როგორც მსახიობი, როგორც ლიტერატურის მოყვარული. ეს გახლდათ აკადემიური სპექტაკლი. მე აქ ვნახე მსახიობები, რომლებიც ნებისმიერ საკითხს გაართმევენ თავს. ქალბატონები, რომლებიც სპექტაკლში თამაშობდნენ შემიყვარდა, ხოლო მამაკაცების მშურს. მსურს, ამ სცენაზე და ამ შემოქმედებით ჯგუფთან მეც მომეცეს საშუალება, რომ ვითანამშრომლო.

ქეთევან კუკულავა

ლეგენდა ნატანებზე

სადარბაზოს კარები არავის მოუხურავს, ყველანი უსიტყვოდ გარინდული იდგნენ; გურიელს სევდითა და ჭმუნვით დამძიმებული ჭაღარა თავი ხელებში ჩაერგო და ეს ერთ დროს წარმოსადეგი ვაჟკაცი სავარძელში ძლივსღა მოსჩანდა. მოურავი ისევ იმ ბნელ კუთხეში იდგა, თავი მხნედ ეჭირა, უნდოდა რაღაც ემოქმედა, ბატონი გაემხნევებინა, უნებლიედ სახლთუხუცესის მკაცრი შემოხედვა აკრთობდა, ენას უბამდა. გადია ისევ ქვითინებდა, დაგვიანებით მოსულ ექვთიმე მოძღვარს ეჩურჩულებოდა, შემოქმედის მონასტერში შესაწირს პირდებოდა ნატას გადასარჩენად და ლევანის სულის მოსახსენიებლად.

ალაყაფის კარების მძიმე ღჭიალმა და ბაგრატის ამალის ცხენების ფლოქვების თქარუნმა გურიელი გონს მოიყვანა, იგი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, თითქოს მუხლები მოსინჯაო, მერე ისევ განაგრძო სვლა, ფანჯარასთან მივიდა, დახშული დარაბები გააღო. დაინახა როგორ გაშმაგებით მიაგელვებდნენ ბაგრატის ბიჭები დაუოკებელ ცხენებს, თვით ბაგრატი ათი ცხენის ნახტომით მაინც უსწრებდა მხედრებს. მიჰქროდა, მიფრინავდა ბაგრატი, რომ დროზე მიესწრო სულთმობრძავ ნატასთვის, ეხსნა იგი მოძალადის ხელისაგან და მამისათვის ჩაებარებინა. მერე, მერე კი გამოჩნდა მისი ბედი თუ უბედობა. ასე აფორიაქებული ფიქრებით მიქროდა. მიფრინავდა ბაგრატი თავის ერთგულ ძმათანაფიცთა ამალით.

გურიელს იმედის ჩიტი აუფრთხიალდა გულში, სისხლი აუჩქროლა ბაგრატის ომახიანმა ყიჟინამ და თავგანწირულმა სბოლამ. არა, ჩემი ნატა ცოცხალია, ვიღაცა შველისო, ხომ მითხრა მისანმა, აკი მიდიან და უშველიან კიდეც. ბუტბუტებდა თავისთვის გურიელი და მანამ არ მოშორებია ფანჯარას, სანამ ბაგრატის ამალის მიერ ადენილი მტვრის კორიანტელი მთლად არ დაეკარგა თვალსაწიერზე. მერე მხნედ შემობრუნდა, თითქოს ჩვეული სიდინჯე და სიმხნევე მთლად დაუბრუნდაო. აღარ ჭმუნავდა, თავი მხნედ ეჭირა.

მოხუცს ძრვენი უბოძეთ, ღირსეულად გააცილეთ, ხელის ქნევით ანიშნა დარბაზში საგანგებოდ შემოსულ მსახურს. მერე სახლთუხუცესს მიუბრუნდა, მძიმედ დაადო მარჯვენა მხრებზე.

– ბრძენო ჭაბუკო, ჭირი და გლოვა გვარგუნა ღმერთმა, მამას და გამზრდელს ერთნაირად გვსჯის. ჩვენი ცოდვილი სული არ უნდა, უმანკოებს დარია ხელი. უნდა ვიგლოვოთ, ვაუწყოთ ყველას ჩვენი ვარამი. სამურზაყანოს და ოდიშს ვაფრინოთ კაცი მალიათსბოლი. საგანგებო კაცები გვინდა კახთა, ქართლთა და იმერეთის კარზე სახლებლად, მათაც ვაუწყოთ ჩვენი ვარამი. შენ მოურავო, თავად ეახლე აფხაზთა ბატონს, აუწყე სრულად თავს რაც დაგვატყდა და ისიც უთხარი, მისი ვაჟა ნადიმზე მხნედ გვერდში რომ მეჯდა, უბედურების და ღალატის დროს კი სადღაც უკვალოდ გაიპარა.

შეუჩერებელი ჭენებით განვლეს გზა ბაგრატის ამალამ გურიელის სასახლიდან, ვიდრე ტყით დაფარულ გაუვალჭაობამდე მივიდნენ. ჭაობიდან გაუვალ ტყეში სვლა მეტად გაუჭირდათ მხედრებს. ჯიშკელოვანის ტყე გარეულ მხეცთა ბუნაგად ითვლებოდა, გარეულ ღორთა და მგელთა გაკვალულ ბილიკებს მიყვებოდნენ ლაფში ამოსვრილი ცხენები.

ასეთ ჭაობში ნატას ძებნა უშედეგო იყო. ნატას გამტაცებელი აქ, ამ გაუვალ ტყეში არ შემოვიდოდა. სადღაც შორს გადაიკარგებოდა, მთასა და წყლის გაღმა გავიდოდა. იცოდა ეს ბაგრატმა, კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ამ უდაბურ ტყისკენ უწევდა გული, როცა პირველი გამოუდგა ნატას ყველაზე ცხელ კვალს, მაშინ ამ გაუვალ ტყეში შემოიჭრა ანაზდად. მერე ზღვის ნაპირს გაყვა და ჩოლოქს გაღმა გავიდა. ახლაც იმავე გზით მიდიოდა, გული აქეთ მოუწევდა, უნებლიეთ შვლის ნუკრს მოკრა თვალი, ნუკრი პირდაპირ ბაგრატის ცხენისკენ შედგა, საშინლად ცახცახებდა შიშისაგან, მაგრამ არ გარბოდა, თვალები ფართოდ გაეღო, დაშინებული ირგვლივ იცქირებოდა მოუსვენრად. მერე უცებ კამარა შეკრა და გაუჩინარდა. ბაგრატი ნუკრს გამოუდგა, ერთხანს კვალში მისდევდა საბრალო ნუკრს, მაგრამ მალე დაკარგა კვალი. შვლის ველურ ნახტომს დაღლილი ბედაური ვერ ეწეოდა. იგი ლაღად, ნავარდით ევლებოდა გაუვალ ჭაობს, ცხენი კი მუცლამდე ეფლობოდა ჭაობში. ბაგრატი ახლა ალღოთი და გუმანით მიყვებოდა ნუკრის ნაკვალევს. მიყვებოდა და სწამდა, რომ სულ მალე მიაგნებდა ნატას სამყოფელს, თითქოს ესმოდა კიდეც ნატას კვნესა და ძახილი. აქ სულ ახლოს იპოვის და პირდაპირ სახლში, მის მამულში წაიყვანს. სასწრაფო ნადიმს გამართავს და მერე, მერე მოიწვევს გურიელს, მოიწვევს და ქორწილსაც გადაიხდის.

ტყე შეთხელდა. ჭაობმაც იკლო, მარცხნივ შამბნარი გამოჩნდა, პირდაპირ კი ისევ გაუვალი ტყეა. ბაგრატმა ტყისკენ მიუშვა ცხენი, ნადირი მუდამ ტყეში გარბისო, გაიფიქრა მონადირის ალღოთ, მდევრები კვალდაკვალ მიყვნენ ბაგრატს.

ჩვენი მდევრები, რომ მარცხნივ ეწერ შამბნარს გაყოლოდათ, მანამ ევლოთ, ვიდრე ასწლოვანი მუხის ხე იდგა ეულად, მუხასთან მისვლამდე მდორე მდინარის პირას, პატარა წნულის ფაცხას მიაგნებდნენ. შვლის ნუკრი სწორედ იმ ფაცხისკენ გარბოდა. ადამიანები კი ტყისკენ ნადირთა ბუნაგში შეშლიგინდნენ სადავე მიშვებული ცხენებით. ნადირი კი ადამიანის სადგომისაკენ ეშურებოდა, რა იყო ადამიანთა გამხეცება, გაველურება თუ ბედის დაცინვა. განწირულის განწირვა თუ ბედისწერის გარდაუვალობა.

იქნებ იქ არც კი იყო შვლის ნუკრი, იგი მოეჩვენა ბაგრატს საბრალო ნუკრი, რომელსაც შერვაშიძემ დედა მოუკლა და უდედო ნუკრი ნატას უბოძა ძღვნად და საჩუქრად. არა, ბაგრატს არ მოჩვენებია ნუკრი, იგი ცხადად გამოეცხადა მას. ნუკრი ვიღაცას ეძებდა, მაშველს ეძებდა, ბაგრატს კი არა, სხვას. სხვა ვინმეს დაეძებდა გაშმაგებული და რაკი ბაგრატს გადაეყარა, გაექცა თვალი და კვალი აუბნია. ფაცხის კარები ღია იყო, ჩამქრალ კერიასთან ტლანქად გარინდულ ფიცრულ საწოლზე ქალი ესვენა ლერწმის ქვეშაგებში, თავთან კი სწორედ ის ხალიანი შვლის ნუკრი ედგა ჭირისუფლად და მფარველად. ნუკრის ფართე, შეშინებული თვალებიდან ცრემლის ნაკადული იღვრებოდა და ქალის უბესთან პატარა ნაიარევზე მიმხმარ სისხლს მალამოდ ეპკურებოდა. მერე სახე ტუჩებს აულოკავდა ნუკრი ცხედარს და ხალებიან ზურგს მოუშვერდა, თითქოს ევედრებოდა, ადე ზურგზე შეგისვამ და შენიანებთან მიგიყვანო.

ქალი მშვიდად იწვა, სახეზე ღიმილი შერჩენოდა. მძინარე ანგელოზს გავდა, მაგრამ ფრთები არ ჰქონდა, ვიღაცას მოეკვეცა იგი, ტყვიით გაეგმირა, მოეკლა და მერე მიეტოვებინა უპატრონოდ. ნადირთა საჯიჯგნად. ისევ ატირდა საბრალო ნუკრი, ისევ მოაპკურა მდუღარე ცრემლები

განგმირულ მკერდზე მძინარე ანგელოზებს, ისევ მიუშვირა ზურგი, მაგრამ ამაოდ ფრთებდამსხვრეული ანგელოზი არ იძვროდა.

უეცრად ფაცხას ადამიანი მოადგა. მთლად დასახიჩრებული, ტანსაცმელშემოგლეჯილი და სისხლში მოსვრილი. კარის ზღურბლს ძლივს გადმოაბიჯა და პირქვე დაეცა.

ო, ღმერთო ჩემო, მომეცი ჟამი – ამოიკვნესა ილაჯგაწყვეტილმა – მაჩუქე ერთი სიცოცხლის წამი, მომეცი ღონე, რა არ ვიღონე, რომ აუხილო ანგელოზს თვალი, ის ციდან არის ჩამოფრენილი, განა ვერ იცან შენი ფერია? აცოცხლე იგი, ნუ მოკლავ ღმერთო, ჩემი სიცოცხლე იკმარე მსხვერპლად. ის გააცოცხლე, შთაბერე სული, ვით გააცოცხლე ქრისტე ჯვარცმული.

ღმერთთან ხვეწნა-ვედრების შემდეგ, მუხლებზე წამოიჩოქა ჭაბუკმა, უბიდან რაღაც თიხის მცირე ქილა ამოიღო, მძინარე ანგელოზთან მიბობღდა და დაჭრილ მკერდზე ქილიდან გადმონადენი მალამო მოაცხო. შეისვენა ზეზე, წამოდგა მუხლები სასოებით გაისწორა დასახიჩრებული სახე ადამიანს არ მიუგავდა, ისე კი მთლად ჭაბუკი ჩანდა საბრალო. დიდხანს უნდოდა მძინარე ანგელოზისათვის ეცქირა. ხედავდა, როგორ მთელდებოდა ნაიარევი, როგორ უბრუნდებოდა სოცოცხლე, საცაა თვალებსაც გაახელს, ადგება, გაივლის, იცოცხლებს, არ მოკვდება. სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა ჭაბუკს, მაგრამ მუხლებმა ვერ გაუძლეს და ისევ ჩაეკეცა, გონი დაკარგა.

ცხედარი გაცოცხლდა, ნუკრის ცრემლებით დასველებული, დასახიჩრებული, უბემკერდი თიხის ქილიდან გადმონთხეულმა მალამომ გაამრთელა, სიცოცხლე დაუბრუნა. მკვდარი გაცოცხლდა, თვალები გაახილა, მზეზე წამოდგა, მაგრამ გონზე ჯერ ვერ მოსულიყო. შეშინებული, შემკრთალი იცქირებოდა ირგვლივ, მერე ნაბიჯის გადმოდგმაც გაბედა, გაიარა. ფეხებთან დასახიჩრებული, გონწასული ჭაბუკი შენიშნა.

– ნეტა სადა ვარ, რა მემართება? – ატირდა ასული, რად მიმატოვეს ჩემმა ტოლებმა, გოროზო მამავ, ტკბილო გადიავ! ეს რა შავბნელი, თალხი მადგას. რაო, გამექცა ნუკრი პაწია. ო, ნუკრი ჩემო, საბრალო ნუკრი, წამართვა ავმა ბოროტმა ხელმა.

თითქმის ნუკრმა გაიგო ასულის სიტყვები იგი, მორჩილად მიუახლოვდა მას.

– რამდენს გსდიე, ჩემო პაწია, რად გამორბოდი, მე ხომ მიყვარხარ, – განაგრძობდა ასული – ოჰ, ეს სიტყვები ვინ მითხრა ნეტავ? ბოროტი დათვი მომსდევდა კვალში, ალბათ ლეშისთვის, ალბათ ხორცისთვის, მას ხომ გრძნობა არ აქვს მწველი, თურმე რამდენი მყოლია მტერი. ეს ის დათვია რომ მომსდევდა, დააშტერდა ასული დასახიჩრებულ უგონო ჭაბუკს. ალბათ დასაჯა იგი განგებამ, იკურთხოს მისი წმინდა სული.

ასულის სიტყვების საპასუხოდ ქარის ზუზუნი ატყდა. ქოხის წნულ კედლებში შემოქროლილმა ქარმა ჩამქრალი კერის ნაცარს დაუბერა, აამტვერა და შიგ თვალებში შეაყარა ასულს. ასულს თვალები დაუბნელდა, ქარმა იმატა, ახლა იგი მეტი ძალით უბერავდა უბადრუკ წნულის ფაცხას და ბებერი ქალის თმებივით უწეწავდა, აცლიდა ისლის სახურავს.

...მდაბიო ხალხში განვლე წუთისოფელიო – მოესმა ასულს ფარღალალა კედლებიდან მოსისინე ქარის ქროლვაზე იდუმალი ხმა.

ასული შეკრთა, თითქოს გონს მოეგო, რაღაც მოაგონდა, თვალები მოიფშვნიტა, რაღაც გაიხსენა და ვერც გაიხსენა. მდაბიო ხალხში განვლე წუთისოფელიო – სისინებდა ქარი, ანაზდად და თითქოს მისი ბედისწერის მკაცრი განაჩენის ფინალის მოახლოებას აუწყებდა.

– ქროლვამ იმატა. თითქოს ქარი ქოხის წაქცევას ლამობდაო.

– რატომ მიწყრები წმინდა მარიამ, აღმოხდა ბოლოს ასულს – მე მუდამ ვიყავ შენი მლოცველი. გვედრებ, ამიხსნა რა მემართება, აქ როგორ გავჩნდი ან ეს ვინაა? ეს რა გრძნეული თიხის ქილაა, ასე ჯიქურ რომ მიზიდავს მისკენ?

ასული მოჯადოებულივით მივარდა ჭაბუკის თავთან დადგმულ ქილასთან, აიღო იგი და უნებლიეთ ჭაბუკს დასახიჩრებულ ტანზე მოაპკურა.

ქილიდან გადმოთხეულმა მალამომ ჭაბუკს დასახიჩრებული ტანი გაუმრთელა, თვალებში სინათლე აუნთო, ძარღვებში სისხლი აუჩქროლა. მიბნედილი ჭაბუკი ფეხზე წამოდგა.

მადლობა ღმერთს, რომ გაგიღვიძინია, აღფრთოვანებით წამოიძახა ჭაბუკმა.

– იცი, რამდენი ხანი გეძინა? რამდენი ღამე უძილოდ ვატარე, რამდენი ფესვი ვძებნე და ვხარშე, რომ ამეხილა შენთვის თვალები. ხედავ, მატყვია მხეცის ბრჭყალები, მაგრამ ამ ტანჯვას არაფრად ვთვლი, მე რაკი შენ სიკვდილს გადაგარჩინე.

– განა შენ მიხსენ სიკვდილისაგან? ვინ მომკლა განა, მე ხომ მეძინა, ეს შენ იყავი გონდაკარგული და მე გიშველე, აი შეხედე ამ თიხის ქილას, მოგაპკურე და აგიხსენ თვალს.

– რატომ დახარჯე ჩემთვის თილისმა, ორ სიცოცხლეს ის არ კმაროდა, ეს შთამაგონა ციურ ფერიამ ილაჯგაწყვეტილს როს ჩამეძინა, ჯიშკელოვანთა ტყეში სძებნეო, იქ იპოვიო გრძნეულ მალამოს, არგონავტების სადგომში დევსო, შმაგი ურჩხული მის გვერდით წევსო. გრძნეულ მედეას მალამოს ძალა მკვდარს რომ წაუსვა, გააცოცხლებსო. წადი და ძებნე იგი მალამო, უფალი ღმერთი დაგიფარავსო.

– მერე იპოვე იგი სადგომი და იმ ურჩხულმა ასე დაგფლითა?

– ურჩხულმა ასე მომკლა, დამგლიჯა.

– რად ჩაიდინე ესე ყოველი?

– მაგას ნუ მკითხავ ტურფა ასულო, მკვდარს მომიტევო უნდა ყოველი. მივდივარ და თან მიმყვება სიტყვა უთქმელი.

– შენ არ მოკვდები, არასდროს არა – ისევ აიღო ასულმა თიხის ქილა, უნდოდა მოეპკურებინა ჭაბუკისათვის, მაგრამ ქილა ცარიელი იყო.

– მე გაგიმრთელებ ყველა იარას, აქვითინდა ასული – შენ იმ ურჩხულმა არ გაგიმეტა, მე გამიმეტეს, მე მომკლეს მარტოდ. ასულის სიტყვებზე ჭაბუკი გონს მოვიდა, ფეხზე წამოდგა.

– მითხარი, ვინ იყო იგი მუხთალი, ან სად მიპოვნე ჭაბუკო მკვდარი?

– მე შენ უგონოდ გნახე მძინარი, უდაბურ ტყეში მიტოვებული, ალბათ ციდან ხარ ჩამოფრენილი, ჩემს ბედის ვარსკვლავს ასე ეწერა. რომ მე დამწვავდა ტურფა ფერია. წამოგიყვანე ამ ჩემს სადგომში, რომ მომერჩინე, ჩემი სიცოცხლე შენთვის მომეცა როგორც მწერია.

– ის კი არ მახსოვს, რით ვიყავ მკვდარი, ან იქ თუ იყო ვისიმეს გვამი?

– შენს გვამს ისევ ხრამში, უფსკრულში, შენებრ ესვენა ჭაბუკი მკვდარი, ისიც ტყვიით იყო მოკლული, ტყეში გარბოდა მარტო მხედარი, შეშინებული ვით შლეგი მხდალი, ალბათ ის იყო მკვლელი მუხთალი.

– ჰოი, სატანავ! აღმოხდა ასულს საშინელი გვინვა.

– იყუჩე ვაჟო, უნდა წავიდე, უნდა უშველო, რაღაც ბურუსში ვხედავ, ვერც ვხედავ, ჩემსკენ გამორბის სულთმობრძავია.

ქოხის კარი გაიღო, ასული ელვის სისწრაფით გაქრა, თითქოს მიწამ შთანთქაო, არც შვლის ნუკრი ჩანდა ქოხში. მიმქრალ კერიასთან ჭაბუკი ებრძოდა სიკვდილს. მაგრამ არ კვდებოდა, იგი სიკვდილზე ძლიერი იყო. თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, ეს სიხარულის ცრემლები არ იყო. უხაროდა და სიხარულისგან ტიროდა, მუხლებზე არ დაჩოქილიყო, ზეზე წამომდგარიყო და გაფრენილ ფერიას უცქერდა ცის კაბადობზე.

– წავიდა, გაქრა, როგორც აჩრდილი – სინანულით ლუღლუღებდა ჭაბუკი. ო, რა ტკბილი იყო სიზმარი. როგორ ვიწამე, როგორ ვიხარე, მკვდარი ხომ ჩემი იყო ფერია. ო, სიყვარულის ცეცხლო გენია, – ოხრავდა ჭაბუკი.

ქარი აღარ ქროდა, ჩამდგარიყო, მწუხრის ჟამი იდგა. ჭაბუკი მშვიდად იწვა, არ იძვროდა. სადღაც შორს ისლებიანი ეწერის ბოლოს მუხნარ ტყეში ყორნების გუნდი წამოიშალა და ჩხავილით ლეშზე დამცხრალი ნადირი დააფრთხო ან მონადირე შემოეფეთა. ყორნები შორს კი არ გაფრენილან, ფრთების ზანტი ტყლაშუნით იქვე გამხმარ მუხის ხეზე შემოჯდნენ, შავი სუდარით შემოსეს იგი. მერე საზარელი გნიასითა და ყრანტალით გლოვის ზარი მისცეს. ჩხაოდნენ ყორნები, მზე ჩადიოდა, გაივლის მცირე ჟამი და მზის უკანასკნელი სხივი მოწყდება უდაბურ ტყეს. უკანასკნელი მონადირე თუ შორს მიმავალი დამაშვრალი მიატოვებს ტყეს, მხოლოდ მხეცი და ფრინველი დაეუფლება უკიდეგანო სივრცეს.

ვითომ რატომ გაურბის ადამიანები ასე ამ უდაბურ ტყეს, ნუთუ ასე ეშინია ადამიანს ტყის, ტყის იქეთ ზღვის სანაპიროზე ხომ ზღაპრული წალკოტია, ამწვანებული მთაგრეხილით რომ გასდევს ჯიშკვლოვანთა ტყეს.

რატომ მიუტოვებიათ ადამიანებს ასეთი წალკოტი, ფაცხის კარები გაიღო, ჭაბუკმა სასოებით წამოსწია დამძიმებული თავი საწოლიდან. მის წინ ფერია იდგა, იგი დაბრუნებულიყო.

ჭაბუკი გაოგნებული უცქერდა ციდან ჩამოფრენილ ფერიას.

– დამიბრუნდი განა? ძლივს ამოიღო ყელში გაჩხერილი სიტყვები ჭაბუკმა.

– გზა ამერია, მაგრამ გონს მოველ, მე ახლა მახსოვს წვრილად ყოველი, რომ ვარ ასული დიდი მთავრის და ხვალ სამთავროს ტახტი მომელის.

– შენ ხარ ასული დიდი თავადის? ღმერთო რაც გცოდე, გთხოვ, მომიტევე, ნეტავ შემეძლოს კიდევ სიცოცხლე, რომ მეორედ ისევ შემოგწირო.

– არა, მე ვიყავ თავადის ასული, მაგრამ უმოწყალოდ გამწირეს, მომკლეს. შუღლი და მტრობა მუდამ თან სდევდა ჩემს ბავშვობას. თავადების ქიშპობას გადაყვა ჩემი დედა, გადია მზრდიდა ჭკვიანი, ბრძენი. მან შემაყვარა ხალხი ჩემი. როს მიყვებოდა ზღაპრებს ძილის წინ, მუდამ ერთ სიბრძნეს შთამაგონებდა, რომ სათნოება და მოკრძალება არსო დიაცთ მოვალეობა. მაგრამ შენ უფრო სხვა გიდევს ვალი, ჩაგრულთ და აუგს აუბი მხარი. განგებამ ასე დაგაბედაო. იქნები ხალხის მხსნელი დედაო. მიტომ გამწირეს სატანის შვილმან, მომიკლეს დედა და სატრფო გულის.

გახსოვს – ტყეში ვნახე მხედარი, მაშინ რომ მითხარ შორს გარბოდაო, შერვაშიძე იყო ის მხდალი, იმან დამიდგა მახე მუხთალი. ჯერ ხელი თხოვა მამაჩემს ჩემი, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, მერე მოძებნა საძრომი ხვრელი, მომპარა ჩემი ნუკრი პაწია და მეც მისი ბედი მაწია.

– ის ვინ იყო, ხევში ჭაბუკის გვამი რომ ვნახე მაშინ?

– ის იყო ჩემი სატრფო ლევანი, მან შერვაშიძეს აძგერა ცხენი, მერე მათრახით სცემა, განა ხმლით იკადრა მასთან ბრძოლა-ჭიდილი, დამიხსნა, ცხენზე შემისვა უმალ, მაგრამ ლაჩარმა, ფლიდმა, მუხთალმა ზურგიდან ორივეს დაგვცა დამბაჩა.

არ დავბრუნდები ჩემს მამულში, იქ ისევ მტრობა მელის, მკვლელი ყოველ დღე ახალ მსხვერპლს მოაკვდინებს. მძაგს მე ყოველი ესრე სიმდაბლე, მინდა რომ ვიყო თავისუფალი. დავრჩები შენთან ამ უდაბურ ტყეს ბაღნარად ვაქცევ. ავანთებთ ათას კერიას წმინდას, ღარიბთ და ღატაკთ მე მივცემ ბინას.

ფაცხის კარები გაიღო, სხვენი ამაღლდა, სახურავი გაიხსნა და ციდან მტრედები მოფრინდნენ. ქოხში შემოფრინდნენ და ბედნიერ წყვილთ თავზე გვირგვინად შემოასხდნენ. ჩამქრალი კერა აენთო, მწუხრი განათდა, მზე თოთოს კი არ ჩადიოდა, ამოდიოდა, დაისი კი არა აისი იყო, ტყე კი არ იძინებდა, იღვიძებდა.

ასე გამხდარა თავადის ასული ნატა ყრმა გლეხის მეუღლე, ბაღნარად უქცევიათ ცოლ-ქმარს გაუვალი ტყე. ასი წელი უცხოვრიათ მოსიყვარულე წყვილს. დიდხანს ახსოვდათ თანასოფლელებს ბრძენქალა ნატა, რომელიც მედიასამებრ კეთილ გრძნეულებით კურნავდა დავრდომილ ავადმყოფებს და დაჭრილ მეომრებს, სიბრძნესა და სიყვარულს უნერგავდა დიდსა თუ პატარას.

ცხრა შვილი ყოლიათ თურმე ნატას, რომლებიც სოფლის სხვადასხვა კუთხეში დაუსახლებიათ. დედის ანდერძისამებრ მათაც გაუშენებიათ პატარა სოფლები, დიდი დედისეული სოფლის სხვადასხვა კუთხეში.

ამბობენ თურმე იმ ადგილას, სადაც თავადის ასული ნატა ნებით გაყოლია ყრმა გლეხს ცოლად, ხალხს ნატანები უწოდებია. ასე შეიქმნა ლეგენდა. ზღაპარია თუ სინამდვილე, მკითხველმა თავად განსაჯოს.

ნიკოლოზ თოიძე

კანი და მისი მოვლა

ადამიანზე პირველ შთაბეჭდილებას გარეგნობა გვიქმნის. თვალში გვხვდება მოდური ჩაცმულობა, ლამაზი ვარცხნილობა, მაგრამ ყველაზე მეტად ყურადღებას კანი იპყრობს. ლამაზი და ჯანსაღი კანი ნებისმიერი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანისთვისაა საჭირო. თუ როგორ უნდა მოვუაროთ კანს და რამდენი ტიპის კანი არსებობს გვესაუბრება დერმატოლოგი – მაია ჯინჭარაძე

– კანი ადამიანის ყველაზე დიდი ორგანოა, რომლის ზედაპირი ინტენსიურად ეხება გარე სამყაროს. მას მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია. ესენია: დამცველობითი, თერმოლეგურალური, სეკრეტორული, სასუნთქი, ნივთიერებათა ცვლის და ასე შემდეგ.

არსებობს კანის ძირითადი 4 ტიპი: მშრალი, ნორმალური, ცხიმიანი და კომბინირებული. თითოეულ ტიპს თავისი მახასიათებლები აქვს და თავისებურ მიდგომას მოითხოვს. კანის ძირითადი სტრუქტურა ცხადია ყველას ერთნაირი აქვს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რამდენად ინტენსიურად გამოყოფენ პოხიერი ჯირკვლები ცხიმს და სახის რომელ ნაწილში არიან ისინი უფრო მეტად აქტიურები.

კანის ტიპი ასაკთან ერთად იცვლება. თუმცა სწორი ჰიგიენითა და მოვლით მას შეიძლება დიდხანს შევუნარჩუნოთ სიჯანსაღე.

– კანის ტიპი როგორ განისაზღვრება?

– ნორმალური კანი თანაბარი შეფერილობისაა, გლუვი, მკვრივი სუფთა, ზომიერი და მცირეფორებიანი. ცხიმისა და ტენის შემცველობა მასში დაბალანსებულია და კანი იშვიათად ღიზიანდება. ასეთი ტიპის კანს სწორი მოვლისას ნაოჭები ძალიან გვიან უჩნდება. ნორმალური კანი კარგად იტანს წყლითა და საპნით დაბანას და დეკორატიულ კოსმეტიკას.

მშრალი კანი საკმაოდ ხშირად გვხვდება და განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს. რადგან უარყოფითი ზემოქმედებისადმი მეტისმეტად მგრძნობიარეა და სწრაფად ბერდება. მშრალ კანს აქვს მცირე ზომის ფორები და მკრთალი ელფერი, ახასიათებს ცხიმის დაქვეითებული შემცველობა. არასაკმარისი ან არასწორი მოვლის დროს შრება, იქერცლება და ელასტიკურობას კარგავს. ასეთ კანზე ნაოჭები განსაკუთრებით თვალების ირგვლივ ადრე წარმოიქმნება. კანის სიმშრალე უმეტესად 50 წლის ზემოთ, ცხელი ან ცივი მშრალი კლიმატის ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს აღენიშნებათ. კანი ასევე შეიძლება გამოუშრეთ იმ ქალებს, რომლებიც არ იცავენ მას გარემოს მავნე ფაქტორებისგან. სვამენ საკმაოზე ნაკლებ წყალს და ასე შემდეგ.

ცხიმიანი კანი შესახედავად სქელი, უხეში და პრიალაა. მისთვის დამახასიათებელია თვალში საცემად მსხვილი ფორები. ზოგჯერ ასეთი კანი ფორთოხლის კანსაც კი მოგვაგონებს. ჭარბი ცხიმი მკვდარ უჯრედებსა და მტვერთან ერთად ცხიმის ჯირკვლებში წარმოქმნის საცობებს, შავ წერტლებს. ცხიმიან კანს ადვილად უჩნდება ფერისმჭამელები, სამაგიეროდ მშრალ კანზე უფრო გვიან ნაოჭდება. ცხიმის სიჭარბე მას გამოშრობისგან იცავს.

კომბინირებული (შერეული) ტიპის კანი უფრო ხშირად გვხვდება, უმეტესად ახალგაზრდა და შუახნის ქალებში. კანი შუბლზე, ცხვირსა და ნიკაპზე, ჩვეულებრივ ცხიმიანია, საფეთქლებზე, ლოყებსა და კისერზე, განსაკუთრებით კი თვალების ირგვლივ არის მშრალი. არსებობს კანის ტიპის განსაზღვრის ასეთი მეთოდიც: დაბანიდან 2-3 საათის შემდეგ სახის სხვადასხვა უბნებზე მივიდოთ ქაღალდის ხელსახოცი, თუ ხელსახოცზე ცხიმიანი ლაქა გაჩნდა, კანი ამ უბანში ცხიმიანია.

კანი ყველაზე უკეთ ასახავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამიტომ მისი სისტემატური მოვლა რაც შეიძლება დროულად უნდა დავიწყოთ.

რაც შეეხება დაავადებებს, კანის მრავალი პათოლოგია არსებობს, რაზედაც სამომავლოდ ვისაუბრებთ.

ქეთევან კუკულავა

გურული ხუმრობები

შოთა კვინტრაძეს ბიჭოიე რამიშვილი შემოხვდა, შეაჩერა და ეუბნება, – შოთა, წერილი გინდა თუ სიხარული? თან თვალებში მიაჩერდა. წერილი, ბიჭო წერილი, შესძახა შოთამ. მისი ბიჭი, ბაჩიე სავალდებულო სამსახურში მსახურობდა. რა თქმა უნდა, წერილი უხაროდა – რომელ თვალში, რომელში? უძახის ბიჭოიე. – მარცხენაში ბიო, მარცხენაში და თითს სასწრაფოდ იდებს მარცხენა თვალზე – მი...ჯვი, შოთა შიგ, პასუხობს ბიჭოიე – შენ დაგექცა დაბადება, რა მიქნა ამ ოჯახკეტიანმა, ბაღანას წერილს ველოდებოდი და არ დამთხარა თვალები დილაადრიან ამ უპატრონომ?!

* * *

გივის მამას პროკოფის ერთი ურქო თხა ჰყავდა „დულიას“ ჯიშს ეძახდნენ, ერთი თვალით ალთას იყურებოდა, მეორეთი ბალთას. საწყალი თხა ელამი იყო. სპარტაკიმ ასეთი გამოთქმა დაამკვიდრა – რავა პროკოფიას თხასავით იყურები შე შობელძაღლოო. ახლაც ამ გამონათქვამს ხშირად მიმართავენ.

* * *

ჩვენი მეზობელი ცხონებული გრიშა ნესტორიჩი მთელი ცხოვრება ტრაბახობდა – კომკავშირის აქტივისტი ვიყავი, მთავრობამ ისეთი მაუზერი მომცა, რელსს ხვრეტდაო.

– სროლა თუ იცოდი გრიშა ბიძია? – ჰკითხა ხაჭაპურამ.

– რავა არა, ვიცოდი ბიჭო, შუბლში რომ დოვუმიზნებდი, კოჭლ კაცს ვუხვრიტავდიო – მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა გრიშა, თუ როგორი სროლა სცოდნია.

სპარტაკ რამიშვილი (დიდივანი)

დეაში უფრო იაფია!

ჩვენ
გაიგებთ
საჭიროებით

კოსმეტიკა, პარფიუმერია
და საოჯახო ნივთები

დეას მაღაზიათა ქსელი

www.deacosmetics.ge
Tel: +995 322 54 09 28
https://www.facebook.com/DeaCosmetics

Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic

“FAMILY DOCTOR”

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა

„ოჯახის მკურნალი“

კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ. ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ-ᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №28 ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲮᲭᲐᲮᲐᲫᲘᲡ №2ა
ᲢᲔᲚ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61
www. Curamediana.Ge

ISSN 2346-7606